პალიტრა მედია
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
5 აპრილი **სამშაბათი** 2011
№078 (13375) ფასი 60 თეთრი

ჩემპიონთა ლიგა.
მეოთხედფინალი

ინტერი (იტალია)	VS	შალკე (გერმანია)
რეალი (ესპანეთი)	VS	ტოტენჰემი (ინგლისი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ლიგაში მეოთხედის ნახევარია

ჟოზე კრიშტიანოს არაქრისტიანულად ექცევა

ინტერი შალკეს დასამარცხებლად ემზადება

რაულმა შალკე გააოცა: ინტერთან 20 პროცენტი მისცა

წინათქმა 9

ჯვაროსნული ლაშქრობა ფეხბურთისთვის

აკადემიები მოზარდებს

მოედნები ფეხბურთელებს

ტრანსლაცია მაყურებელს

ქართული ფეხბურთი

ლეგიონი

რა ვქნა, მე უფრო შეტევა მეხერხება

გოჩა ხოჯავას არ უკვირს ის, რაც სხვებისთვის მოულოდნელია: ვოლგა კარგად მიდის

ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" ქართველებმა სწრაფად აუღეს ალღო პრემიერლიგას - სამი ტურიდან ორში საუკეთესოდ ქართველები დაასახელეს. ბოლო შეხვედრაში "ვოლგამ" პრემიერლიგის ერთ-ერთი ფავორიტი, მოსკოვის „დინამო" მიიღო და დიდი ანგარიშით - 3:0 დაამარცხა, რაშიც წონადი წვლილი ქართველებმა შეიტანეს და "ლელო" ამაზე უკვე წერდა.

მატჩის გმირი გოჩა ხოჯავა იყო, "სოკერ.რუმ", "სოვეტსკი სპორტმა" და "სპორტ-ექსპრესმა" 26 წლის ქართველი პლეიმეიკერი მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. მან, რომ იტყვიან, არაფრიდან შექმნა საგოლე მომენტები და პატარა საფეხბურთო სპექტაკლი დადგა – პირველი გოლისას საჯარიმოს ხაზთან ხორვატიის ნაკრების ნახევარმცველი ტომისლავ დუიმოვიჩი და რუსეთის ნაკრების მოთამაშე იგორ სემშოვი ლამაზი ფინტით გააცურა, გამოზომილი და ეფექტური პასით მიხეილ პლეშჩანი მეკარესთან პირისპირ დატოვა და გაატანინა. მეორე გოლი მისივე წაქცევისთვის დანიშნული საჯარიმო დარტყმით გაიტანა, მესამეც მისი წამოწყებული კომბინაციის შემდეგ გავიდა.

მოკლედ, გოჩა ხოჯავამ პრემიერლიგაში ბენეფისი მოიწყო და ქართული ღვინოც ახსენა, გამარჯვებას მხოლოდ ჩვენებური სასმელით აღვნიშნავთო.

გოჩას გუშინ დავუკავშირდით და ინტერვიუ ჩამოვართვით.

- მოსკოვის "დინამოსთან" თქვენი გამარჯვება ძნელი წარმოსადგენი იყო.

- რა თქმა უნდა, 3:0 მოგება ჩემპიონობის ერთ-ერთ ფავორიტთან ძნელია, მაგრამ სენსაციადაც ვერ ჩავთვლი, რადგან "ვოლგა" სეზონამდე ძალიან გაძლიერდა: პლეშჩანი "სტიაუადან" მოიყვანეს, კროსასს "ბარსელონასა" და "სელტიკში" უთამაშია, დავიმატეთ საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები გოგუა და სალუქვაძე, გრიგალავას ნაკლებად იცნობთ, მაგრამ კარგი მცველია და, რაც მთავარია, ნიჭიერი მწვრთნელიც გვყავს. ასე რომ, ჩვენი წარმატებული სტარტი არ მიკვირს, ეს სხვებისთვის არის მოულოდნელი, მაგრამ სეზონის მსვლელობისას დარწმუნდებით, რომ არაფერს ვაჭარბებ.

- პირველ გოლამდე გაკეთებული ფინტიც მომეწონა, რომელმაც რუსებს ქართული ტექნიკა გაახსენა.

- მე რომ მიყვარს, ის ფეხბურთი ვითამაშეთ. კარგი ფინტიც გამომივიდა.

- თუ არ მეშლება, ასეთი წარმატებული შეხვედრა პირველ ლიგაშიც არ ჩაგიტარებია.

- პრემიერლიგა სხვა დონეა, მაგრამ სხვა სტიმულიც არის, სეზონისთვის კი ძალიან კარგად მოვემზადე, სამი თვის განმავლობაში შეკრება არ გამიცდენია და ამან შედეგიც გამოიღო. მიხარია, რომ საკმაოდ კარგ ფორმაში ვარ.

- ხასიათის ფეხბურთელად გიცნობენ და, ეტყობა, მოსკოვის "დინამო" კარგი სტიმული იყო.

- რა თქმა უნდა, ძლიერ გუნდთან მეტი მონდომებით ვთამაშობ. ან ეს რა გასაკვირია, სად მოსკოვის "დინამოსთან" შეხვედრა და სად - ცხრა ათასი კილომეტრის იქით ვლადივოსტოკის "ლუჩ-ენერგიასთან". თამაში ძლიერ გუნდთან უფრო მიყვარს.

- როგორც ჩანს, პრემიერლიგასთან შეგუება არ გაგჭირვებია?

- პრემიერლიგაში თამაში სასიამოვნოა და ნაღდად არ გამჭირვებია. თანაც, ძლიერი გუნდი გვყავს და სეზონისთვისაც კარგად მოვემზადეთ.

- ქართველი ქომაგისთვის ეს ყველაფერი მეორეხარისხოვანი იქნება, თუ შენს ნიჭს ნაკრებში არ გამოიყენებ. სამწუხაროდ, სლოვენიასთან თავი ვერ გამოიჩინე და მას შემდეგ ქეცბაია აღარ გიძახებს.

- სლოვენიასთან სეზონის დასრულების შემდეგ ვითამაშეთ, ფორმაშიც არ ვიყავი, კუნთიც მაწუხებდა და ნამდვილად ვერ ვითამაშე. ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ფლანგზე თამაშს მიჩვეული არ ვარ, ქეცბაია კი გუნდს უფრო დაცვიდან ათამაშებს და დაცვასაც უნდა დავხმარებოდი. რა ვქნა, მე უფრო შეტევა მეხერხება, ვიდრე დაცვაში თამაში. მაგრამ მწვრთნელი ფლანგზე რომ დაგაყენებს, ხომ არ ეტყვი, სხვა ადგილზე მირჩევნიაო?

- თუ იცი, ნაკრების ხელმძღვანელობა შენ მიმართ ინტერესს ინარჩუნებს?

- წარმოდგენა არ მაქვს. ფაქტია, რომ სლოვენიის შემდეგ არ მითამაშია, მაგრამ ისიც მახარებს, გუნდი წარმატებით რომ თამაშობს. ხორვატიას ვოლგელებმაც მოუგეს, სალუქვაძემ, მარცვალაძემ, გოგუამ და ნიჟნიში ყველა ამაზე ლაპარაკობს.

მერაბ მამულაშვილი

TV-ფეხბურთი

ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიერ გაჟღერებული არცთუ რთულად შესასრულებელი ინიციატივა მალე ამოქმედდებოდა და ასეც მოხდა. ალბათ მიხვდით, საქართველოს ჩემპიონატის პირდაპირ ტელეტრანსლირებას ვგულისხმობთ. პირველი მატჩი, რომლის პირდაპირ რეპორტაჟსაც ქართველი ტელემაყურებელი იხილავს, 10 აპრილს გასამართი "ზესტაფონი"-"დინამო" იქნება და ამის შემდეგ ტრანსლაციები სისტემატურად მოეწყობა.

ღამის განათების ეფექტისთვის ეს თამაში 18 საათზე დაიწყება.

ლევან ჯანეზაშვილი

ჯვაროსნული ლაშქრობა ფეხბურთისთვის

ბათუმში ორი სტადიონი აშენდება

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, **მიხეილ სააკაშვილთან** ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავას** შეხვედრის შემდეგ კონკრეტული პროექტების განხორციელება დაიწყება.

„ქვეყნის პრეზიდენტთან შეხვედრა სპონტანურად, მისი ინიციატივით დაიგეგმა. ვისაუბრეთ ქართული ფეხბურთის საჭირბოროტო საკითხებზე. პრეზიდენტმა მზადყოფნა გამოთქვა, რომ სახელმწიფოს დახმარებით უახლოეს მომავალში გავაუმჯობესოთ საფეხბურთო ინფრასტრუქტურა და განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ ბავშვთა ფეხბურთს. უახლოეს მომავალში მოედნებზე ხარისხიანი საფრის დაგებას დავიწყებთ. ბათუმში დაგეგმილია ორი ახალი სტადიონის მშენებლობა, დასავლეთ საქართველოში რამდენიმე ახალი მოედანი გაკეთდება.

ძალიან მნიშვნელოვანია ინტერნატების აღდგენა. ახლა მუშავდება პროექტი, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში შეიქმნება ე.წ. ჯვაროსანთა აკადემიები, სადაც იმუშავებენ ჩვენი სპეციალისტები, სისტემას კი თემურ ქეცბაია უხელმძღვანელებს თავის სამწვრთნელო შტაბთან ერთად.

ძალიან გვინდა, მალე დასრულდეს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის რეკონსტრუქცია. არქიტექტორის მოთხოვნილი აზომვითი სამუშაოები დავამთავრეთ და მონაცემები გავუგზავნეთ. სტადიონის პროექტზე ცნობილი ბრიტანელი არქიტექტორი მარკ ფენვიკი მუშაობს, რომელიც უეფამ გამოაგზავნა. მან ახლახან ყატარში ორი ახალი სტადიონი ააშენა და ევროპაშიც რამდენიმე ცნობილი სტადიონის პროექტის ავტორია. ახლა, ყველაფერი მასზეა დამოკიდებული. თუმცა, მთლად ისეთი ტემპით ვერ მუშაობენ, როგორც ჩვენ გვინდა. სანამ მისგან პასუხს არ მივიღებთ და ახალ პროექტს არ ვნახავთ, „მიხეილ მესხზე" ტექნიკის შეყვანას და რაიმე სამუშაოს დაწყებას აზრი არ აქვს. ამავე დროს, პოტენციურ ინვესტორებთან მოლაპარაკებები გვაქვს, უეფადან კი თანხებს ველოდებით" - განაცხადა სიჭინავამ.

მერაბ მამულაშვილი

ნაკრებს კიდევ ცხრა ქულის აღება შეუძლია

დავით სირაძე დაფიქრდა, უღირს კი ყაბარდოში თამაშის ლოდინი?

რუსეთის პრემიერლიგის ბოლო ტურში ნალჩიკის "სპარტაკმა" სანკტ-პეტერბურგის "ზენიტს" უმასპინძლა და 2:2 ითამაშა. ყაბარდოელთა გუნდში გასულ სეზონში წამყვან პოზიციებზე ქართველი ფეხბურთელები იყვნენ, წლეულს კი კლუბს მხოლოდ დავით სირაძე შემორჩა და ისიც წამოსვლაზე დაფიქრდა, რადგან საწყის სამ ტურში ძირითადში "სპარტაკის" მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმერ ეშტრეკოვმა ერთხელაც არ დააყენა – დათოს "ზენიტთანაც" არ უთამაშია.

- რატომ არ გათამაშებენ, კიდევ ხომ არ დაშავდი?

- ჯანმრთელად ვარ, მაგრამ რატომლაც მწვრთნელმა სათადარიგოებში დამსვა და წარმოდგენა არ მაქვს, რა არის ამის მიზეზი.

- არადა, მოსამზადებელი ეტაპის ბოლოს იმედიანად იყავი.

- მაშინ ეშტრეკოვი ისე იქცეოდა, ვფიქრობდი, ძირითადის კაცი ვარ-მეთქი. არ მეგონა, ჩემი საქმე ასე თუ წავიდოდა. უკვე სამი ტურია ჩატარდა და არ მათამაშებს, წარმოდგენა არ მაქვს, რატომ შეიცვალა დამოკიდებულება. ფაქტია, ნაკრებიდან გუნდში დაბრუნებულს ყველაფერი შეცვლილი დამხვდა. ამას კი არ ველოდი – ძირითად შემადგენლობაში კი არა, მოედანზე აღარ მიშვებს.

თუმცა ყველაფერი წინ არის. ახალი სეზონი რუსეთში უჩვეულოდ დიდხანს გაგრძელდება და, ალბათ, თამაშის შანსი მომეცემა. იმედს მაინც არ ვკარგავ და ყველაფერს ვილონებ, შემადგენლობაში ადგილი რომ დავიბრუნო.

- ასეთ ვითარებაში გუნდის შეცვლაზე ხომ არ გიფიქრია?

- ჯერ არა, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, რა თქმა უნდა, დავფიქრდები. როცა აღარ გათამაშებენ, გასაგებია, რომ გუნდის შეცვლაზე უნდა იფიქრო. არადა, თამაში მინდა და საამისოდ მზად ვარ.

- ნაკრებზეც ვთქვათ, ისრაელთან გუნდის ცნობა ძნელი იყო...

- დაღლილები ვიყავით, რადგან ხორვატიასთან შეხვედრამ ძალიან დიდი ენერგია წაგვართვა, ისრაელამდე კი ცოტა დრო გვქონდა ძალების აღსადგენად. უმძიმესი შეხვედრის შემდეგ დასასვენებლად ორი დღე რომ გაქვს, საუკეთესო თვისებების გამოვლენა შეუძლებელია. საწყენი კია, წაუგებელი სერია რომ შევწყვიტეთ, მაგრამ ჩვენი წარმატების მაინც გვჯერა, რადგან ძალიან შეკრული და ერთსულოვანი გუნდი ჩამოყალიბდა.

- ისრაელში წაგების ერთ-ერთ მიზეზად მოედნის მდგომარეობაც დასახელდა.

- არა, მიზეზი ჩვენი გადაღლილობა იყო. ისე ვერ ვიბრძოლეთ, როგორც ქეცბაიას მოსვლის შემდეგ გვჩვევია.

- შენი აზრით, დარჩენილ მატჩებში საქართველოს ნაკრებს რამდენი ქულის მოპოვება შეუძლია?

- ისევე თუ მოვინდომებთ, როგორც ხორვატიასთან, ვფიქრობ, ცხრა ქულის მოპოვება შესაძლებელი იქნება – სახლში ლატვიასთან და საბერძნეთთან გამარჯვებისთვის უნდა ვიბრძოლოთ. ძნელი იქნება მალტის სტუმრად დამარცხება, მაგრამ წარმოუდგენელიც არ არის. ყველაზე რთული მატჩი კი ხორვატიაში გველის. რა თქმა უნდა, ცხრა ქულის მოპოვება ადვილი არ იქნება, მაგრამ თუ წარმატებაზე ვფიქრობთ, სხვაგვარი შედეგი მიუღებელია.

- შენი აზრით, რომელ შეხვედრაში შეგვეძლო მეტი ქულის მოპოვება?

- ლატვიასთან და ისრაელთან სახლში ქულები რომ დავკარგეთ, ეს საკამათოც არ არის. ქულის მოპოვება თელ ავივშიც შეიძლებოდა.

მერაბ მამულაშვილი

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის ქუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

არ იყო ისე რა

სანაკრებო სიხარულსა და წყენას კიდევ დიდხანს ვერ დავივიწყებთ, მაგრამ დროა, ეროვნულ ჩემპიონატზე გადმოვერთოთ და დაველოდოთ, ვისთვის აღმოჩნდება სეზონი იღბლიანი და ვისთვის – არაფრის მომტანი. გასულმა ტურმა ჩემპიონობისთვის მებრძოლი სამივე გუნდის წევრები ცუდ ხასიათზე დააყენა, სამეულის განლაგება კი კვლავ უცვლელია. სამივეს ძალიან მძიმე გასვლა ჰქონდა და თუკი "ზესტაფონმა" და "დინამომ" საკუთარ აქტივს ქულა მაინც შემატეს, "ოლიმპი" ბოლნისიდან რუსთავში ხელმოცარული გაბრუნდა.
მოკლედ, ზესამეულში მხოლოდ მცირედი ცვლილებები მოხდა და ჯერ კიდევ დიდი დროა მანამდე დარჩენილი, სანამ გამოიკვეთება, რომელი სინჯის მედალს ვინ დაეუფლება. შაბათს ჩატარებულმა შეხვედრებმა მდგომარეობა კიდევ უფრო დაძაბა სატურნირო ცხრილის [illegible]ერზე, სადაც ჯერ ვერავისზე ვიტყვით, განწირულიაო.

ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი 1:1

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ლაშა სილაგავა

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

რა და როგორ მსაჯის თვალით უფერო ბარათი გაგიგიათ?

"ვიტ ჯორჯია"-"ზესტაფონის" მატჩს რომ დიდი აურზაური მოჰყვა, უკვე გიამბეთ. სტუმრები ჩაუთვლელმა გოლმა გამოიყვანა წონასწორობიდან; ზესტაფონელი ქომაგების მსგავსად, რამდენიმე ფეხბურთელიც განრისხდა. ემოციების მოთოკვა განსაკუთრებით **ნიკა გელაშვილს** გაუჭირდა.

მატჩის ოქმში წითელი ბარათი არ დაფიქსირებულა, მაგრამ როგორც შეხვედრის არბიტრმა **ლაშა სილაგავამ** გვითხრა, მან ფეხბურთის ფედერაციაში გელაშვილის მოთამაშის ბარათი წაიღო, რაც ფეხბურთელის დისკვალიფიკაციას მოასწავებს. გელაშვილის საკითხზე კი სადისციპლინო კომიტეტი იმჯელებს. ერთ-ერთი ინფორმაციით, საქართველოს ნაკრების თავდამსხმელმა თანამსაჯ **უკლებას** ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, მაგრამ სილაგავა მისთვის ბარათის ჩამორთმევის მიზეზად სიტყვიერ შეურაცხყოფას ასახელებს, რაც, ბუნებრივია, გელაშვილის სასჯელს შეამსუბუქებს.

რაკი წითელი ბარათი არ მიუღია, ნიკას ჯერ კიდევ აქვს იმის მცირედი შანსი, რომ მომდევნო ტურში ქუთაისის "ტორპედოსთან" გასამართავ უპრინციპულეს მატჩში ითამაშოს. ზუსტად შეიძლება იმის თქმა, რომ ყვითელი ბარათების მეტობის გამო ქუთაისურ შეხვედრას **ბუბა დაუშვილი** და **ჯაბა დვალი** გამოტოვებენ.

"ზესტაფონი" კი გელაშვილის დისკვალიფიკაციისგან დახსნას იურიდიული ბერკეტებით აპირებს...

ორჯერ დასტვენილი, ანუ არ ითვლება

"ზესტაფონელთა" უკმაყოფილების მთავარ მიზეზს გაგახსენებთ: "ვიტ ჯორჯიას" საჯარიმოში დანიშნული თავისუფალი დარტყმა "ზესტაფონმა" გოლად აქცია, მაგრამ რაკი სასტვენის შემდეგ დარტყმა დროულად არ შესრულდა და არბიტრმა "ვიტ ჯორჯიას" ცოცხალი კედლის გასწორება გადაწყვიტა, გოლიც არ ჩაითვალა.

"თქვენს გაზეთში სადავო მომენტი ზუსტადაა აღწერილი. ყველაფერი მარტივადაა, გოლი გასაუქმებელი იყო და გავაუქმე. სასტვენის შემდეგ ზესტაფონელებს ბურთი მომენტალურად არ გაუთამაშებიათ, "ვიტ ჯორჯიას" ცოცხალი კედლის მდებარეობას აპროტესტებდნენ. კედელი მართლაც არასწორად იდგა. მეორედ ჩავსტვინე, თამაში გავაჩერე და ის-ის იყო, კედელში მდგომი ფეხბურთელებისთვის მითითებების მიცემა დავაპირე, რომ "ზესტაფონმა" გაიტანა. ამ დროისთვის თამაში გაჩერებული იყო და თავისუფალი დარტყმა ამიტომაც გავამეორებინე", - ასეთ კომენტარს უკეთებს ამ მომენტს სილაგავა.

XXVII ტურის სიმბოლური ნაკრები

გელაშვილის ბალანსი: კვალიფიკაცია და დისკვალიფიკაცია

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

იმ ფეხბურთელებზეც ვთქვათ, რომლებიც საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ისრაელში ახლდნენ. გასულ ტურში შვიდივე მათგანმა ითამაშა. **როინ კვასხვაძემ, კახა ალადაშვილმა, მურთაზ დაუშვილმა** და **ნიკა გელაშვილმა** "ზესტაფონის" შემადგენლობაში შეუცვლელად ითამაშეს, ასევე 90-90 წუთი დაჰყვეს მოედანზე დინამოელებმა, **გიორგი ლორიამ** და **ალექსანდრე კოშკაძემ** და ოლიმპელმა **ირაკლი მოდებაძემ**. ერთი გოლი და ერთი ფეხბურთელი "ლელოს" ტურის სიმბოლურ ნაკრებში – ასეთია ნაკრების წევრთა მონაგარი და ორივე შემთხვევაში თავი გელაშვილმა გამოიჩინა, თუმცა, სამწუხაროდ, დისკვალიფიკაციითაც დაისჯება.

დერბი თუა, სენსაციაც იყოს

არცთუ დიდი ხნის წინ ქვემოქართლური დერბის გამარჯვებულის გამოცნობას არაფერი უნდოდა, ახლა კი სხვა დროა და დერბი ნამდვილ დერბის ჰგავდა. "სიონს" უცებ დაეტყო **ხვიჩა ქასრაშვილის** მისვლა და გასავარდნ ზონას სწრაფი ტემპით შორდება. ახალი მწვრთნელი ბოლნისელებს ზუსტად იმ დონის ფეხბურთს ათამაშებს, ასეთი შემადგენლობის გუნდს რომ შეეფერება. თავიდანვე ნათელი იყო, რომ "ოლიმპს" ბოლნისში დაგეგმილი სამი ქულის მოპოვება გაუჭირდებოდა, მაგრამ მაინც შეგვიძლია, ეს შედეგი მცირე სენსაციად მოვნათლოთ.

ქვემოთ რა ხდება? უჭირს ხალხს!

კოლხეთი-სპარტაკი

ს.კ სპარტაკის პრესსამსახურის ფოტო

გა-დარჩენისთვის მებრძოლებში შედარებით კომფორტულ მდგომარეობაში "სიონია". შეგახსენებთ, უმაღლესიდან პირველ ლიგაში პირდაპირ ორი გუნდი ვარდება, ბოლოდან მესამე კი პირველი ლიგის მესამეადგილოსანს პლეი ოფში შეებრძოლება. "სამტრედიასა" და "კოლხეთის" გასაჭირზე ლაპარაკით თავს აღარ შეგაწყენთ. ორივე ქების ღირსია იმისთვის, რომ დუხჭირი ყოფის მიუხედავად, მაინც ახერხებენ სეზონის ჩამთავრებას და იოლად არაფერს თმობენ. "სპარტაკს" მათთან შედარებით არაფერი უჭირს, უმაღლესში დარჩენის უკეთესი შანსიც აქვს; "სამტრედიამ" და **სოსო ფილიას** დაბრუნებით მოფერიანებულმა "კოლხეთმა" კი სპორტული პრინციპით რომც შეძლონ ელიტაში დარჩენა, მაინც საკითხავი იქნება, რა რესურსებით შეძლებენ მომავალ უმაღლეს ლიგაში თამაშს.

გვერდი მოამზადა
ლევან ჯანეზაშვილმა

ქართული ფეხბურთი

● ქალთა ფეხბურთი

ქალებმა ბურთით მთა-მთა გადაიარეს

თიოთქმის ათი დღის განმავლობაში საქართველოს რეგიონებში ქალ ფეხბურთელთა ტურნირები მიმდინარეობდა.

ამბროლაურში მინი-ფეხბურთში რაჭის თასის ღია გათამაშებაში ამბროლაურის, ქობულეთის, ლანჩხუთის და ქუთაისის (ორი) გუნდები მონაწილეობდნენ. ფინალში, ქობულეთის „ფრიადოსანმა“ ლანჩხუთის „გურია“ 2:0 დაამარცხა და თასს დაეუფლა. ტურნირი რაჭა-ლეჩხუმის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის (პრეზიდენი **გია შარაბიძე**) ძალისხმევითა და თანადგომით ჩატარდა. ორგანიზატორებს მხარში დაუდგა რაიონის საკრებულო (თავმჯდომარე **კახა ფარჯანაძე**) და გამგეობა (გამგებელი **ლევან ჯმუხაძე**).

რაჭიდან გუნდებმა საჩხერეში გადაინაცვლეს და რაიონის ღია პირველობაში იასპარეზეს;

აქ რაჭველების ნაცვლად ტურნირში საჩხერის ორი გუნდი ჩაება. ფინალში ლანჩხუთის „გურიამ“ ქუთაისის ნაკრები 1:0 დაამარცხა. მესამე ადგილი ქობულეთის „ფრიადოსანს“ ერგო. პირველობა კომპლექსური სასპორტო სკოლის (დირექტორი **ჯონი მიქაძე**) და საჩხერის გამგეობის (გამგებელი **ზურაბ ცერცვაძე**) თანადგომით ჩატარდა.

ნინო სორდია
საქართველოს ქალთა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი

● მსოფლიოს საკლუბო რეიტინგი

დინამო ასეულისკენ



ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ (IFFHS) აპრილის საკლუბო რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელშიც საქართველოდან კვლავინდებურად ოთხი კლუბი მოხვდა. ამათგან საუკეთესო პოზიცია კვლავ თბილისის "დინამოს" უკავია, რომელმაც 122-ედან 119-ე ადგილზე აინაცვლა; პროგრესი აქვს საქართველოს ჩემპიონატის ლიდერ "ზესტაფონსაც" - ფეროელები 215-ედან 192-ე საფეხურზე გადავიდნენ; "ვიტ ჯორჯია" 349-ედან 355-ე ადგილამდე დაეშვა, "ოლიმპი" კი 358-ედან 366-ე პოზიციამდე ჩამოქვეითდა.

რაც შეეხება რეიტინგის ზეათეულს, პირველ სამ კლუბს ადგილი არ შეუცვლია, ყველაზე დიდი პროგრესი კი "პორტუს" აქვს, რომელმაც მეცხრე საფეხური მესამეზე გაცვალა.

საუკეთესო ათეული ასე გამოიყურება: 1. ინტერი (იტალია), 2. ბარსელონა (ესპანეთი), 3. რეალი (ესპანეთი), 4. პორტუ (პორტუგალია), 5. ინტერნასიონალი (ბრაზილია), 6. მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი), 7. ბაიერნი (გერმანია), 8. ზენიტი (რუსეთი), 9. ესტუდიანტესი (არგენტინა), 10. ვილიარეალი (ესპანეთი).

ლევან ჯანეზაშვილი

● ექსკლუზივი — წერილი მკითხველისგან

მოგონებები ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობაზე

დასაწყისი 15 თებერვლის ნომერში

ისევ სხდომას დავუბრუნდეთ, რომელმაც მთავარი საკითხი მოაგვარა — „დინამო“ საკავშირო ჩემპიონატში დატოვა, ახლა წერილის დაგმობაღა დარჩა. ტრიბუნაზე ავიდა „დინამოს“ გულშემატკივართა კლუბის პრეზიდენტი, ბატონი გურამ ქავთარაძე, რომელმაც დამსწრეთ აუწყა, აქ კი გადავწყვიტეთ „დინამოს“ საკითხი, მაგრამ მოსკოვში ისეთი წერილი მიგვაქვს ყრილობის მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტის დავალებით, რომ ამ წერილის წაკითხვისთანავე რუსები თვითონ გამოგვაგდებენო. დარბაზში უკმაყოფილო შეძახილები გაისმა - არ წაიღოთ ეგ წერილი, არ წაიკითხოთო. ალღომ მიკარნახა, რომ წერილის შინაარსი გულგრილს ვერ დატოვებდა დარბაზს და ბატონ გურამს დავუძახე, იქნებ წაუკითხოთ წერილი დარბაზს-მეთქი. მან წაიკითხა წერილი და მართალი აღმოვჩნდი, დარბაზის რეაქცია სწორედ ვიგუმანე. სიჩუმე ჩამოვარდა, დაახლოებით 2 წუთი ხმას არავის ამოუღია და უცებ სიჩუმეში ბატონ გიგა ლორთქიფანძის ხმა გაისმა: „წერილის დამწერს ვენაცვალე სულში. წაიღეთ ეგ წერილი მოსკოვში, წაუკითხეთ რუსებს, თუ უნდათ ასეთი ურთიერთობა უნდათ, თუ არა და, ჩამოდით და „დინამომ“ თელავში და წალენჯიხაში ითამაშოს“. რადგან კრებამ წერილი მოიწონა, ახლა იმაზე დაიწყო ლაპარაკი, როგორ უნდა წაეკითხათ მოსკოვში ეს წერილი. დავით ყიფიანმა განაცხადა: რა პრობლემაა, მე წავიკითხავო. იქვე ჩემმა ძმამ, გურამმა განაგრძო, მოდი, ჩვენს დელეგაციას გავაყოლოთ ჩემი ძმა ზურაბი ოპერატორით, გადავიღოთ ჩვენი დელეგატის მიერ წერილის წაკითხვა და შემდეგ საქართველოს ტელევიზიით ვაჩვენოთო. ამ წინადადებაზე დარბაზში გაჩნდა აზრი, რომ ეს უნდობლობას ჰგავს, ითქვა, წავიკითხავთ და წაიკითხავენო. მეც რაღაც უხერხულობას ვგრძნობდი, თითქოს მართლაც არ ვუჯერებდით. ისე გამოდიოდა, რომ ვამოწმებდით. დარბაზს დავეთანხმე — თქვეს და წაიკითხავენ-მეთქი. ჩვენი დელეგაციის მოსკოვში ნასვლამდე გაზეთ „ლელოს“ 9 იანვრის ნომერში დაიბეჭდა საქართველოს დელეგაციის ეს განცხადება.

პატივცემულო დელეგატებო!

გაეცნო რა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის წესდების პროექტს, საქართველოს დელეგაცია აცხადებს: ჩვენ პრინციპულად არ ვეთანხმებით სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის ამ სახით არსებობას, რამდენადაც იგი ლახავს რესპუბლიკის სუვერენიტეტს, გამორიცხავს რესპუბლიკურ ფედერაციათა დამოუკიდებელი ფუნქციონირების შესაძლებლობას და მათ განვითარებას საერთაშორისო საფეხბურთო ასოციაციაში.

გარდა ამისა, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნით ძირეულად იცვლება დამოკიდებულება სპორტულ ფედერაციათა სტატუსის მიმართ. ამასთან დაკავშირებით, დემოკრატიულია დამოუკიდებელი რესპუბლიკური საფეხბურთო ფედერაციების ასოციაციის შექმნა ნებაყოფლობით საწყისებზე, რათა თითოეულ ფედერაციას მინიჭებული ჰქონდეს უფლება, წარმოადგენდეს თავის რესპუბლიკას ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციებში.

საკავშირო ასოციაციას უნდა წარმოადგენდნენ რესპუბლიკათა ფედერაციების მიერ პარიტეტულ საწყისებზე არჩეული ასოციაციის წევრები, ასოციაციის პრეზიდიუმს კი რესპუბლიკების ფედერაციათა პრეზიდენტები.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სიამოვნებით ითანამშრომლებს, მხოლოდ რესპუბლიკურ საფეხბურთო ფედერაციათა შორის ურთიერთობის ასეთი სტრუქტურის ვითარებაში, მით უფრო, რომ ამჟამად ჩვენთან მიმდინარეობს მზადება რესპუბლიკური დამფუძნებელი ყრილობისათვის. ამ ყრილობაზე უნდა შეიქმნას ფეხბურთის დამოუკიდებელი პროფესიული ფედერაცია, რომელსაც ექნება უნარი, იყოს რესპუბლიკის წარმომადგენელი საერთაშორისო საფეხბურთო გაერთიანებაში.

რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციის სრული სუვერენიტეტის გარდუვალობას განაპირობებს ის მოთხოვნები, რაც აუცილებელია საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მიერ მისი აღიარებისათვის“.

ჩვენი საფეხბურთო დელეგაცია — კახი ასათიანი, გივი ნოდია, ვლადიმერ ბარქაია, დავით ყიფიანი, გიორგი ბაქანიძე, შოთა ჭეიშვილი, ჯონი ჯანელიძე, გურამ გაბისკირია, გულსუნდა დუნდუა, თენგიზ ბურჯანაძე და ვალერი თაყაძე მოსკოვში იანვრის შუა რიცხვებში გაემგზავრა. ყრილობის მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტი ჩვეულებრივად აგრძელებდა მუშაობას და ერთ-ერთი შეხვედრის დროს ბატონმა დავით კვინიკაძემ მითხრა: მოდი, ყრილობის სამზადისთან დაკავშირებით ჩემგან, როგორც საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარისაგან ინტერვიუ აიღე გაზეთისთვისო. მე და დავით კვინიკაძეს იმ მომენტისთვის მაინცდამაინც კარგი ურთიერთობა არ გვქონდა. ჩემს სატელევიზიო „საფეხბურთო მიმოხილვებში“ კრიტიკული განწყობა არ მოსწონდა ბატონ დავითს და ერთხელ სერიოზული კამათიც მოგვიხდა ამის თაობაზე, მაგრამ ახლა სხვა ვითარება იყო. ვიგრძენი, ბატონი დავითი კავშირს მთავაზობდა. აშკარა იყო, რომ ყრილობაზე გამოიკვეთებოდა სამი ძალა: საკავშირო პირველობის მომხრენი, ეროვნული ჩემპიონატის მომხრენი (ძირითადად პოლიტიკური პარტიების, „სახალხო ფრონტის“ და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები) და მესამე ძალა - საფეხბურთო სამყაროს ნაწილი. მათ შორის ზოგიერთს აღალად უნდოდა ეროვნული ჩემპიონატი, უფრო მეტი კი კარგად ხვდებოდა, სიო საით უბერავდა და ამიტომ წმინდა პრაგმატული მოსაზრებით ეროვნულ ჩემპიონატს უჭერდა მხარს. ინტერვიუზე დაახლოებით 10 დღე ვიმუშავეთ, ამ პერიოდში საორგანიზაციო კომიტეტის სხდომებიც ჩატარდა, ჩვენმა დელეგაციამაც მოსკოვის კონფერენცია მოითავა. ინტერვიუზე მუშაობისას, ბუნებრივია, კითხვაზეც და პასუხზეც ორივე ერთად ვმსჯელობდით და, შეიძლება ითქვას, ინტერვიუ საქმიანი გამოვიდა. ვეძებდით ფიფასთან ურთიერთობის დიპლომატიურ გზას. ამასობაში გაზეთ „ლელოს“ მთავარმა რედაქტორმა თენგიზ გაჩეჩილაძემ შემოგვთავაზა გაზეთის სახელით ფიფას შტაბ-ბინაში, ციურიხში შეკითხვის გაგზავნა, რასაც დავეთანხმეთ. შეუძლია თუ არა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას გაწევრიანდეს ფიფაში? — ასეთი იყო შეკითხვის არსი. ფიფამ პასუხი არ დააყოვნა, უარი გვითხრა, არ შეგიძლიათ ფიფაში გაწევრიანდეთო, თუმცა მათ მიერ მოყვანილი არგუმენტები ვერ იყო დამაჯერებელი, აშკარა იყო, რომ ფიფა უკიდურესად ერიდებოდა ისეთი მძლავრი ქვეყნის საქმეებში ჩარევას, როგორიც იყო საბჭოთა კავშირი. მოგვიანებით კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მხარდაჭერა გამოუცხადა ფიფამ საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციას და მის პრეზიდენტს, ბატონ ვიაჩესლავ კოლოსკოვს, მაგრამ ჩვენ ჩვენი გზა გვქონდა და შეუპოვრად მივდიოდით მიზნისკენ.

ზემოხსენებულ ინტერვიუზე მუშაობისას ერთ საღამოს უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ახლოს ბატონ დავით კვინიკაძის მანქანაში ვიჯექით, როდესაც მოულოდნელად დავითმა მკითხა, პრეზიდენტობის კანდიდატი თუ გყავსო, მე ვუთხარი, რომ ჩვენს ფრთას ასეთი კანდიდატი არ ჰყავდა, შემდეგ მკითხა, ვინ გგონია პრეზიდენტიო, მე ვუპასუხე, ავთო ჭკუასელი-მეთქი. მეხუმრებიო? მაშინ ჟორა ბაქანიძე-მეთქი. სერიოზულად გეკითხებიო. კახი ასათიანი-მეთქი. ასათიანის მიზნები ორივემ ვიცით, მას გადაწყვეტილი აქვს, 5 მთავარი გუნდი დატოვოს საკავშირო პირველობაზეო. იქ მოვილაპარაკეთ, რომ ჩვენი ორი ძალა გაერთიანდებოდა, პრეზიდენტობაზე ორივე დავაყენებდით საკუთარ კანდიდატურას და მსვლელობისას ვისაც უკეთესი შანსი ექნებოდა, მეორე მხარე ხმებს მას მისცემდა, ამით გარანტირებული იქნებოდა გამარჯვება და, რაც მთავარია, ფედერაციის დამოუკიდებლობა და ეროვნული ჩემპიონატი.

ზურაბ პეტრიაშვილი
გაგრძელება სამშაბათიდან

● I ლიგა, XXIV ტური

ნორჩი დინამელი-ჭიათურა 1:2

30.03. თბილისი. შატილი. 100 მაყურებელი

1:0 გ. შუშაშვილი (29), 1:1 ლ. ქურდაძე (71), 1:2 ლ. კობახიძე (86)

ნ. დინამელი: ა. ბილიხოძე, თ. ნემსიწვერიძე (41. ნ. ბინკინაშვილი), ა. ხვთისავრიშვილი, გ. ლომიძე, ო. გაგნიძე, გ. შუშაშვილი (79. დ. ქიმერიძე), გ. თანნიაშვილი, ლ. ელიზბარაშვილი, ბ. ახალბედაშვილი (62. მ. ლომაია), ლ. ლაბარტყავა, ზ. ძაგანია

სათადარიგოები: დ. გლოველი, გ. ჯაჭვაძე, ი. მახათაძე, ფ. ზირაქაძე

მთავარი მწვრთნელი: ვალერი გაგუა

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი, ბ. ჭუბბურიძე, გ. ბრეგვაძე, გ. გაფრინდაშვილი, ლ. ცუცქირიძე, ა. დოლნაძე (61. დ. ტაბატაძე), ლ. ქურდაძე, ზ. ნოზაძე, ვ. ჯეჯელაძე, ლ. კობახიძე, გ. ცუცქირიძე (90. გ. ზაბახიძე).

სათადარიგოები: ა. დარბაიძე, მ. მეცხოვრიშვილი, კ. კაპანაძე

მთავარი მწვრთნელი: ამირან სევასტოპულო

გაფრთხილება: თ. ნემსიწვერიძე; ა. დოლნაძე

არბიტრი: დავით სანოძე (ხონი)

ჩიხურა-ბათუმი 1:0

30.03. საჩხერე. ცენტრალური. 500 მაყურებელი

1:0 დ. ჩაგელიშვილი (78)

ჩიხურა: შ. დოლაძე, ნ. მაჭარაშვილი, გ. გიორგლიძე, ი. გვეტაძე, ლ. ჩიკვაიძე, ი. ტყებუჩავა, დ. ქამუშაძე (60. გ. ქიმაძე), ა. ალავიძე, ა. ივანიშვილი (65. თ. მეტრეველი), მ. მიქაძე (65. თ. მუმლაძე), დ. ჩაგელიშვილი

გუშინ გურული დერბი ლანჩხუთში ფრედ 1:1 დასრულდა — მამუკა ქანთარიას ფოტო

სათადარიგოები: გ. ბეგაშვილი, ბ. დემეტრაშვილი, ო. გიორგობიანი

მთავარი მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

ბათუმი: რ. თევდორაძე, დ. სამსეიშვილი, ზ. ლობჟანიძე, ა. ბაჯელიძე, კ. მაკარიანი, გ. მანნკავა (71. მ. ფარტენაძე), მ. ყვანია, ვ. გრიგალაშვილი, თ. ბერიძე (81. მ. ჯორბენაძე), მ. კაკალაძე, ზ. ხაჭიპერაძე (ა. ბაციკაძე).

სათადარიგოები: შ. მამინაშვილი, ლ. რამიშვილი, ვ. თევდორაძე, გ. გოგიტიძე

მთავარი მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე

გაფრთხილება: ა. ალავიძე, გ. ქიმაძე, თ. მუმლაძე, ი. გვეტაძე; დ. სამსეიშვილი, გ. მანნკავა.

არბიტრი: გიორგი ვადაჭკორია (თბილისი)

სკური-იმერეთი 1:0

30.03. ნალენჩიხა. ს. კვარაცხელია. 300 მაყურებელი

1:0 დ. ჩახაია (90)

სკური: ვ. ჯღინდავა, ბ. გვილია, ი. ნაჭყებია, ე. ფარცვანია, ზ. მოლაშხია (81. ბ. სვანიძე), ლ. ქანთარია, თ. ვერგედავა (66. დ. რაფავა), ი. მალიჩავა, ბ. გუჯეჯიანი, გ. ჭკუასელი, დ. კუტალია (75. დ. ჩახაია)

სათადარიგოები: ტ. ხარჩილავა, გ. კვირკვია, ა. მიქნანაია, გ. აკობია

მთავარი მწვრთნელი: ვასო გულორდავა

იმერეთი: გ. ნიკაბაძე, დ. ხაბურძანია, ბ. ბიბილაშვილი, ბ. ხაჭიპერაძე, თ. ხარებავა, რ. კაშია, ა. მეტონიძე, გ. გოდერიძე, გ. უგლავა (83. ი. ვეკუა), ლ. კირკიტაძე, დ. კუხალაშვილი (53. რ. კვერნაძე).

სათადარიგოები: ი. შენგელია, ვ. ბრეგაძე, ა. თელია, ი. ასათიანი

მთავარი მწვრთნელი: დავით ჭელიძე

გაფრთხილება: გ. ჭკუასელი; გ. უგლავა

არბიტრი: მამუკა ურუშაძე (თბილისი)

დილა-გურია 5:0

30.03. გორი. თ. გუროვანაძე. 500 მაყურებელი

1:0 რ. ახალკაცი (19), 2:0 თ. შათირიშვილი (31), 3:0, 4:0 ნ. სადაღაშვილი (62, 68), 5:0 რ. გოგინაშვილი (79).

დილა: ბ. შეყრილაძე, დ. ჭითანავა (46. ი. ლომიძე), დ. ბაქრაძე (46. ლ. თედიაშვილი), გ. ქარქუშაშვილი, თ. შათირიშვილი, ნ. სადაღაშვილი, ვ. ჯოჯუა, ვ. ნემსაძე, დ. რაჟამაშვილი, რ. ახალკაცი (63. ნოდარ ნიკოლოზის ძე ნოზაძე), რ. გოგინაშვილი.

სათადარიგოები: ბ. კეჩხუთაშვილი, ნოდარ ნოდარის ძე ნოზაძე, ა. კვარაცხელია, ი. ცნობილაძე

მთავარი მწვრთნელი: გიორგი ცეცაძე

გურია: ი. ხვედელიძე, თ. ლომაძე, გ. ჭეიშვილი, ბ. წერეთელი, გ. შენერული, თ. სიგსივე (85. ნ. ხარაშვილი), ს. ბახია, გ. თოლორდავა (78. ნ. წერეთელი), ზ. რაზმაძე, ნ. ებრალიძე (60. ბ. ტულუში), ლ. რუსიეშვილი

სათადარიგო: რ. იმნაძე

მთავარი მწვრთნელი: ირაკლი ფაცურია

გაფრთხილება: ნ. ნოზაძე

არბიტრი: ბაკურ ნინუა (ქუთაისი)

ჩხერიმელა-მეშახტე 2:0

30.03. ხარაგაული. ს. აბაშიძე. 200 მაყურებელი

1:0 ა. ლაბაძე (63), 2:0 გ. ზაქარაშვილი (84)

ჩხერიმელა: ი. კუჭუხიძე, ვ. ტაბატაძე, ნ. ხარაბაძე, ა. ქაშაკაშვილი (46. რ. ჩიხლაძე), ც. ხარაბაძე, ლ. მახარაძე, გ. თურმანიძე (57. ა. ლაბაძე), გ. კუხანიძე, ბ. ძაგანია, ჯ. ავალიშვილი, გ. ზაქარაშვილი (85. ვ. თაბუკაშვილი).

სათადარიგოები: მ. ლომსაძე, კ. კუბლაშვილი, თ. კიკნაძე, ბ. ხეცურიანი

მთავარი მწვრთნელი: მამუკა ხუნდაძე

მეშახტე: დ. ოდიშარია, თ. ღვინიაშვილი, ბ. ბერაია, ლ. მაჩალაძე, ა. გუბელაძე, გ. აბურჯანია, ა. ნოზაძე (88. ბ. ჯიშიაშვილი), გ. ჯიშიაშვილი, ვ. ჭაჭიაშვილი (88. ა. სახელაშვილი), დ. გოგოლაძე, გ. ბოხუა (46. ვ. აფციაური).

სათადარიგოები: ი. ორბელაძე, ა. ქუთათელაძე

მთავარი მწვრთნელი: დავით გვენეტაძე

გაფრთხილება: ა. ლაბაძე, ც. ხარაბაძე; ლ. მაჩალაძე, თ. ღვინიაშვილი, ბ. ბერაია

გაძევება: ა. ლაბაძე

არბიტრი: თემურ ხუჭუა (სამტრედ)

ადელი-კოლხეთი (ხ) 1:3

30.03. ბათუმი. ადელი. 100 მაყურებელი

0:1 ი. კუტალია (35), 0:2 გ. ლომაია (41), 0:3 მ. ჭკადუა (53), 1:3 გ. სირაბიძე (79)

ადელი: გ. რომანაძე, ლ. კვანტალიანი, ბ. ზოიძე (46. გ. დავითაძე), ნ. წულუკიძე, მ. ფუტკარაძე, ხ. მერაბიშვილი (72. გ. სირაბიძე), ზ. მეკვანაძე, დ. ჯალაღანია, ლ. მამეიშვილი, ფ. მოროტიე (6. ს. მამისეიშვილი), ა. აბუსერიძე

სათადარიგოები: გ. დეკვაძე, ზ. გობეჯიშვილი, ი. დეკვაძე, გ. ზოიძე

მთავარი მწვრთნელი: გია ჯორბენაძე

კოლხეთი: დ. ხარძეიშვილი, გ. ფარფალია, ლ. გოგენია, ვ. ფირცხალავა, ი. კუტალია (65. რ. ჩიტაია), ც. ბუკია, გ. გოგენია (70. კ. ალანია), მ. ბესარაშვილი (68. კ. გოგენია), გ. ლომაია, მ. ჭკადუა, ო. ფიფია.

სათადარიგოები: ზ. გელაშვილი, მ. შონია, ლ. ჩაჩიბაია

მთავარი მწვრთნელი: კალისტრატე ხუციელავა

გაფრთხილება: ა. აბუსერიძე

არბიტრი: ალეკო გუნთაძე (ლანჩხუთი)

მერცხალი-მარგვილი 0:0

30.03. ოზურგეთი. ცენტრალური. 500 მაყურებელი

მერცხალი: გ. გოგუა, ვ. ტუტოიანი, სერგო გ. ჩიგოგიძე, ვ. რამიშვილი, გ. ხამაშურიძე, გ. მაკასარაშვილი (34. ლ. ათუაშვილი), ზ. ტულუში, რ. ჭეიშვილი (74. ზ. ხურციძე), სერგო ვ. ჩიგოგიძე, ლ. ჩხაიძე, თ. ცეცხლაძე (46. ნ. ხინთიბიძე).

სათადარიგოები: ი. მურუსიძე, კ. ნაკაიძე, ი. ბაჯელიძე, დ. აფრადონიძე

მთავარი მწვრთნელი: ხარიტონ ჩხატარაშვილი

მარგვილი: ჯ. შეროზია, ვ. იობაშვილი, გ. ყვანია, ა. სუხნიაშვილი (73. გ. თოდუა), თ. კაკუშაძე, ჟ. იატრო (60. ლ. ჩალაძე), გ. წოწორია, დ. ბერუაშვილი. გ. ამბროლაძე, ლ. კუჭუხიძე, მ. ტაპე (68. ო. ტორაძე)

სათადარიგოები: ლ. გორდე ზიანი, გ. მემანიშვილი, კ. მელიავა, ო. ფაცაცია

მთავარი მწვრთნელი: მალხაზ ყვანია

გაფრთხილება: გ. მაკასარაშვილი, თ. ცეცხლაძე, რ. ჭეიშვილი, ზ. ხურციძე, გ. გოგუა; ა. სუხნიაშვილი, დ. ბერუაშვილი

არბიტრი: თოთარ ხეცაძე (თბილისი)

ლოკომოტივი-გაგრა 0:5

30.03. საგურამო. 100 მაყურებელი

0:1 შ. კვანტალიანი (19), 0:2 ვ. ორდინსკი (23), 0:3 ა. ოვონიკოკო (47), 0:4 ვ. ორდინსკი (48), 0:5 შ. კვანტალიანი (51)

ლოკომოტივი: თ. ნიორაძე, გ. მჭედლიშვილი, ზ. გვაძაბია, გ. ხატიაშვილი, დ. საჯაია, გ. კაპანაძე, გ. ბოჭორმელი, თ. ჩარგეიშვილი (54. ა. ძიძიგური), ა. შენგელია, გ. შარანგია (63. დ. გაბელია), ნ. შერაზადიშვილი (46. დ. ბაქრაძე)

სათადარიგოები: გ. ნაჭყებია, დ. ვაშაკიძე, დ. მიქავა, გ. ჭოველიძე

მთავარი მწვრთნელი: ლაშა ჭაღიაშვილი

გაგრა: კ. სეფიაშვილი, ჯ. გაბუნია, გ. ტყეშელაშვილი, ზ. ჩხეტიანი, ნ. ჯიშკარიანი, ი. ხუციძე, მ. ნაკონეჩნი (68. ნ. ჭკუასელი), ლ. შარიქაძე, დ. ციცხვაია (46. ა. ოვონიკოკო), შ. კვანტალიანი, ვ. ორდინსკი (55. გ. გაბედავა)

სათადარიგოები: ლ. ნადირაშვილი, დ. გიგური, ლ. კალანდაძე, ბ. ქართველიშვილი

მთავარი მწვრთნელი: ანატოლი პისკოვეცი

გაფრთხილება: მ. ნაკონეჩნი

არბიტრი: მალხაზ ბეუქლიშვილი (ყვარელი)

XXV ტური

მეშახტე-ლოკომოტივი	2:0
გურია-მერცხალი	1:1
ბათუმი-სკური	4:0
მარტვილი-ჩხერიმელა	0:0
გაგრა-ადელი	3:0
კოლხეთი-სამგურალი	2:1
იმერეთი-დილა	2:0
ჭიათურა-ჩიხურა	0:1

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. გაგრა	24	17	5	2	57-15	56
2. მარტვილი	24	15	7	2	44-10	52
3. დილა	24	14	7	3	44-19	49
4. ჩიხურა	23	14	4	5	39-20	46
5. ბათუმი	23	13	6	4	49-11	45
6. კოლხეთი (ხ)	23	10	9	4	25-18	39
7. გურია	24	11	3	10	42-46	36
8. სამგურალი	23	7	5	11	29-45	26
9. მერცხალი	23	6	6	11	34-52	24
10. ჩხერიმელა	23	5	9	9	27-37	24
11. იმერეთი	23	7	2	14	23-33	23
12. ლოკომოტ.	23	6	5	12	24-36	23
13. ჭიათურა	23	6	5	12	22-52	23
14. ნადიანმოელი	22	7	1	14	27-46	22
15. მეშახტე	21	6	4	11	26-35	22
16. სკური	23	5	4	14	21-40	19
17. ადელი	23	5	2	16	25-43	17

ლეგიონი

ბერიაშვილის პირველი ლეგიონური

ლატვიაში და ბელარუსში ჩემპიონატი ქართულად დაიწყო

აზერბაიჯანულ პრემიერლიგაში მე-2 ეტაპის მე-3 ტურის მატჩები გაიმართა. საჩემპიონო ექვსეულში მთავარი შეხვედრა რესპუბლიკურ სტადიონზე შედგა, სადაც ლიდერმა „ნეფთჩიმ“ **გიორგი ადამიას** „ყარაბახს“ 2:0 მოუგო. სტუმართა რიგებში 90 წუთი ითამაშა ჩვენმა თანამემამულემ, რომელიც ბომბარდირთა დავაში მეორე ადგილზეა, 0:2-ზე ხელსაყრელი შანსი გაუშვა ხელიდან: ადამიამ კარგად დაარტყა, მაგრამ ბურთი „ნეფთჩის“ მეკარე **მეხტიევმა** მოიგერია.

მიუხედავად იმისა, რომ **კახა ცხადაძის** „ინტერს“ დიდი სათამაშო უპირატესობა ჰქონდა აზალთან მატჩში, გოლი აქეთ გაუშვა და 0:1 დამარცხდა. სხვათა შორის, თავიდან გავრცელდა ცნობა, რომ გოლის ავტორი აზალის ქართველი შემტევი **ნუგზარ კვირტაია**, მაგრამ სინამდვილეში გოლი **გენადი ბლიზნიუკმა** გაიტანა, რაშიც ვიდეომიმოხილვის ნახვის შემდეგ დავრწმუნდით. **გიორგი ლომაია** სათადარიგო იყო, ქართულმა კვარტეტმა კი ითამაშა: **კახა მჟავანაძემ** და **ვალერი აბრამიძემ** - შეუცვლელად, **დავით ოდიკაძე** მატჩის მიწურულს შეცვალეს, **ილია კანდელაკი** კი - პირველივე ტაიმში. სამწუხაროდ, ჩვენებურმა საკმაოდ მძიმე ტრავმა მიიღო (მხარი ამოიგდო).

„ყარაბახი“ 48 ქულით მესამე ადგილზეა, აზალი 42 ქულით მეოთხეზე გადავიდა, ხოლო „ინტერი“ (41) მეხუთეზე დაქვეითდა. პრემიერლიგაში დარჩენისთვის მებრძოლ ექვსეულში „თურანმა“ 1:0 მოუგო სტუმრად „სიმურგს“. ეს ერთადერთი გოლი „ვიტ ჯორჯიასა“ და „ოლიმპის“ ყოფილ ფორვარდ **გიორგი ბერიაშვილის** ანგარიშზეა, მან მე-8 წუთზე საჯარიმო დარტყმით გაიტანა. სხვათა შორის, ეს ჩვენებურის პირველი გოლია აზერბაიჯანში. 73-ე წუთზე ბერიაშვილი შეცვალეს, 58-ე წუთიდან ჩაება თამაშში „თურანის“ კიდევ ერთი ქართველი **ოლეგ გველესიანი**. **გოგა ბერაია** „გაბალა“ შინ 1:1 ეთამაშა **ზურაბ ძამსაშვილის** „განჯას“. ორივე ჩვენებურმა 90-90 წუთი ითამაშა და ორივე გააფრთხილეს. მოიკისა და „მუღანის“ უღიმღამო მატჩში (0:0) სტუმართა რიგებში შეუცვლელად ითამაშა **გიორგი გულორდავამ**, „გაგრას“ ყოფილმა ნახევარმცველმა. აღსანიშნავია, რომ მეორე ექვსეულის ქართველთა გუნდებს გავარდნა არ ემუქრებათ.

სომხეთის ჩემპიონატში ჯერ სულ სამი ტურია ნათამაშები. კარგად დაიწყო ჩემპიონატი ქართველთა „ულისმა“, რომელიც 7 ქულით ერთპიროვნული ლიდერი გახდა. „ულისმა“ შინ „პიუნიკი“ დაამარცხა - 1:0. **ლევან აკობიამ**, **თენგიზ უგრეხელიძემ** და **გიორგი კრასოვსკიმ** შეუცვლელად ითამაშეს, კონგოელი **პატოს** ნაცვლად შესვენების შემდეგ **შოთა ჯიქია** გამოჩნდა.

„განძასარმა“ 1:0 სძლია „შირაკს“, ორივე გუნდის კარში კი ქართველი იდგა, მასპინძელთა ღირსებას **ლევან ბუბუტეიშვილი** იცავდა, ხოლო სტუმართა რიგებში ტრავმირებული კოლეგა 49-ე წუთზე შეცვალა **გელა ძამუნაშვილმა**. არც ერთ ჩვენებურს გოლი არ გაუშვია, მასპინძელთა გუნდში 78-ე წუთზე **დავით ხანიშვილი** გამოჩნდა. **გაგა თიბილაშვილის** „იმპულსმა“ 2:0 დაამარცხა „არარატი“.

მოლდოვის ნაციონალურ დივიზიონში **ლევან კორღალიძემ** 61-ე წუთამდე ითამაშა „დაჩიას“ შემადგენლობაში, **მამუკა ლომიძემ** - მთელი შეხვედრა, ერთ-ერთმა ლიდერმა კი 2:0 მოუგო „ოლიმპიას“. **სანდრო შუღლაძის** „ისკრა-სტალმა“ სტუმრად 3:0 დაამარცხა „გაგაუზია“, ჩვენებურმა 90 წუთი ჩაამთავრა. **ვაჟა თარხნიშვილმა** შეუცვლელად ითამაშა „შერიფისა“ და „მილსამის“ მატჩში, რომელიც ჩემპიონმა 2:1 მოიგო.

ამ უქმეებზე დაიწყო ბელარუსის ჩემპიონატი (ახლა ევროპაში მხოლოდ ერთი ქვეყანაღა დარჩა, სადაც სეზონი არ დაწყებულა ან არ განახლებულა - ფინეთი). პირველივე ტურში ქართული გოლიც ვიხილეთ, ის ბრესტის „დინამოს“ 24 წლის ნახევარმცველის, **ზაზა ჭელიძის** ანგარიშზეა. ზაზამ 72-ე წუთზე დაუსვა წერტილი „ვიტებსკის“ ტანჯვას - 3:0. ჩვენებურმა 90 წუთი ითამაშა.

ბელარუსის უმაღლეს ლიგასთან ერთად დაიწყო ლატვიის ვირსლიგაც. სტარტი კარგი გამოუვიდა **თამაზ პერტიას** „დაუგავას“, რომელმაც 3:1 დაამარცხა „გულბენე“. სამიდან ორი გოლი ქართულია, თავი ჯერ **გიორგი ჩიხრაძემ** გამოიჩინა, შემდგომ - **მამუკა ლონღაძემ**. რიგის „ოლიმპსი“ ლიეპაიას „მეტალურგსთან“ 1:4 დამარცხდა. წაგებულთაგან ერთადერთი გოლი **თომა ტაბატაძის** ანგარიშზეა. ესტონეთში კვლავ „ფლორას“ სარეზერვო გუნდში ითამაშა **ზაქარია ბეგლარიშვილმა** და კვლავ გაიტანა, ამჯერად „ლეგიონის“ კარში - 4:2.

ნიკოლოზ ნეფარიძე

იტალია. სერია A. ტურის მიმოხილვა

GIUDA INTERISTA

ემოციების ზღვა კალჩოში

ბასულ უქმეებზე, იტალიურ საფეხბურთო სამყაროში ემოციები დუღდა და გადმოდუღდა. ჯერ კიდევ თამაშების დაწყებამდე ატყდა ერთი ამბავი, როდესაც კარაბინიერებმა ვინმე **მარკო რიგეტო** დააკავეს, რომელიც მილანური დერბის ჩაშლას ტერორისტული აქტით აპირებდა - თუმცა დერბის და ფეხბურთს ვინ ჩივის, ასაფეთქებული ნივთიერება რომ ამოქმედებულიყო, ასობით ადამიანი დაიღუპებოდა. „მადონინა“ ღვთაებრივ დერბის ნიშნავს და ღმერთმა მართლაც დაიფარა იტალია დიდი ტრაგედიისგან.

დერბი შედგა, „მილანმა“ მინასთან გაასწორა თანაქალაქელი და ამის შესახებ ტურის მიმოხილვაში ვრცლად ვისაუბრეთ. იმ ბანერის შესახებაც ვთქვით, რომელიც „როსონერის“ ულტრასებმა თავის სექტორზე გაშალეს, თუმცა დღეს კიდევ უფრო ვრცლად უნდა შევეხოთ ამ თემას, რადგან იტალიაში დიდი რეზონანსი მოჰყვა. ბანერზე იესო ქრისტე გახლდათ გამოსახული და მისი თორმეტი მოწაფე - იქიდან თერთმეტი „შავ-ნითელ“ სამოსში იყო გამოსახული; ერთი, ანუ იუდა კი - „შავ-ლურჯში“. თუ ვინ იყო იმ ბანერზე იუდა, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს - რა თქმა უნდა, „ნერაძურის“ მთავარი მწვრთნელი **ლეონარდო**. ადამიანი, რომელმაც პრაქტიკულად მთელი საფეხბურთო კარიერა „მილანში“ გაატარა და სამწვრთნელო საქმიანობაც ამ გუნდში დაინყო, დღეს „ინტერის“ მთავარი მწვრთნელია, რაც მისი მშობლიური გუნდის გულშემატკივრებმა ვერ აიტანეს. ლეოს საქციელი არაერთმა „მილანისტამ“ გააკრიტიკა, ბევრმა კი უბრალოდ განაცხადა, რომ ასეთ გადაწყვეტილებას არასდროს მიიღებდა - მაგალითად, **პაოლო მალდინიმ** და **კარლო ანჩელოტიმ**. ერთადერთი, ვინც ლეონარდოს საქციელი გაამართლა, **ტიაგო სილვა** გახლდათ. აი, რა განაცხადა „მილანის“ ცენტრალურმა მცველმა:

„მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანი არაა, რაც „მილანში“ ვთამაშობ, ამ გუნდის გარეშე ჩემი თავი ველარ წარმომიდგენია. მხოლოდ ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, სხვაგან გადასვლაზე არც კი ვიფიქრებდი და აქვე დავასრულებდი კარიერას. თუმცა, ლეონარდო დამწყები სპეციალისტია და როდესაც ასეთ წინადადებას იღებ, ძნელია უარი თქვა. ამ ადამიანმა ძალიან ბევრი რამ მისცა „მილანს“ და ვერ დავეთანხმები ჩვენს გულშემატკივრებს, რომლებმაც ღალატში დადეს ბრალი და შეიძულეს. თანაც, ზუსტად ვიცი, რომ ლეო დღემდე „როსონერის“ ქომაგად რჩება და მის გულში ჩვენს გუნდს დიდი ადგილი უკავია“.

ლეონარდოს თქმით, მას ერთი წუთითაც არ უნანია, რომ „ინტერის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე მუშაობის გადაწყვეტილება მიიღო. არადა, ამ ნაბიჯით ნახევარი მილანი გადაიმტერა, ის ნახევარი, რომელიც აღმერთებდა - გააღმერთებს თუ არა ლეოს ქალაქის მეორე ნახევარი, დღეს ამაზე საუბარი ძალიან ადრეა.

ედინსონ კავანის უკვე აღმერთებენ ნეაპოლში და თუ რატომ, ამაზე ქვემოთ აუცილებლად ვისაუბრეთ. წინასიტყვაობაში კი იმ ატმოსფეროზე ვთქვათ, რომელიც „სტადიო სან პაოლოზე“ „ნაპოლი“-„ლაციოს“ მატჩის მსვლელობისას იყო. ამ მართლაც ფანტასტიკურმა თამაშმა ჭკუიდან გადაიყვანა ტრიბუნებზე შეკრებილი 60 000 ტიფოზი და მათ შორის, სამხრეთული კლუბის პრეზიდენტი **აურელიო დე ლაურენტისი**. კავანის მიერ გამარჯვების გოლის გატანის შემდეგ, სენიორ აურელიოს სტატუსიც დაავიწყდა და ასაკიც: გაგიჟდა, გადაირია და ისე იქცეოდა, როგორც რიგითი ულტრასი - ამის შემხედვარე, სრულიად ნათელი ხდება, თუ რატომ არ შეიძლება იტალიაში ესპანური ტრადიციის დანერგვა, სადაც კლუბების პრეზიდენტები ერთმანეთის გვერდით სხედან.

ტურის სიმბოლური ნაკრები

სტორარი (იუვენტუსი) - **მაჯო** (ნაპოლი), **აპარდი** (ბრეშა), **ნესტა** (მილანი), **ბროსო** (იუვენტუსი) - **ბერტოლაჩი** (ლეჩე), **ზეედორფი** (მილანი), **მაური** (ლაციო), **დოსენა** (ნაპოლი) - **კავანი** (ნაპოლი), **პატო** (მილანი).

ჯანლუიჯი ბუფონის ტრავმამ „იუვენტუსს“ ვერაფერი დააკლო - პირიქით, **მარკო სტორარომ** ბრწყინვალედ ითამაშა „რომას“ წინააღმდეგ და ის, რომ ტურინელებმა დედაქალაქში სამი ქულა აიღეს, ამაში უდიდესი წვლილი მიუძღვის. შესაბამისად, ტურის სიმბოლურ გუნდში სრულიად დამსახურებულად მოხვდა. მერვედ ერგო ასეთი პატივი ედინსონ კავანის, რომელმაც საუცხოო შეხვედრა ჩაატარა „ლაციოს“ წინაარმდეგ და განაპირობა კიდეც „ნაპოლის“ მორიგი გამარჯვება. ურუგვაელს **ალეშანდრე პატო** უმშვენებს გვერდს, ბრაზილიელმა ფორვარდმა დუბლი შეასრულა მილანურ დერბიში და მისი რჩეულ ფეხბურთელებს შორის მოხვედრაც სრულიად ბუნებრივია. ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც სიმბოლურში მხოლოდ ორი გამოკვეთილი თავდამსხმელი მოხვდა, ოთხი ნახევარმცველი და ოთხიც მცველი, ანუ კლასიკური ტაქტიკა: 4-4-2 მივიღეთ. შუახაზში **კლარენს ზეედორფი** და **სტეფანო მაური** უნდა გამოვარჩიოთ - ჰოლანდიელმა ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა „მადონინაში“, უდირიჟორა გუნდს და ისეთი პასები არიგა, ერთ რამედ ღირდა. რაც შეეხება მაურის, „ლაციოს“ ნამდვილ ლიდერად მოგვევლინა და ის, რომ „ბიანკოჩელესტეს“ შეტევა ძალიან კარგად გამოიყურებოდა, სწორედ მისი დამსახურება გახლდათ - სტეფანოს გოლი კი ცალკე სალაპარაკო თემაა, ორ მცველს აუარა გვერდი და მარცხენა ფეხით შეაცურა ბურთი **მორგან დე სანკტისის** კარის ბადეში.

ტურის გმირი

როდესაც მილანურ დერბიში დუბლს შეასრულებ, ეს გოლები კი გამარჯვების მომტანი გამოდგება და მიუხედავად ამისა, ტურის გმირის სტატუსს სხვას მიანიჭებენ, ე.ი. იმ სხვამ საოცარი თამაში ჩაატარა. ედინსონ კავანიმ მართლაც რომ იფრინა და „ნაპოლის“ კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოუტანა. ვინ მოთვლის მერამდენე შეხვედრაში შეაგდო ურუგვაელმა გადამწყვეტი გოლი, თუ გოლები და სამხრეთელებს სამი ქულა ააღებინა. ამ შემთხვევაში ჰეთთრიკი შეასრულა „ლაციოსთან“ პაექრობაში და საკუთარი გოლების რაოდენობა 25-მდე გაზარდა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ედინსონისთვის ეს პირველი სეზონია ნეაპოლურ გუნდში და გამომდინარე აქედან, მისი მიღწევა კიდევ უფრო დასაფასებელია. ნამატჩევს, ურუგვაელი შესანიშნავ ხასიათზე იყო:

„ჩემი ასეთი თამაში დიდწილად გულშემატკივრების დამსახურებაა და ეს ჰაერზე ნათქვამი სიტყვები არ გეგონოთ. როდესაც თითოეულ პაექრობაში 50 000-მდე გადარეული ტიფოზი მბარს გიჭერს, შეუძლებელია, რომ საკუთარ თავს მაქსიმუმი არ მოსთხოვო. მადლობა ღმერთს, რომ ნეაპოლში გადმოვბარგდი, ამ მართლაც საოცარ, გადარეულ ქალაქში“.

ტურის ცვლილება

ნეაპოლელები კარგი გაგებით მართლაც გადარეულები და გიჟები არიან, მაგრამ მათ რომ არც სიცილიელები ჩამორჩებიან დიდად, **მაურიციო ძამპარინის** მაგალითზეც კარგად ჩანს. მას შემდეგ, რაც სიცილიურ დერბიში „პალერმომ“ გამანადგურებელი მარცხი იწვნია „კატანიასთან“, ძამპარინიმ **სერსე კოსმის** გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო. მოუხედავად იმისა, რომ მაურიციოსგან სიურპრიზები ჩვეულებრივი ამბავია, ასეთმა არანორმალურმა გადაწყვეტილებამ მაინც ბევრი გააკვირვა. შეგახსენებთ, რომ სერსე კოსმი დაახლოებით ერთი თვის წინ შეცვალა **დელიო როსი** და ახალ საქმეს დიდი ენთუზიაზმითაც შეუდგა. და გაინტერესებთ ვინ შეცვლის კოსმის? - კარგად დაჯექით სკამზე: დელიო როსი.

XXXI ტურს კიდევ ერთი სამწვრთნელო ცვლილება მოჰყვა - „ბარისთან“ საშინაო მარცხის შემდეგ, „პარმას“ მთავარი მწვრთნელის პოსტი **პასკუალე მარინომ** დატოვა, უფრო სწორად - გაათავისუფლეს. პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მარინოს **ფრანკო კოლომბა** შეცვლის, რომელიც უახლოეს დღეებში ემილიურ კლუბთან ხელშეკრულებას გააფორმებს. კონტრაქტს სეზონის ბოლომდე ექნება ძალა და მხოლოდ იმ შემთხვევაში გახანგრძლივდება, თუ პარმეზანელებმა ელიტაში შეინარჩუნეს ადგილი.

ტურის მოულოდნელობა

ტურის მოულოდნელობა „უდინეზეს“ „ლეჩესთან“ მარცხი გახლავთ. არადა, ტურის წინასიტყვაობაში ვამბობდით, რომ XXXI სათამაშო დღე შესაძლოა ფრიულელების ყოფილიყო განსაკუთრებულად წარმატებული. „უდინეზეს“ აუცილებლად უნდა მოეგო ჩემპიონატის აუტსაიდერისთვის და ყველა შემთხვევაში გაიუმჯობესებდა სატურნირო მდგომარეობას, რადგან კონკურენტები აუცილებლად დაკარგავდნენ ქულებს. თავად განსაჯეთ, უდინელებს რომ მოეგოთ, მთავარ მდევარ „ლაციოს“ მთელი ხუთი ქულით გაუსწრებდნენ და უდიდეს ნაბიჯს გადადგამდნენ ჩემპიონთა ლიგის საგზურისკენ. თუმცა, ბოლო დროს ბრწყინვალედ მოასპარეზე უდინელებმა მოულოდნელი მარცხი იწვნიეს ლეჩეში და ცამეტმატჩიანი წაუგებელი სერიაც შეწყვიტეს. ბედი, რომ „ლაციოც“ დამარცხდა და „უდინეზე“ კვლავაც მეოთხე ადგილზეა სატურნირო ცხრილში.

ტურის ფრაზები

ედინსონ კავანი (ნაპოლი): *„მადლობა ღმერთს, რომ ნეაპოლში გადმოვბარგდი, ამ მართლაც საოცარ, გადარეულ ქალაქში “.*

მარკო სტორარი (იუვენტუსი): *„მხოლოდ ბრმა ვერ დაინახავს იმას, რასაც მოედანზე ვაკეთებ - იმედია, ჩვენი მწვრთნელი ბრმა არ არის“.*

ციფრები და ფაქტები

- ალეშანდრე პატომ მეათე დუბლი შეასრულა სერია A-ს პაექრობებში;
- „ლაციომ“ პირველად წააგო ნეაპოლში 1996 წლის დეკემბრის შემდეგ;
- „კატანიამ“ ზედიზედ მეოთხე საშინაო შეხვედრა მოიგო;
- „ფიორენტინამ“ წაუგებელი მატჩების სერია ექვსამდე გაზარდა;
- „უდინეზემ“ 13-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა;
- **ანდრეა კარაჩოლომ** მეორასე შეხვედრა გამართა „ბრეშას“ შემადგენლობაში და 52-ე გოლი გაიტანა;

ლაშა წიკლაური

● გამოხმაურება

სიტი მეორეზე დაფიქრდა

დავიდ სილვას გოლი

ბედის ირონიაა: თავის დროზე, „სანდერლენდთან“ შინ გამარჯვება „მანჩესტერ სიტის“ წინა მწვრთნელ **მარკ ჰიუზს** თანამდებობის შესანარჩუნებლად არ ეყო, ახლანდელ თავკაც **რობერტო მანჩინის** კი იმავე გუნდის იმავე სტადიონზე ძლევა სულ სხვანაირ მომავალს ჰპირდება. საქმე ის გახლავთ, რომ მანჩინისა და მის შეგირდებს მკაფიოდ გამოკვეთილი პროგრამა-მინიმუმი აქვთ: ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილი უნდა დაიკავონ. იტალიელის სამსახურიდან მოხსნა-დატოვება ამის მიხედვით გადაწყდება, „სანდერლენდთან“ 5:0 გამარჯვებამ კი ისტლენდელებს სასურველი მიზნისკენ დიდი ნაბიჯი გადაადგმევინა.

„სიტი ოფ მანჩესტერ სთედიუმზე“ კვირის შეხვედრას მანჩესტერელთა თავმჯდომარე **ხალდუნ ალ მუბარაქი** ესწრებოდა. ის, შედეგით, რასაკვირველია, კმაყოფილი დარჩებოდა, თუმცა იმ დღეს მხოლოდ შედეგი არ სჭრიდა თვალს - მანჩინის ბიჭებმა შესანიშნავად ითამაშეს. ხუთი ფეხბურთელის გატანილი ხუთი გოლი - ხუთგოლიანი უპირატესობით „სიტიმ“ ბოლოს ზუსტად ერთი წლის წინ მოიგო. მაშინ ისტლენდელებმა „ბარნლის“ აჯობეს, თუმცა მანჩინი იმედოვნებს, რომ შარშანდელ გაზაფხულთან მსგავსება ამით ამოიწურება და მიმდინარე ჩემპიონატი მაშინდელივით არ დასრულდება.

„სიტიმ“ „სანდერლენდს“ ძალიან კარგ დროს მოუგო. ეს გახლდათ ტური, როდესაც „არსენალმა“, „ჩელსიმ“ და „ტოტენჰემ ჰოთსპურმა“ ქულები დაკარგეს. მოვლენათა ასეთმა განვითარებამ მანჩინის გუნებაზეც იმოქმედა და პრესკონფერენციაზე მან იმ კაცივით კი არ ილაპარაკა, ოთხეულში ფეხის მყარად მოკიდებით რომ არის კმაყოფილი, არამედ იმ კაცივით, რომელსაც „არსენალისთვის“ მეორე პოზიციის წართმევა უნდა. „სიტის“ თავკაცმა თქვა:

„ჩვენ არანაირ ზენოლას არ განვიცდით. მთავარ მიზნად ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა გვქონდა დასახული და თუ ასე ვითამაშებთ, ამ მიზანს უპრობლემოდ მივაღწევთ. დღევანდელი გამარჯვება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ახლა მესამე ადგილზე ვართ და „არსენალს“ მხოლოდ სამი ქულით ჩამოვრჩებით. „ჩელსიც“ ჩვენ უკან არის“.

„სანდერლენდთან“ შეხვედრაში ისტლენდელებმა შეტევაში ითამაშეს დიდებულად. მათი რამდენიმე კომბინაცია უეჭველად მიიპყრობდა „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაც სერ **ალექს ფერგიუსონის** ყურადღებას — შეგახსენებთ, რომ 16 აპრილს მანჩესტერული გუნდები ფეხბურთის ასოციაციის თასის ნახევარფინალში ხვდებიან ერთმანეთს.

საინტერესო დეტალზე გაამახვილა ყურადღება „დეილი მეილმა“. მეორე ტაიმის დასაწყისში იყო ასეთი ეპიზოდი: „სანდერლენდის“ მცველებმა ბურთი, აუტისკენ მოიგერიეს, ზუსტად იქით, სადაც მანჩინი იდგა. თავიდან შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ „სიტის“ თავკაცი ვერაფერს ხედავდა, თუმცა მან ფეხის ერთი მოძრაობით ბურთი ადგილზე გააქვავა. ეს იყო მშვიდი, საკუთარ თავში დარწმუნებული კაცის მოქმედება და ზუსტად ასე თამაშობდა იმ დღეს მისი გუნდი.

„ახლა მთავარია ასე გავაგრძელოთ და შემდეგ ტურში „ლივერპულსაც“ მოვუგოთ“, - დასძინა მანჩინიმ.

„სანდერლენდის“ მწვრთნელი **სტივ ბრუსი**: *„დღეს ჩვენი თამაში არაფრად ვარგოდა. მთელი 90 წუთის განმავლობაში მონინააღმდეგე გვჯობდა, თან აბსოლუტურად ყველაფერში. „მანჩესტერ სიტი“, რასაკვირველია, შესანიშნავი გუნდია, მაგრამ ჩვენი დღევანდელი განადგურების მიზეზი მარტო ეს არ იყო. დღეს ჩვენ საკუთარი უნიათობის გამოც წავაგეთ“.*

● ჩელსი

ჩხუბი და ცუდი მიზანი

შაბათს, სტოკში, „სტოკ სიტისა“ და „ჩელსის“ თამაშის შემდეგ, ლონდონელთა ფორვარდ **დიდიე დროგბას** საკუთარ გულშემატკივართან უსიამოვნება მოუვიდა. მიზეზი: კოტ დ'ივუარელმა შეხვედრის ბოლო წამებზე კუთხურიდან ბურთი პირდაპირ საჯარიმოში კი არ ჩააწოდა, გაათამაშა. ფანმა ეს ვერ აიტანა და ტრიბუნიდან რაღაც მკვახე დაუძახა. ამაზე დროგბა გაფიცხდა და საფინალო სასტვენის შემდეგ, მაშინ, როდესაც „ჩელსის“ დანარჩენი მოთამაშეები ინგლისური ტრადიციის მიხედვით გულშემატკივარს ტაშს უკრავდნენ და მოწინააღმდეგეებს ხელს ართმევდნენ, მოედნიდან ტრიბუნაზე რაღაცას იძახდა. ამბობენ, რომ დროგბა ფანს ერთი წუთის წინანდელი ნათქვამის გამეორებას სთხოვდა, ოღონდ, თუ ბიჭი ხარ, პირში მითხარიო. საქმეში **პაოლო ფერეირა** ჩაერია და გაცეცხლებული თავდამსხმელი გვირაბში შეიყვანა.

მიმმახილველებმა დაასკვნეს, რომ თავდამსხმელის ასეთი გაფიცხება სხვა არაფერი იყო, თუ არა დასტური იმისა, რომ მისთვის მიმდინარე სეზონი წარუმატებელია. „სტოკის“ კარში დროგბას მიერ გატანილმა გოლმა „ჩელსი“ იმ დღეს წაგებისგან იხსნა, მაგრამ, მეორე მხრივ, წარმატებას ნაჩვევი ფეხბურთელისთვის ეს ათკვირიანი „გვალვის“ შემდეგ პირველი გოლი გახლდათ.



ახლა მოდი, „ლურჯების“ სტატისტიკას გადავხედოთ. ბოლო 9 შეხვედრაში დასავლეთლონდონელებმა 11 გოლი გაიტანეს. ამათგან, სამი მცველებმა შეაგდეს, ხუთი ნახევარმცველებმა და, შესაბამისად, თავდამსხმელებმაც მხოლოდ და მხოლოდ სამჯერ მოახერხეს მეტოქის კარის დალაშქვრა. „სტოკთან“ შეხვედრაში, ფორვარდებმა, რომელთა ჯამური ფასი დაახლოებით 100 მილიონი ფუნტია, კარში მხოლოდ ერთხელ დაუმიზნეს. დროგბას კიდევ არა უშავდა, გოლის გარდა ექვსჯერ დაარტყა და მართალია ექვსჯერვე აიცილა, მაგრამ დარტყმას ხომ ახერხებდა. დანარჩენმა [illegible] ფორვარდმა კი მხოლოდ ერთხელ შეძლო დარტყმა და იმ ერთ შემთხვევაშიც „სტოკის“ მეკარეს ნერვიულობა არ დასჭირვებია - ბურთი კარის ჩარჩოს აცდა.

● ძეგლი

გზა ჯანდაბამდე ანუ... ჩელსიმდე

„ფულჰემის“ მეპატრონე **მოჰამედ ალ ფაედმა** „კრეიგენ კოტეჯზე“ თავისი გარდაცვლილი მეგობრის **მაიკლ ჯეკსონის** ძეგლი დადგა. ძეგლის სურათს „ლელოს“ მკითხველებსაც გთავაზობთ - შეგიძლიათ მის მხატვრულ ღირებულებაზე საკუთარი აზრი შეიქმნათ - თუმცა იმას გეტყვით, რომ ამ ძეგლის დანახვაზე, ლონდონში ბევრს გაეცინა, „ფულჰემის“ ფანები კი გაბრაზდნენ. გაბრაზებით თავად ალ ფაედიც გაბრაზდა. ასე თქვა, ვისაც არ მოსწონს სულელია და ჯანდაბამდე გზა ჰქონიაო.

„რატომ არის ეს ძეგლი სასაცილო? — იკითხა მილიონერმა — *ფეხბურთის მოყვარულებს ის ძალიანაც მოსწონთ, ხოლო თუ ზოგიერთს სხვა აზრი აქვს, ჯანდაბამდე გზა ჰქონია. ვისაც არ მოეწონა, სულელია. ვინც ამ ნანარმოებს ვერაფერი გაუგო, შეუძლია აქვე, „ჩელსის“ სტადიონზე გადავიდეს და მას უგულშემატკივროს. ამ ქანდაკების სანახავად ხალხი მთელი ბრიტანეთიდან ჩამოდის და რიგში დგება. ეს ისეთი რამ არის, რითაც ჩვენ, „ფულჰემის“ ფანებს შეგვიძლია ვიამაყოთ“.*

ძეგლი, რომელიც ალ ფაედს 100 ათასი ფუნტი დაუჯდა, ორტონანახევრიან გრანიტის პედესტალზე დგას. დაბლა ჯეკსონის სიმღერის Man in the Mirror-ის ტექსტია ამოტვიფრული. გახსნის ცერემონია კვირას, „ფულჰემის“ და „ბლექპულის“ შეხვედრის წინ მოეწყო - შეგახსენებთ, რომ „ფულჰემმა“ 3:0 გაიმარჯვა - ძეგლი მდინარე ტემზას გადაჰყურებს. რაც შეეხება იმას თუ რა შუაშია აქ „ჩელსი“, შეგახსენებთ, რომ „ფულჰემი“ და „ჩელსი“ ლონდონში ფაქტობრივად ერთი უბნის გუნდებია.

რაც შეეხება „ფულჰემის“ მიერ „ბლექპულის“ 3:0 ძლევას, ის უპირველეს ყოვლისა **ბობი ზამორას** ორი გოლით იყო დასამახსოვრებელი. მოგეხსენებათ, ზამორა 11 სექტემბერს დაშავდა და მას მერე მკურნალობდა. „ბლექპულთან“ მწვრთნელმა **მარკ ჰიუზმა** ის პირველად ათამაშა სასტარტო შემადგენლობაში და... რასაკვირველია, ტრიბუნებმა დაუყოვნებლივ მოითხოვეს მისი ინგლისის ნაკრებში გამოძახება. სტატისტიკა მართლაც შთამბეჭდავია: ზამორა ამ სეზონში სულ მეცხრედ შევიდა მოედანზე და 6 გოლი შეაგდო. მატჩის შემდეგ ჰიუზმა განაცხადა:

„ბობისთვის დიდებული მატჩი გამოვიდა. ასეთი შეხვედრა მას დაავიწყებს იმ ტანჯვას ტრავმასთან ბრძოლაში რომ გადახდა და სასურველ კალაპოტში ჩააგდებს. უკეთესს ვერც ვინატრებდით. მან ჩვენ დაგვიბრუნა ის თვისებები, რომლებიც ბოლო ხანს ასე ძალიან გვაკლდა. როდესაც ბობი მოედანზეა ჩემი ფეხბურთელები თავს გაცილებიდ უკეთ გრძნობენ. მათ საკუთარი შესაძლებლობების სწამთ“.

ზამორას ეფექტური დაბრუნების გარდა „ფულჰემისთვის“ მნიშვნელოვანია, რომ ის გასავარდნთა ზონას ფრიად გასცილდა. მართალია ჰიუზს კარგად ესმის, რომ პრემიერლიგის დატოვების თეორიული შანსი ჯერ კიდევ არსებობს, მაგრამ 20-გუნდიან შეჯიბრებაში მე-10 ადგილზე ყოფნა ურიგო არ არის.

„ბლექპულს“ კი, როგორც ჩანს, ლონდონის ეშინია - ამ სეზონში გუნდი დედაქალაქში ოთხჯერ ჩაიდა და ჯამში 13 გოლი გაუშვა, გატანით კი ერთიც ვერ გაიტანა. თან, დახეთ რა საინტერესოა: ანგარიშის მიხედვით „ფულჰემთან“ წაგებული 3:0 „არსენალთან“ წაგებულ 6:0-საც სჯობს და „ჩელსისთან“ წაგებულ 4:0-საც, მაგრამ თამაშის ხარისხით „კრეიგენ კოტეჯზე“ „ბლექპული“ ყველაზე უსუსური ჩანდა. ყველაზე კარგი თამაში „ბლექპულს“ ლონდონში „ვესტ ჰემთან“ ჰქონდა - 0:0.

დამარცხებულთა მწვრთნელმა **იან ჰოლოუეიმ** თქვა: *„დღეს ნერვებისმომშლელად ნაზად ვთამაშობდით. ასეთი რამ ჩემს გუნდს პირველად შევამჩნიე და შინ რომ დავბრუნდებით, ამ საკითხზე ფეხბურთელებს სერიოზულად დაველაპარაკები. მე მათ იმ გოლების ჩანაწერებს ჩავურთავ, რომელთა წყალობითაც შარშან პრემიერლიგის საგ ზური მოვიპოვეთ. ასეთი ფაქიზი მოძრაობებით არაფერი გამოვა“.*

● დიდი მატჩის წინ

ოქმით გამარჯვებული

ოთხშაბათს, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში პრემიერლიგის გუნდები, „ჩელსი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“ ხვდებიან ერთმანეთს. ამ შეხვედრასთან დაკავშირებით ინგლისელმა ჟურნალისტებმა ლონდონელთა მეკარე **პეტრ ჩეხს** მიაკითხეს და მანაც სიტყვა არ დაამადლა — 2008 წელს, მოსკოვში გამართულ ფინალში „იუნაიტედმა“ მხოლოდ ყისმათის წყალობით მოგვიგოო. შეგახსენებთ, რომ სამი წლის წინ ჩემპიონთა ლიგის გადამწყვეტ შეხვედრაში სწორედ ეს გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ პენალტების სერიით „იუნაიტედმა“ გაიმარჯვა.

ჩეხი ამბობს, რომ შეხვედრა, რომელიც ხვალ „სტემფორდ ბრიჯზე“ უნდა გაიმართოს, უკვე დამოუკიდებელი ისტორიაა, სამი წლის წინანდელთან საერთო არაფერი აქვს და ამდენად მას შურისძიების გრძნობა არ ამოძრავებს. კერძოდ გოლკიპერმა თქვა:

„ოქმის მიხედვით 2008 წლის ფინალი „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მოიგო, მაგრამ ეს ხომ რეალური გამარჯვება არ იყო. მათ, უბრალოდ, პენალტების სერიაში ჩვენზე მეტად გაუმართლა. თუმცა, დავანებოთ ამას თავი. მაშინდელი ამბავი წარსულს ჩაჰბარდა. ახლა ახალი დაპირისპირება გველის და დიდი იმედი მაქვს, რომ ამჯერად ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ დასრულდება“.

სტატისტიკა მეტყველებს, რომ ლონდონში, „ჩელსისა“ და „იუნაიტედის“ ბოლო სამი დაპირისპირება მასპინძლების გამარჯვებით დასრულდა. ჩეხი ფიქრობს, რომ მისი გუნდი ამჯერადაც შეძლებს ჩრდილოელი კონკურენტის ძლევას:

„მოედანზე საკუთარ ძალებში აბსოლუტურად დარწმუნებულები გავალთ. საქმე ის არის, რომ ბოლო პერიოდში „იუნაიტედთან“ კარგი შედეგი გვაქვს, განსაკუთრებით შინ, „სტემფორდ ბრიჯზე“. ვფიქრობ, ასეთ პირობებში საკუთარი კედლები დიდ უპირატესობას ნიშნავს. თუ გავიმარჯვებთ, ჩინებულ მდგომარეობაში აღვმოჩნდებით. კიდევ, კარგი ის არის, რომ მონინააღმდეგის შესახებ ყველაფერი ზედმიწევნით ვიცით. საპასუხო შეხვედრა „ოლდ ტრეფორდზე“ გვაქვს, მაგრამ იქ „იუნაიტედი“ ახალს ვერაფერს შემოგვთავაზებს. მანჩესტერში ბევრჯერ გვითამაშია, ხოლო შარშან გავიმარჯვეთ კიდეც ასე რომ მეოთხედფინალის წინ განწყობა დადებითი გვაქვს“.

მოგეხსენებათ, „მანჩესტერ იუნაიტედს“ ამ სეზონში 1999 წლის შედეგის ანუ ეგრეთ წოდებული ტრებლის გამეორება შეუძლია - სერ **ალექს ფერგიუსონის** გუნდი აგრძელებს ასპარეზობას ჩემპიონთა ლიგაში, ფეხბურთის ასოციაციის თასსა და პრემიერლიგაში. „ჩელსისთვის“ კი, რეალურად, დარჩა ერთადერთი პრიზი, რომლის მოპოვებაც შეუძლია - ჩემპიონთა თასი. რასაკვირველია, თეორიულად „ლურჯებს“ არც პრემიერლიგის ტიტული დაუკარგავთ, მაგრამ შაბათს, „სტოკში“ ნათამაშები 1:1-ის მერე მათ ინგლისის ჩემპიონობის შანსი ძალიან შეუმცირდათ - **კარლო ანჩელოტის** გუნდი მეოთხე ადგილზეა და „იუნაიტედს“ 11 ქულით ჩამორჩება. ჩეხი განაგრძობს:

„ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ მართალია პრემიერლიგაში დიდ სირთულეებს გადავანყდით, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში ადგილი შევინარჩუნეთ და მეოთხედფინალში გავედით. სამწუხაროა, რომ ინგლისის პირველობაზე ასეთივე კარგ პოზიციაში არ ვართ. იმედი გვაქვს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ბარიერსაც დავძლევთ და ნახევარფინალში გავალთ“.

მართლაც, ნოემბერში, დეკემბერსა და იანვარში დასავლეთლონდონელებმა ძალიან ცუდად ითამაშეს, მაგრამ თებერვლიდან გონს მოეგნენ და დღეისათვის უკვე 9 თამაშია არ ნაუგიათ. ჩეხმა დასძინა:

„ჩემპიონთა ლიგა დიდებული შეჯიბრებაა, მაგრამ ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ მასში გამარჯვება პრემიერლიგის ჩემპიონობას გადაფარავს. ეს ორი განსხვავებული ტურნირია და ორივეს თავისი ხიბლი აქვს“.

გვერდი მოამზადა
ილია ბაგუნაშვილმა

● ბარსელონა

მოდი, ვნახოთ ლა ლიგა

ვინ მოიგო ტიტული

მართალია, ესპანური გრანდები ლა ლიგიდან ჩემპიონთა ლიგის სამზადისზე გადაერთვნენ, დრო არ ითმენს, „რეალსა“ და „ბარსელონას“ უმნიშვნელოვანესი მეოთხედფინალური მატჩები აქვთ წინ. XXX ტურს ასე იოლად ვერ დავემშვიდობებით, ამ ტურმა ხომ ფაქტობრივად გადაწყვიტა ჩემპიონის საკითხი - ხოსეპ გვარდიოლასა და მის ფანტასტიკურ „ბარსას“ 8 ტურიღა რჩებათ „რეალთან“ 8-ქულიანი უპირატესობის გასაფლანგად, რასაკვირველია, „ბლაუგრანა“ ამას არ აპირებს.

მოდი, მაინც გადავხედოთ, ლა ლიგის დარჩენილ ტურებში ვისთან უწევთ თამაში ლიდერსა და მის მდევარს.

XXXI ტური

ბარსელონა-ალმერია
ბილბაო-რეალი

XXXII

რეალი-ბარსელონა

XXXIII

ბარსელონა-ოსასუნა
ვალენსია-რეალი

XXXIV

რეალ სოსიედადი-ბარსელონა
რეალი-სარაგოსა

XXXV

ბარსელონა-ესპანიოლი
სევილია-რეალი

XXXVI

ლევანტე-ბარსელონა
რეალი-ხეტაფე

XXXVII

ბარსელონა-დეპორტივო
ვილიარეალი-რეალი

XXXVIII

მალაგა-ბარსელონა
რეალი-ალმერია

მხოლოდ შაყირის ხასიათზე მყოფი ადამიანი თუ დაიწყებს ამ გრაფიკით „რეალის“ საჩემპიონო შანსებზე მსჯელობას. კი ბატონო, „სამეფო კლუბს“ თეორიული შანსი ჯერ კიდევ აქვს - დიახ, „ელ კლასიკოს“ 17 აპრილს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გაიმართება, მაგრამ, რა ვუყოთ ამ 8 ქულას და **ჟოზე მოურინიოს** გუნდის საშინელ კალენდარს. „რეალს“ 4 სტუმრობა ელის და ყველა ერთმანეთზე რთული - ბილბაოში, ვალენსიაში, სევილიასა და ვილიარეალში. მაშინ, როცა „ბარსა“ „რეალის“ გარდა „ლევანტეს“, „მალაგას“ და „რეალ სოსიედადს“ უნდა ესტუმროს. „კამპ ნოუზეც“ „ბლაუგრანა“ „ოსასუნას“, „დეპორტივოსა“ და „ალმერიას“ მასპინძლობს, ერთადერთი, ბარსელონური დერბი ელის. პრინციპში, რთული საშინაო მატჩი არც „სამეფო კლუბს“ ელის.

პეპი უდრის ტერის და გმირი ვალდესი

„ვილიარეალთან“ მატჩით გვარდიოლა გაუტოლდა **ტერი ვენეიბლს**, მან უკვე 169-ჯერ გაიყვანა გუნდი. პეპის შემდეგი სამიზნე **ლუის ვან გაალის** 200 მატჩია, რინუს მიხელსმა 264 მატჩი უთავკაცა „ბლაუგრანას“, ხოლო **ფრანკ რაიკაარდმა** - 273. ალბათ, ძალზე ძნელი იქნება **იოჰან კრუიფის** მიღწევამდე მიახლოვებაც კი, ლეგენდარული ჰოლანდიელი 430 შეხვედრაში გაუძღვა „ბარსელონას“.

„ვილიარეალთან“ „ბარსელონას“ კარგად ნამდვილად არ უთამაშია, თუმცა ურთულეს მეტოქესთან მიზანს მიაღწია - 1:0 დაამარცხა ის. ამ შეხვედრაში კატალონიელთა გმირი მისი გოლკიპერი **ვიქტორ ვალდესი** იყო. ვალდესმა სულ 3 „სეივი“ გააკეთა, მაგრამ სამივე მნიშვნელოვანი იყო. ჯერ გოლკიპერმა **ჯუზეპე როსის** ორჯერ არ გაატანინა 0:0-ზე მეტი, თამაშის მიწურულს მან **სანტი კასორლას** აუღო. რომ არა ვალდესის თავდადება, „ბარსას“ თამაშის მიხედვით ძნელად თუ იფიქრებდი, რომ გუნდი ხელმეორედაც შეძლებდა დაწინაურებას.

კარგად ითამაშა დაცვაში დახეულმა **სერხიო ბუსკეტსმა**, რომელმაც თანაგუნდელთა შორის ყველაზე მეტი ორთაბრძოლა მოიგო - 14. **ჩავის** არ ყოფნაში მთავარი მეპასის ფუნქცია... 19 ნლის **ტიაგო ალკანტარამ** იკისრა. ფეხბურთელმა, რომელიც მხოლოდ მე-10 მატჩს ატარებდა „ბარსელონას“ შემადგენლობაში და პირველად იყო სასტარტო შემადგენლობაში. შეგახსენებთ, რომ ბრაზილიური წარმოშობის ესპანელი სნორად დისკვალიფიცირებულ ჩავის ცვლიდა. ტიაგოს ანგარიშზე 136 პასია, მაშინ, როცა „ვილიარეალის“ საუკეთესო მეპასეს 55-პასიან ზღვრისთვის არ გადაუცილებია.

ანდრეს ინიესტა ერთადერთი ბარსელონელია, რომელმაც პრიმერას ყველა მატჩში მიიღო მონანილეობა, 30 ტურიდან 29-ში სასტარტოში ითამაშა. საინტერესო სიტუაცია შეიქმნა ყვითელ ბარათებთან დაკავშირებითაც - მოგვეჩვენა, რომ ვიქტორ ვალდესმა და სერხიო ბუსკეტსმა განზრახ მიიღეს გაფრთხილებები, რომლებიც მათთვის სეზონში მეხუთეა - ეს კი ავტომატურად ნიშნავს, რომ ბუსკეტსი და ვალდესი „ალმერიასთან“ დაპირისპირებას გამოტოვებენ. და, რატომ შეგნებულად? შემდეგი მატჩი ხომ „ელ კლასიკოა“, სადაც ყველას სურს თამაში. 4-4 გაფრთხილება აქვთ **ხავიერ მასკერანოსა** და **ლეო მესის** და თუ ისინი „ალმერიასთან“ დაპირისპირებაში ყვითელ ბარათებს მიიღებენ, „კლასიკოს“ გამოტოვებენ.

ჟერარდ პიკესთვის „ვილიარეალის“ კარში გატანილი მე-2 გოლი იყო სეზონში და მე-9 ბარსელონურ კარიერაში. სეზონის პირველი გოლიც პიკემ კუთხურის ჩაწოდების შემდეგ გაიტანა. ამ სეზონში „ბარსამ“ ოთხი ფეხბურთელი დაიმატა: **ადრიანო, აფელაი, ვილია** და მასკერანო. პირველად მოხდა, რომ ოთხივე ახალწვეული სასტარტო შემადგენლობაში იყო.

პრეზიდენტის გოდიში და გოლი საკუთარ კარში

გახსოვთ **ალბათ, სანდრო როსელის** განცხადებას, „რეალს“ თასის ფინალშიც 5:0-ს მოვუგებთო, როგორი რეაქცია მოჰყვა **ხოსეპ გვარდიოლას** მხრიდან - მწვრთნელმა დელიკატურად გააკრიტიკა კლუბის პრეზიდენტი და თქვა, რომ მისი საქმე არ არის მსგავსი განცხადებების გაკეთებაო. *„მე შემეძლო მეთქვა, ფინალს თუნდაც 60:0-ს მოვიგებთო, მაგრამ არა მას“*. ბევრს ეგონა, რომ ასეთ განცხადებას ცუდი რეაქცია მოჰყვებოდა „ბლაუგრანას“ ბოსებისგან, მაგრამ აი, რა თქვა როსელმა: *„ჩვენ არ გვიყვარს ხალხის შეურაცხყოფა. ჩვენი პრინციპია ადამიანურობა. ვნუხვარ ჩემი გამონათქვამის გამო და დიდი ბოდიში ყველას“*. შესაძლოა, „ბარსელონა“ სწორედ ამიტომ თამაშობს ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთს მთელ ევროპაში, რომ ასეთი მწვრთნელი და პრეზიდენტი ჰყავს... აქვე ახლახან მომხდარ ერთ ამბავს მოგიყვებით - **სერხი ბარხუანი** ნარსულში „ბარსელონას“ მცველი იყო, ახლა ის ჟუვენილ ბ-ს წვრთნის, სნორედ იმ გუნდს, სადაც შარშანდელ სეზონში **გიორგი ჭანტურია** თამაშობდა. ეს გუნდი თავის ლიგაში ლიდერია და ბოლო ტურში „კასტელდეფელსთან“ ორი ქულა დაკარგა. აი, როგორ მოხდა ეს - თამაში 0:0 სრულდებოდა, როცა **კარლოს ხულიო მარტინესმა**, „ბარსელონას“ ფეხბურთელმა მეტოქის კარი აიღო, მაგრამ მან ვერ შეამჩნია, რომ მეტოქის მეკარე ტრავმირებული ძირს ეგდო. ბუნებრივია, გოლი ჩაითვალა. საინტერესო კი შემდეგ მოხდა, სერხის მითითებით მისმა ბიჭებმა ბურთი წაართვეს მეტოქეს და... საკუთარ კარში გაიტანეს. ამ ჟესტმა „ბარსელონას“ ჭაბუკთა გუნდს ორი მნიშვნელოვანი ქულა დააკარგვინა, რითაც ისარგებლა „ესპანიოლმა“, მოიგო და კონკურენტს მიუახლოვდა, მაგრამ თამაშის შემდეგ სერხიმ განაცხადა, რომ „ფეერ პლეი“ ყველა სპორტულ შედეგზე მნიშვნელოვანია და რომ მისმა შეგირდებმა ამით გაცილებით მეტი მოიგეს, დაკარგული ორი ქულის სანაცვლოდ.

თამაში 0:0 სრულდებოდა, როცა კარლოს ხულიო მარტინესმა, „ბარსელონას“ ფეხბურთელმა მეტოქის კარი აიღო, მაგრამ მან ვერ შეამჩნია, რომ მეტოქის მეკარე ტრავმირებული ძირს ეგდო. ბუნებრივია, გოლი ჩაითვალა. საინტერესო კი შემდეგ მოხდა, სერხის მითითებით მისმა ბიჭებმა ბურთი წაართვეს მეტოქეს და... საკუთარ კარში გაიტანეს. ამ ჟესტმა „ბარსელონას“ ჭაბუკთა გუნდს ორი მნიშვნელოვანი ქულა დააკარგვინა, რითაც ისარგებლა „ესპანიოლმა“, მოიგო და კონკურენტს მიუახლოვდა, მაგრამ თამაშის შემდეგ სერხიმ განაცხადა, რომ „ფეერ პლეი“ ყველა სპორტულ შედეგზე მნიშვნელოვანია და რომ მისმა შეგირდებმა ამით გაცილებით მეტი მოიგეს, დაკარგული ორი ქულის სანაცვლოდ.

არწასაგებები ლიგა და მამა ანდრესი

დავუბრუნდეთ დიდ „ბარსელონას“ - გუშინ მედიას წარუდგა დავიდ ვილია, ფორვარდი, რომელსაც, სანაკრებო გაბრწყინებას თუ არ ჩავთვლით, გოლი 26 თებერვლის მერე არ გაუტანია. *„მართალია, ჯერ არასოდეს მომხდარა, რომ გუნდს ლა ლიგის დასრულებამდე 8 ტურით ადრე ამხელა უპირატესობა გაეფლანგა, მაგრამ მაინც ვამბობ, ლიგა ჯერ არ მოგვიგია. ძალიან დიდი შეცდომა იქნება, თუკი ჩვენ ჩემპიონებად ჩავთვლით საკუთარ თავებს. მოდი, ასე ვთქვათ, ლიგა ჩვენია, ოღონდ არ უნდა გავფლანგოთ უპირატესობა“.*

„ელ გუახე“ ორმაგად გაახარა ამ ტურმა, ჯერ ერთი მისმა გუნდმა „რეალთან“ უპირატესობა გაზარდა, მეორეც, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მისმა მშობლიურმა კლუბმა იმარჯვა - ვილია ხომ ასტურიელია: *„არასოდეს დამიმალავს, რომ „სპორტინგს“ ვგულშემატკივრობ. ამ მოგებით გუნდმა გამოისწორა საქმე ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლაში“.*

ვილიამ შეაქო ჭაბუკთა გუნდის ჟესტი და როცა დაეკითხნენ იგივეს თუ გააკეთებდითო, „ელ გუახემ“ დადებითი პასუხი გასცა: *„დიახ, ივივეს გავაკეთებდი, თუნდაც ეს „რეალი“ - „ბარსელონას“ მატჩი ყოფილიყო“.* მან ექვსმატჩიან უგოლო სერიაზეც ილაპარაკა: *„როცა გოლი ვერ გაგაქვს, ყველაზე სწორია, სიმშვიდე შეინარჩუნო. რადგან გოლი არ გამაქვს, ესე იგი, ვარჯიშს რამეს ვაკლებ, მეტს ვივარჯიშებ და გოლებსაც ისევ გავიტან“*, - განაცხადა „ბარსას“ ფორვარდმა.

ვარჯიშზეც ვიტყვით, გუშინდელი „ბარსას“ ვარჯიში ოვაციებით დაიწყო - ასე ულოცავდნენ ანდრეს ინიესტას, რომელიც მამა გახდა.

ლა ლიგა. XXX ტური

ალმერია-ბილბაო 1:3

ალმერია (4-2-3-1): დიეგო ალვეში - მასედო, მ. სილვა, ჯ. გარსია (82. კორონა), ლუნა - მ ბამი, ბერნარდელო - ხუანმა ორტისი (57. ჯალუ უჩე), პიატი, კრუსატი (63. ხოსე ორტისი) - ულოა.

ბილბაო (4-3-3): ირაიოსი - ირაოლა, სან ხოსე, ეკიზა, კასტილიო - გურპეგი, ორბაისი, ხ. მარტინესი (46. იტურასპე) - ტოკერო, ფ. ლორენტე (79. დე მარკოსი), მუნიაინი (84. ამორებიეტა).

გოლები: 1:0 პიატი (5), 1:1 მუნიაინი (28), 1:2 ტოკერო (51), 1:3 ორბაისი (60)

გაფრთხილება: ლუნა - მარტინესი

კუთხური: 8-7; **ჯარიმა:** 8-10; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 18-14 (6-7); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

მაყურებელი: 13 000

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ბარსელონა	30	26	3	1	82-15	81
2. რეალი	30	23	4	3	69-22	73
3. ვალენსია	30	17	6	7	46-35	57
4. ვილიარეალი	30	16	6	8	48-31	54
5. ბილბაო	30	14	3	13	47-42	45
6. სევილია	30	13	6	11	46-44	45
7. ესპანიოლი	30	14	1	15	38-43	43
8. ატლეტიკო	30	12	6	12	45-41	42
9. ლევანტე	30	11	5	14	33-40	38
10. მალიორკა	30	11	5	14	31-40	38
11. რასინგი	30	9	9	12	30-44	36
12. ოსასუნა	30	9	8	13	36-36	35
13. სპორტინგი	30	8	11	11	28-35	35
14. სოსიედადი	30	11	2	17	40-51	35
15. ხეტაფე	30	9	7	14	41-49	34
16. დეპორტივო	30	8	10	12	25-40	34
17. სარაგოსა	30	7	9	14	29-43	30
18. ერაულესი	30	8	5	17	28-48	29
19. მალაგა	30	8	5	17	39-62	29
20. ალმერია	30	5	11	14	31-51	26

ნიკოლოზ ნეფარიძე

● ვორონეჟი

ბევრი რამ ასაკის ბრალია

ზედრამატულ შეხვედრაში "პორტუმ" ლისაბონში დაამარცხა "ბენფიკა" და ჩემპიონატის დასრულებამდე 5 ტურით ადრე ისტორიაში 26-ე ჩემპიონობა დაიბევა. ის, რომ აღნიშნულ შეხვედრაში ბევრი რამე გაირკვეოდა, ჩემპიონატის დაწყებისთანავე ცხადი იყო, მაგრამ აღნიშნულ მატჩში თუ ჩემპიონის ვინაობა გახდებოდა ცნობილი, ძნელი წარმოსადგენი იყო. დაპირისპირების ბედი მალევე გაირკვა, **ფრედი გუარინის** გოლს **სავიოლამ** პენალტით უპასუხა, რასაც მალე ანალოგიურით უპასუხა **ჰალკმა** - 1:2. ამის შემდეგ მინდორზე მხოლოდ მოთამაშეთა რაოდენობა იცვლებოდა, ჯერ სტუმარი **ოტამენდი** გააძევეს, შემდეგ მასპინძელი **ოსკარ კარდოსო**. მატჩის დანვრილებით აღნერას არ შევუდგებით, რადგან უფრო საინტერესო ის გვგონია, რა ხდებოდა ნამატჩევს. ცოტა ბედის ირონიაც არის, რომ ერთ დღეს **ჟოზე მოურინიომ** თავისი ცნობილი საშინაო წაუგებელი სერია შეწყვიტა, მეორე დღეს კი მისმა ყოფილმა მოსწავლე **ანდრე ვილას-ბოასმა** კარიერაში პირველი სერიოზული ტიტული მოიგო. აი, რა განაცხადა ამ საღამოს მთავარმა ტრიუმფატორმა 33 წლის მწვრთნელმა: *"მოხარული ვარ, რომ ასეთ ბრწყინვალე ფეხბურთელებთან მუშაობა მიხდება. გამარჯვება მთლიანად მათი დამსახურებაა. ვეცადეთ დაგვემტკიცებინა, რომ პორტუგალიაში საუკეთესონი ვართ და ეს ნამდვილად გამოგვივიდა. ყველაფერი, რაც მატჩამდე იწერებოდა და რაც ითქმებოდა, ჩვენს საბრძოლო განწყობილებას ამაღლებდა. მართალია ჩემპიონები ვართ, მაგრამ სეზონი ამით არ დასრულებულა. ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს სხვებისთვის დასამტკიცებელი რაღაცები. მაგალითად, პორტუგალიის თასის 1/2-ფინალი ჯერ კიდევ სათამაშო გვაქვს და წინ იქაც "ბენფიკა" გველოდება. თუკი დღევანდელ დონეზე ვითამაშებთ, ამ დაპირისპირებასაც მოვიგებთ".*

აქ ჟურნალისტები მის "უჩვეულო" სამწვრთნელო ასაკს შეეხნენ, რამაც სეუ ანდრე, ცოტა არ იყოს, უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო: *"ვხედები, რომ ეს უცნაური აღფრთოვანება ჩემი მუშაობით ჩემივე ასაკიდან მოდის. მოკლედ, ბევრი რამე სწორედ ამის ბრალია. კარგია, რომ კომპლიმენტებს ხშირად ვიღებ, მაგრამ, გავიმეორებ, გამარჯვებაში ფეხბურთელებს და კლუბის მაღალჩინოსნებს უმთავრესი წილი აქვთ".*

ლევან ბიბილაშვილი

● სადისციპლინო საკითხი

ორმაგჩიანი გინება

უეინ რუნი ორმაგჩიან დისკვალიფიკაციას ელოდება. მიზეზი: შაბათს, „ვესტ ჰემთან“ შეხვედრაში მესამე გოლი რომ გაიტანა, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავმა ტელეკამერას რამდენჯერმე ჩასძახა უწმაწური სიტყვა. შეგახსენებთ, რომ ეს თამაში დრამატულად წარიმართა. თავიდან ლონდონელები დაწინაურდნენ - 2:0, შემდეგ კი სტუმრებმა 4 გოლის გატანა მოახერხეს. ოთხიდან პირველი სამი სწორედ რუნიმ შეაგდო და... სიხარულიც თავისებურად გამოხატა.

აღსანიშნავია, რომ თამაშის მეორე დღეს ფორვარდმა ინგლისურ ტელეაუდიტორიას ბოდიში მოუხადა, მაგრამ ბოდიში საკმარისი არ აღმოჩნდა. როგორც მოგახსენეთ, ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა რუნის გუშინ ბრალდება წაუყენა და აპელაციისათვის დღეს, საქართველოს დროით საღამოს 9 საათამდე მისცა დრო. თუ ფეხბურთელმა თავისი სიმართლე ვერ ან არ დაამტკიცა, მას პრემიერლიგაში „ფულჰემთან“ და ასოციაციის თასზე „მანჩესტერ სიტისთან“ შეხვედრების გამოტოვება მოუწევს.

ილია ბაბუნაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲣᲧᲮᲝᲣᲠᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. ᲑᲣᲜᲓᲔᲡᲚᲘ�გᲐ. XXVIII ᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ

ᲘᲡᲔᲕ ᲘᲡ ᲑᲝᲠᲣᲡᲘᲐ

ᲕᲐᲜ ᲒᲐᲐᲚᲘᲡ ᲪᲝᲚᲡ ᲬᲐᲛᲝᲣᲧᲠᲐᲜᲢᲐᲚᲔᲑᲘᲐ, ᲚᲣᲘᲡᲘ ᲘᲣᲕᲔᲜᲢᲣᲡᲨᲘ ᲛᲘᲓᲘᲡᲝ...

დორტმუნდის „ბორუსიას“ უმნიშვნელოვანესი მატჩი მინიკრიზისის შემდეგ, გიგანტი მწვრთნელების დუელი ვოლფსბურგში, ბრძოლები გადარჩენისთვის და კარის გაჯახუნების შანსი „ბაიერნს“ - ბუნდესლიგის 28-ე ტურის წინ, გერმანიის ჩემპიონატის მოყვარულები მაგრად ვიყავით დაინტრიგებულები. მოლოდინი გამართლდა, მაგრამ არა ასი პროცენტით. ვერ გეტყვით, დათბობის ბრალია, თუ სეზონის მიწურულისთვის დამახასიათებელი წნეხის სიმძიმის. ფაქტი კი ისაა, რომ ამ შაბათ-კვირას, ბუნდესლიგის ფეხბურთელები ძალიან გადაღლილები ჩანდნენ. დაღლა მხოლოდ დორტმუნდელებს არ დასტყობიათ, სხვა მატჩებში კი ტემპიც უჩვეულოდ დაბალი იყო და მონდომების ხარისხიც. ამ ტურის შემდეგ ყველაზე ცუდ დღეში მიონხენგლადბახის „ბორუსია“ და „ზანკტ პაული“ არიან. „პაული“ პარასკევს „შალკეს“ ეთამაშებოდა, 0:2-ს აგებდა, ორი მოთამაშე ჰყავდა გაძევებული და საფინალო სასტვენამდე ორი წუთით ადრე, მსაჯმა თამაში შეწყვიტა. მიზეზი: ერთ-ერთმა ფანმა ერთ-ერთ ლაინსმენს თავში ლუდის კათხა მოარტყა. კიცელებს ამისათვის უმძიმესი სასჯელი არ ასცდებათ. ერთი სიტყვით, „ზანკტ პაული“ მეორე ბუნდესლიგის გზას ადგას და ჰოლგერ სტანისლავსკის ბიჭებთან ერთად, იმედიანად ყოფნის მიზეზი ამ ეტაპზე აღარც მიონხენგლადბახელებს აქვთ. თქვენ წინაშეა ბუნდესლიგის 28-ე ტურის გამოხმაურება Tops & Flops-ის სახით.

ჰანოვერის დამარცხებით დორტმუნდელებმა თავდაჯერება დაიბრუნეს

XXV ᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ (ᲙᲘᲙᲔᲠᲘ. 3-1-3-

ᲡᲢᲔᲕᲔᲜ ᲣᲚᲠᲐᲘᲮᲘ (შტუტგარტი, 3) – სერდარ ტასკი (შტუტგარტი, 1), მატს ჰუმელსი (ბორუსია დ. 8), **მარსელ შმელცერი** (ბორუსია დ. 6) – **ტორსტენ ფრინგსი** (ვერდერი, 2) – **ჯეფერსონ ფარფანი** (შალკე, 2), **მარიო გიოტცე** (ბორუსია დ. 5), **კევინ გროსკროიტცი** (ბორუსია დ. 4) – **მარიო მანჯუკიჩი** (ვოლფსბურგი, 1), **ლუკას ბარიოსი** (ბორუსია დ. 3), რაული (შალკე, 6)

ტურის სიმბოლური ნაკრები ისევ დორტმუნდელებისაა: „კიკერმა“ საუკეთესო თერთმეტეულში „ბორუსიას“ ხუთი ფეხბურთელი მოახვედრა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ BVB საუკეთესო იყო. **მატს ჰუმელსი** უკვე მერვედ მოხვდა სიმბოლურში და ამ მხრივ საუკეთესო მაჩვენებელი აქვს, **მარსელ შმელცერმა** (ასევე დორტმუნდი) და **რაულმა** (შალკე) კი, „კიკერისეული“ სიმბოლური მეექვსედ დააგემოვნეს.

ᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ

ᲚᲣᲙᲐᲡ ᲑᲐᲠᲘᲝᲡᲘ (ᲑᲝᲠᲣᲡᲘᲐ Დ)

ბარიოსს ამ სეზონში 13 გოლი აქვს გატანილი, ბომბარდირთა დავაში მხოლოდ მეოთხე ადგილზეა და ლიდერებს, **მარიო გომესსა** (ბაიერნი) და **პაპის დემბა სისეს** (ფრაიბურგი) ექვსი გოლით ჩამორჩება. არც ესაა ცუდი შედეგი, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ბორუსიას“ გოლეადორმა ამ სეზონში ბურთი ცხრაჯერ (!) მოარტყა ძელსა თუ ხარიხას. ლუკასმა „ჰანოვერთან“ ორი უმნიშვნელოვანესი გოლის გატანა შეძლო და მისმა დუბლმა „ბორუსია“ ჩემპიონობასთან მიაახლოვა.

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲤᲣᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ

28 ᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ, „ᲙᲘᲙᲔᲠᲘᲡ“ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ

ᲤᲣᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘ	ᲙᲚᲣᲑᲘ	ᲡᲐᲨ. ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ
1. მატს ჰუმელსი	ბორუსია (დ)	2.56
2. შინჯი კაგავა	ბორუსია (დ)	2.62
3. სვენ გენდერი	ბორუსია (დ)	2.63
4. ნური შაჰინი	ბორუსია (დ)	2.66
5. მანუელ ნოიერი	შალკე	2.69
6. მარიო გიოტცე	ბორუსია (დ)	2.71
7. რომან ეიდენფელერი	ბორუსია (დ)	2.76
8. ოლივერ ბაუმანი	ფრაიბურგი	2.79
9. არტურო ვიდალი	ლევერკუზენი	2.83
10. ტომ შტარკე	ჰოფენჰაიმი	2.84

ᲒᲝᲚᲡ ᲙᲚᲣᲑᲘ ᲞᲐᲡᲘᲡ ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘ

ᲤᲣᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘ	ᲙᲚᲣᲑᲘ	ᲒᲝᲚᲘ	ᲞᲐᲡᲘ	ᲥᲣᲚᲐ
1. მარიო გომესი	ბაიერნი	26	19	3	22
2. პაპის დემბა სისე	ფრაიბურგი	26	19	1	20
3. თეოფანის გეკასი	აინტრახტი	28	16	3	19
4. ლუკას ბარიოსი	ბორუსია (დ)	27	13	6	19
5. დიდიე ია კონანი	ჰანოვერი	23	12	7	19
6. ფრანკ რიბერი	ბაიერნი	20	4	15	19
7. ლუკას პოდოლსკი	კიოლნი	27	12	6	18
8. არტურო ვიდალი	ლევერკუზენი	27	9	9	18
9. თომას მიულერი	ბაიერნი	28	9	9	18
10. მარიო გიოტცე	ბორუსია (დ)	27	5	13	18

Flop

გაზაფხულის ბრალია...

ცოტა გოლი, დაბალი ტემპი, ნაკლები აღფრთოვანება – თუკი მთელ ტურს თვალს გადავავლებთ, ბევრ აღსანიშნავ ასპექტს ნამდვილად ვერ ვიპოვით. სანაკრებო პაუზის შემდეგ ფეხბურთელებს საკლუბო ყოველდღიურობაზე გადართვა აშკარად გაუჭირდათ და თვით დორტმუნდის „ბორუსიასაც“ პრობლემები შეექმნა – **იურგენ კლოპის** ბიჭები „ჰანოვერთან“ შეხვედრის პირველ ტაიმში ვერც საგოლე მომენტებს ქმნიდნენ და ხეირიან კომბინაციებსაც ვერ ათამაშებდნენ.

საერთო ჯამში, ტურში მხოლოდ 16 გოლი გავიდა, რაც საშუალოდ ერთ მატჩში 1.78 გოლს უდრის, რაც ნაღდად არ არის ისეთი შედეგი, ბუნდესლიგას რომ შეშვენის.

Flop

მაინცი ევროპაში?

0:1, 0:1, 1:1, 1:3, 0:1, 1:1. ეს „მაინცის“ ბოლო ექვსი საშინაო თამაშის შედეგებია და როგორც ხედავთ, **თომას ტუხელის** გუნდი საკუთარ მოედანზე ფანებს ვეღარ აღაფრთოვანებს. მიუხედავად ამისა, რაინ-ჰესენელებმა მაინც შეინარჩუნეს ადგილი საუკეთესო ხუთეულში, რაც სტუმრად მიღწეული წარმატებების (გამარჯვებები კაიზერსლაუტერნში, ჰოფენჰაიმსა და ჰამბურგში) დამსახურებაა. ეს კი ნამდვილად დასაფასებელია, მაგრამ მაინცელი ფანები სხვანაირად ფიქრობენ და ბოლო დროს, საშინაო მატჩების დროს საყვარელი გუნდის ფეხბურთელებს სულ უფრო და უფრო ხმამაღლა უსტვენენ ხოლმე. მწვრთნელ ტუხელს კი ეს, რა თქმა უნდა, არ მოსწონს და ამბობს, სტვენას ნაღდად არ ვიმსახურებთო.

ეს კაციც ცამდე მართალია: სეზონის წინ ვინმე წარმოიდგენდა, რომ „მაინცი“ ევროპის ლიგის საგზურისთვის იბრძოლებდა?

Flop

ფანები ჰიონესის წინააღმდეგ

ემოცია ფეხბურთის განუყოფელი ნაწილია. ემოციის გარეშე, ფეხბურთი უინტერესოა, მაგრამ იმას, რაც შაბათს მიუხედავად „ალიანს არენაზე“ ხდებოდა, საფეხბურთო ვნებასთან არანაირი კავშირი არ აქვს. ცნობილია, რომ რეკორდმაისტერის ფანები ინტელიგენტურობით გამოირჩევიან, მაგრამ „გლადბახთან“ საშინაო მატჩის დროს, „სამხრეთ ტრიბუნის“ ფანობამ საპირისპირო დაამტკიცა. „ბუდტრიბუნეს“ ქომაგების გამოსვლები და ტრანსფარანტები ექსპერტებმაც პრომიტიულად მონათლეს. ფანები „ბაიერნის“ პრეზიდენტ **ული ჰაინესს** უტევდნენ, „მიუნხენ 1860“ ღორების გუნდად მოიხსენიეს და ულის გასაცოდავებული მტრისთვის ფინანსური დახმარების აღმოჩენასთან ერთად, „შალკედან“ **მანუელ ნოიერის** ყიდვაც კატეგორიულად აუკრძალეს.

ჩვენში დარჩეს და, ორივე მხარეს თავისი სიმართლე აქვს.

Flop

უსიამოვნებები მილერნტორზე

მიმდინარე სეზონის 28-ე ტური „ზანკტ პაულის“ ისტორიაში შავ ლაქად დარჩება, რადგან ამ ტურმა და ტრიბუნიდან ნასროლმა ლუდის კათხამ, რომელიც ლაინსმენს პირდაპირ კინკრიხოში მოხვდა, ჰამბურგის საკულტო გუნდის ისედაც მძიმე და უაღრესად პრობლემური მდგომარეობა მინიმუმ ოთხჯერ გააუარესა. გუნდის სპორტულმა დირექტორმა **ჰელმუტ შულტემ** ამიტომაც თქვა, ეს „ზანკტ პაულისთვის“ ძალიან ცუდი დღე იყოო...

Top

ვან გაალი გამხიარულდა

დიდი ხანია, ჩვენს გერმანელ კოლეგებს ასეთ კარგ ხასიათზე მყოფი **ლუის ვან გაალი** არ უნახავთ. მიუხედავად იმისა, რომ მიუნხენელებმა „გლადბახთან“ ცუდად ითამაშეს და ძლივს მოიგეს (1:0), ჰოლანდიელი სპეციალისტი მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ძალიან მხიარული იყო, ჟურნალისტებს ეხუმრებოდა და ერთ-ერთი კორესპონდენტი სახლშიც კი დაპატიჟა. რამდენადაც დაძაბული და უკმეხი იყო ვან გაალი მანამდე, სანამ მისი მომავალი გაირკვეოდა, იმდენად მხიარული და მეგობრულია ახლა, როცა უკვე ცნობილია, რომ ზაფხულში მიუნხენიდან უნდა წავიდეს.

სხვათა შორის, მის მეუღლე **ტრუუს** ჰოლანდიელ ჟურნალისტებთან წამოსცდენია, ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ ლუისი იტალიაში გადავა და ტურინის „იუვენტუსს“ ჩაუდგება სათავეშიო. ვნახოთ, ზაფხულიც მალე მოვა...

Top

ის ბალაკი ბრუნდება!

მიხაელ ბალაკი ნამდვილად ვერ დაეცემოდა იმაზე მეტად, როგორც იყო და გულშემატკივრებისთვის მისი დაცემის ქრონოლოგია ცნობილია. თუმცა მაინც გავიმეორებთ: ჯერ იყო და ტრავმის გამო მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ წავიდა; მერე გერმანიის ნაკრებმა მუნდიალზე მის გარეშე ბრწყინვალედ იასპარეზა; ამ ფაქტმა მიხაელს ბუნდესგუნდის კაპიტნობა კინაღამ დააკარგვინა, მაგრამ დაკარგულად ეთვლება, რადგან დიდი ხანია, ნაკრებში არ უთამაშია; სექტემბერში მან დიდი მონდომებით დაიწყო ვარჯიში, მაგრამ მალე ისევ დაშავდა; გამოჯანმრთელების შემდეგ ფორმაში შესვლას დიდი ხანი მოანდომა და ამ ყველაფრის გამო, ხალხი ალაპარაკდა, ბალაკი გერმანიას აღარ სჭირდებაო. ერთი სიტყვით, ეს სეზონი მიხაელისთვის უკიდურესად უიღბლოა. ან, უფრო სწორად - იყო...

34 წლის ნახევარმცველი ბოლო ტურებში ისე ათამაშდა, რომ ძველ ბალაკს გვაგონებს. „ლევერკუზენის“ ძირითად შემადგენლობაში უკვე დამკვიდრებულია და საკმაოდ კარგ შეფასებებსაც იმსახურებს. მიუხედავად ამისა, მისი ბუნდესგუნდში დაბრუნება ბევრს მაინც უტოპიად ეჩვენება, მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ **ბასტიან შვაინშტაიგერი** ბოლო დროს ცუდ ფორმაშია, ხოლო ბალაკი კი უფრო და უფრო უმატებს, უტოპია ნამდვილად არ იქნება ის, რომ **იოახიმ ლიოვმა** მიხაელი ნაკრებში გამოსაძახებელ კანდიდატად, როგორც მინიმუმ, განიხილოს.

Top

პროფესორ რალფის ეფექტი

როცა **რალფ რანგნიკი** „შალკეს“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა, ეს კი ორი კვირის წინ მოხდა, პირველი, რაც თქვა, ეს იყო: *„ისეთი განცდა მაქვს, რომ ამ გუნდის ფეხბურთელებმა არ იციან, როგორ უნდა შეუტიონ, როგორ უნდა მოაქციონ მეტოქე ზენოლის ქვეშ...“* ამ სიტყვებით მან „შალკეს“ ყოფილ მწვრთნელ **ფელიქს მაგათს** შეუტია, თუმცა მაშინ „დესპოტი ფელიქსის“ პასუხმაც არ დაახანა – ეგ ხომ პროფესორია, დარწმუნებული ვარ, რამის მოფიქრება არ გაუჭირდებაო...

არც გასჭირვებია! პარასკევს, „ზანკტ პაულისთან“ სულ სხვა, გაცილებით შემტევი, კრეატიული და აგრესიული „შალკე“ ვიხილეთ. გელზენკირხენელები 2:0-ს იგებდნენ და მერე რა, რომ თამაში შეწყდა – რანგნიკს ვერავინ დაუკარგავს იმას, რომ გუნდს ხელი დაატყო.

„ახლა სულ სხვანაირად ვითამაშეთ. მე ასეთი „შალკე“ უფრო მომწონს“, - თქვა შეწყვეტილი თამაშის შემდეგ მანუელ ნოიერმა. თუ რანგნიკი იმდენს მოახერხებს, რომ ორკვირიანი მუშაობის შემდეგ, „შალკეს“ დღეს მილანის „ინტერთანაც“ ისეთივე შემართებით ათამაშებს, როგორითაც „ხუმარები“ პარასკევს „ზანკტ პაულის“ ეთამაშებოდნენ, შალკელებს თამამად შეუძლიათ, „სან სიროზე“ ისეთი შედეგის მიღწევის იმედი ჰქონდეთ, რომელიც საპასუხო მატჩისთვის **ლევან ყენიას** კლუბს ნახევარფინალში გასვლის შანსს დაუტოვებს.

Top

დორტმუნდს ეს გზა ჩემპიონობამდე მიიყვანს

ამ ტურის წინ, დორტმუნდის „ბორუსიაზე“ მსჯელობისას მინიკრიზისზე, ამით გამოწვეულ ნერვიულობაზე, პირველ ეჭვებსა და მუხლების კანკალზე საუბრობდნენ. რაკი ლიდერს ზედიზედ ორი თამაში ვერ მოეგო, „ბორუსიას“ ფეხბურთელები „ჰანოვერთან“ მატჩის წინ თავდაჯერებულები არ ყოფილან. მეორე ტაიმში კლოპის გუნდმა გოლიც გაუშვა და იმ მომენტში კაციშვილმა არ იცოდა, ეყოფოდა თუ არა გუნდს ძალა თამაშის შეტრიალებისთვის.

აბდელაუს გოლიდან ზუსტად ორ წუთში, **მარიო გიოტცემ** არაჩვეულებრივი სოლო რეიდი განახორციელა და ანგარიში გაათანაბრა. გავიდა კიდევ ხუთი წუთი და **ლუკას ბარიოსმა** „ბორუსია“ წინ გაიყვანა, ეს ხუთი წუთი კი, კლოპის ბიჭებმა უდიდესი აღმაფრენით ითამაშეს. ცოტა ხანში ბარიოსმა მესამე გოლიც გაუტანა „ჰანოვერს“ და აი, მაშინ კი აგუგუნდა „ვესტფალენშტადიონი“ - გერმანიის ჩემპიონი მხოლოდ BVB გახდებაო.

„დორტმუნდს“ ამჯერად გამარჯვების უდიდესმა სურვილმა მოაგებინა და ეჭვი უკვე აღარავის ეპარება იმაშიც, რომ ეს სურვილი გუნდს გერმანიის ჩემპიონის ტიტულამდეც მიიყვანს.

ᲒᲘᲠᲩᲘ ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲐ

ᲒᲝᲢᲤᲠᲘᲓ ᲚᲔᲜᲪᲐᲛᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. სამშაბათის მატჩების წინ

პროფესორმა იცის: ინტერს დაცვაში უჭირს!

მაგრამ რანგნიკს მხოლოდ რაული ჰყავს, რომელიც ამბობს: შანსები 20/80-ზეა... გამოიცანით, ვის სასარგებლოდ

1/4 ფინალი. პირველი მატჩი

ინტერი (იტალია) VS შალკე (გერმანია)

5 აპრილი. მილანი. ჯუზეპე მეაცა. 22:45

სავარაუდო შემადგენლობები

ინტერი (4-3-1-2): ჟულიო სეზარი - მაიკონი, კორდობა, რანოკია, კივუ - სტანკოვიჩი, კამბიასო, ხ. ძანეტი - სნეიდერი - პანდევი, ეტო'ო.

შალკე (4-2-2-2): ნოიერი - უჩიდა, ჰიოვედესი, მეტცელდერი, შარპეი - მატიპი, პაპადოპულოსი - ფარფანი, ბაუმიოჰანი - რაული, ედუ.

მსაჯი: მარტინ ატკინსონი (ინგლისი)

რას მოიფიქრებს რალფ რანგნიკი ინტერის წინააღმდეგ?

თუკი „შალკეს" გულშემატკივრების გარკვეული ნაწილი მერვედფინალში, „ვალენსიასთან" წარმატებას უწინასწარმეტყველებდა, მეოთხედფინალში გელზენკირხენული კლუბი თითქმის ყველას განწირული ჰგონია. ამ შემთხვევაში როლები თავიდანვე გასაგებადაა გადანაწილებული: მილანის „ინტერი" უპირობო ფავორიტად მიიჩნევა, „შალკე" კი უიმედო აუტსაიდერად. გელზენკირხენული კლუბისთვის ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლაც უდიდესი მიღწევაა და შესაბამისად, „ხუმარებს" „ინტერის" გაგდებას არავინ ავალდებულებს. შესაძლოა, სწორედ ამაში იყოს „შალკეს" შანსი.

„ინტერმა" ამ უქმეებზე უმძიმესი ბრძოლა გადაიტანა - **ლეონარდოს** შეგირდებს სეზონის უპრინციპულესი მატჩი ჰქონდათ თანაქალაქელ „მილანთან" და თავი შეირცხვინეს: „ნერაძურიმ" მილანური დერბი, რომლის მოგების შემთხვევაშიც პირველ ადგილზე გადაინაცვლებდა, 0:3 წააგო. „ინტერის" ფეხბურთელები არ მალავდნენ, რომ „მილანთან" პაექრობას გაცილებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ვიდრე „შალკესთან" დღევანდელ მატჩს და გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ „ინტერი" დღევანდელი თამაშისთვის სრულყოფილად არაა მომზადებული და თანაც, ლეონარდოს შეგირდები გადაღლილებიც (უფრო ფსიქოლოგიურად) არიან. შესაძლოა, „შალკეს" ასეთ მდგომარეობაში მყოფი „ინტერიც" თავისუფლად ეყოს, მაგრამ არის მეორე ვარიანტიც: „ნერაძურიმ" რომ მოინდომოს, წესით, „მილანთან" ნაგების გამო დაგროვილი ბოღმის „შალკეზე" ამონთხევა არ უნდა გაუჭირდეს. თუმცა ეს ვარაუდია და რაც შეეხება ფაქტებს...

„შალკე" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში **ფელიქს მაგათმა** გაიყვანა, ახლა კი, გელზენკირხენულ კლუბს სათავეში **რალფ რანგნიკი** უდგას. ამ უკანასკნელს „პროფესორს" ტყუილად როდი ეძახიან: პარასკევს რანგნიკს ოფიციალური დებიუტი კი ჩაუშხამდა („ზანკტ პაულისთან" მატჩი 88-ე წუთზე შეწყდა), მაგრამ რალფმა **რაულსა** და კომპანიას თავისი ხელი ცხადად დაატყო - შალკელები 2:0-ს იგებდნენ და ისე თამაშობდნენ, როგორც ძალიან დიდი ხანია, აღარ უთამაშიათ.

თუმცა ის მატჩი შეწყდა, შედეგი არ დაფიქსირებულა და რანგნიკს დებიუტი სწორედ „ინტერთან" გამოსდის. ეს კი რალფისთვის განსაკუთრებული შემთხვევაა, რადგან „პროფესორი" „შალკეში" მოღვაწეობის მეორე ხანას ზუსტად იქიდან იწყებს, სადაც ხუთი წლის წინ პირველი დაასრულა. 2005 წლის დეკემბერში „შალკე" ჩემპიონთა ლიგას ჯგუფურ ეტაპზე გამოეთიშა და გელზენკირხენელებს ბოლო მატჩი მაშინაც „სან სიროზე" ჰქონდათ - ოღონდ არა „ინტერთან", არამედ „მილანთან" და 2:3 წააგეს. სწორედ იმ მარცხიდან რამდენიმე დღეში გაათავისუფლეს რანგნიკი და გერმანული ფეხბურთის ქომაგებს ისიც ეხსომებათ, რომ მაშინ „შალკეს" ფანებმა რალფი ცრემლებით გააცილეს, რადგან მის ხელში გუნდი მართლა კარგად თამაშობდა და მხოლოდ იმიტომ დაიფრინეს, რომ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი ვერ გადალახა. ასე იყო: მაშინ „შალკეს" ხელმძღვანელები რანგნიკისგან აშკარად ზედმეტს ითხოვდნენ...

ამრიგად, 1946 დღის შემდეგ, „პროფესორი რალფი" „სან სიროზე" ისევ „შალკეს" თავკაცის რანგში ბრუნდება. *„მაშინ ვხვდებოდი, რომ ხელმძღვანელები გათავისუფლებას მიპირებდნენ, რადგან სეზონის წინ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გასვლა მომთხოვეს. „მილანთან" მხოლოდ გამარჯვება გვაძლევდა ხელს, ჩვენ კი 2:3 წავაგეთ. ასეთ ანგარიშს ახლა სიამოვნებით დავთანხმდებოდი, მაგრამ ჩვენ შევეცდებით, მილანში ფრეს მივაღწიოთ, ან სულაც მოვიგოთ. და ეს მიუხედავად იმისა, რომ ვალიარებთ, აუტსაიდერები ვართ,"* - განაცხადა რანგნიკმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

„ჩვენი მიზანი კარის მშრალად შენახვაა, რათა საპასუხო მატჩისთვის იმედიანად ვიყოთ," - ეს კი მეკარე მანუელ ნოიერის სიტყვებია.

„შალკეს" მილანში ვერ გაჰყვა საყრდენი ნახევარმცველი **პეერ კლუგე**, რომელიც ბოლო დროს ერთ-ერთი საუკეთესო შალკელი იყო. კითხვის ნიშნის ქვეშაა ცენტრალური მცველის, **კრისტოფ მეტცელდერის** ასპარეზობაც. იმის გამო, რომ **ანტონი ანანს** „შალკეს" მაისურით ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება არ აქვს, რანგნიკი იძულებული ხდება, ნახევარდაცვის ცენტრში, საყრდენების უმნიშვნელოვანესი პოზიციები ახალგაზრდა ფეხბურთელებს, 19 წლის ბერძენ **კირიაკოს პაპადოპულოსს** და გერმანელ-კამერუნელ **ჯოელ მატიპს** ჩააბაროს. ტრავმა მიიღო „შალკეს" თავდამსხმელმა **მარიო გავრანოვიჩმაც**, რომელსაც დიდი ხნის ტრავმირებულის, **კლაას-იან ჰუნტელაარის** ნაცვლად ათამაშებდნენ ხოლმე. რანგნიკს კი სხვა გზა აღარ აქვს: წინა ხაზში, რაულს ბრაზილიელი **ედუ** უნდა შეუწყვილოს, რომელიც ნაღდად არ ეხატება გულზე.

ლეონარდოს განკარგულებაში მყოფ ფეხბურთელებს ევროტურნირებზე 1120 მატჩი აქვთ ჩატარებული, „შალკედან" კი ყველაზე გამოცდილი რაულია, რომელსაც ევროტურნირებზე 146 შეხვედრაში აქვს მონაწილეობა მიღებული. ლოგიკურიცაა, 33 წლის ესპანელი თავდამსხმელი რომ ამბობს, შანსები 20/80-ზეა - რა თქმა უნდა, „ინტერის" სასარგებლოდ.

„შალკესთვის" მცირე ნუგეშია ის, რომ მეოთხედფინალში გასული გუნდებიდან, „ინტერს" ყველაზე მეტი, 14 გოლი აქვს გაშვებული, რაც იმას ნიშნავს, რომ „ნერაძურის" ნაღდად აღარ ჰყავს ისეთი ძლიერი დაცვის ხაზი, როგორიც შარშან ჰყავდა. თანაც, „ინტერს" დისკვალიფიკაციის გამო, დაცვის ბრაზილიელი ბურჯი, **ლუსიო** დააკლდება.

1/4 ფინალი. პირველი მატჩი

რეალი (ესპანეთი) VS ტოტენჰემი (ინგლისი)

5 აპრილი. მადრიდი. სანტიაგო ბერნაბეუ. 22:45

სავარაუდო შემადგენლობები

რეალი (4-2-3-1): კასილიასი - სერხიო რამოსი, პეპე, რ. კარვალიო, მარსელო - ჩაბი ალონსო, ხედირა - კ. რონალდო, იოზილი, დი მარია - ადებაიორი.

ტოტენჰემი (4-4-2): გომეში - ჩორლუკა, დოუსონი, ბასონგი, ასუ-ეკოტო - ჯენასი, მოდრიჩი, ვან დერ ვაარტი, ბეილი - პავლიუჩენკო, დეფო.

მსაჯი: ფელიქს ბრიხი



ჟოზე მოურინიო

ჟოზეს ეგომ გაიღვიძა!

მოურინიო: ექიმების აზრი არ მაინტერესებს, რონალდოც ითამაშებს და მარსელოც!

ცხრა წელი, ოთხი კლუბი, 150 წაუგებელი მატჩი საკუთარ მოედანზე - ვინ წარმოიდგენდა, რომ **ჟოზე მოურინიო** ამ განუმეორებელ სერიას მაინცდამაინც „ხიხონთან" შეწყვეტდა?

ასეც ხდება ხოლმე: „რეალმა" „სანტიაგო ბერნაბეუზე" ხსენებულ „ხიხონთან" 0:1 წააგო, რაც იმას ნიშნავს, რომ მადრიდელებს ესპანეთის ჩემპიონობაზე ოცნების უფლება აღარ აქვთ. რაკი ესპანეთის თასის მოგება „რეალს" აქტიში ვერ ჩაეთვლება, ფაქტია: თუ არ უნდა, რომ პირველივე სეზონი წარუმატებლად ჩაუთვალონ და აითვალწუნონ, მოურინიომ „რეალს" ჩემპიონთა ლიგა უნდა მოაგებინოს.

ჟოზემ ეს ძალიან კარგად იცის და „ტოტენჰემთან" პირველი მეოთხედფინალური მატჩის წინ („რელის" პირველი მოღვაწეობა მეოთხედფინალში 2004 წლის შემდეგ), სავარაუდოდ, ამიტომაც მიდის საკმაოდ დიდ რისკზე. საქმე ისაა, რომ **კრიშტიანო რონალდოს** და **მარსელოს** ტრავმები აწუხებთ და „სამეფო გუნდის" ექიმებმა მოურინიოს დღეს მათი მოედანზე გაყვანისგან თავის შეკავება ურჩიეს, მაგრამ ჟოზე ჯიუტობს.

„ექიმები მეუბნებიან, რომ ეს დიდი რისკია. მათი აზრით, უმჯობესია, რომ „ტოტენჰემთან" არც რონალდო ვათამაშო და არც მარსელო, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს ჩემი გადასაწყვეტია. რაკი თამაში ორივეს შეუძლია და ეს რისკია, პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებ. ეს ჩემი რისკია," - განაცხადა გუშინ მოურინიომ. სამაგიეროდ, ჟოზე ნამდვილად ვერ გამოიყენებს ბოლო დროს საკმაოდ კარგ ფორმაში მყოფ **ქარიმ ბენზემას**. მართალია, **გონსალო იგუაინი** ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, როგორც იქნა, გამოჯანმრთელდა და „ხიხონთანაც" ითამაშა, მაგრამ ჯერ ფორმაში არ არის, რაც იმას ნიშნავს, რომ დღეს „რეალის" ერთადერთი ცენტრფორვარდი **ემანუელ ადებაიორი** იქნება.

რაც შეეხება „რეალის" მეტოქეს: „ტოტენჰემი" ესპანეთის დედაქალაქში სერიოზული საკადრო პრობლემებით, მაგრამ ძალიან თავდაჯერებული ჩავიდა. *„რეალთან" დაცვაში კომპაქტურად დგომაა საჭირო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მხოლოდ დაცვაზე უნდა ვიზრუნოთ. შეტევაზეც უნდა ვიფიქროთ, თანაც, აუცილებლად. დარწმუნებული ვარ, რომ საგოლე მომენტები გვექნება. ჩვენი მიზანი, „სანტიაგო ბერნაბეუზე" მინიმუმ ერთი გოლის გატანაა,* - აცხადებს „ტოტენჰემის" ჰოლანდიელი ნახევარმცველი **რაფაელ ვან დერ ვაარტი**, რომელიც ინგლისურ კლუბში სწორედ „რეალიდან" (ზაფხულში) გადავიდა და იქვე დასძენს, - *ჟურისძიებაზე არ ვფიქრობ. საერთოდ არ მახსოვს, რომ „რეალში" ვთამაშობდი."*

რაც შეეხება საკადრო პრობლემებს: „ტოტენჰემის" თავკაცი **ჰარი რედნაპი** იძულებულია, დაცვის ხაზში ცვლილებებს მიმართოს, რადგან **ლედლი კინგისა** და **ჯონათან ვუდგეიტის** შემდეგ, **ალან ჰატონიც** დაშავდა - შოტლანდიელ მარჯვენა მცველს მუხლის ოპერაციას გაუკეთებენ. ესეც რომ არ იყოს, დღეს **ვილიამ გალასის** თამაშიც უდიდესი კითხვის ნიშნის ქვეშაა.

სამაგიეროდ, „ტოტენჰემს" სრულად გამოუჯანმრთელდა **გარეთ ბეილი**. რედნაპი ამბობს, აბსოლუტურად ჯანმრთელია და „სანტიაგო ბერნაბეუზე" აუცილებლად ითამაშებსო.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

უცხოური ფეხბურთი

● ლიგა 1. XXIX ტურის გამოხმაურება

სულ უფრო ახლოს ბედნიერებასთან

ლიგა 1-ის XXIX ტურმა ბევრი რამ გაარკვიაო, რომ ვთქვათ, ხმამაღალი ნათქვამი იქნებოდა, მაგრამ კიდევ უფრო გამოკვეთა ჩემპიონობის ფავორიტები და სულ უფრო ნაკლები იმედი დაუტოვა აუტსაიდერებს. ქვემოთ ვეცდებით, ამ ტურში მომხდარ საინტერესო ფაქტებზე მოგითხროთ. მთავარი ის არის, რომ „ლილ მეტროპოლის" მკვიდრები ბედნიერები არიან და ტურიდან ტურამდე ამის საფუძველი მათ უფრო უმტკიცდებათ - **რუდი გარსიას** გუნდი ჩემპიონობასთან ძალიან ახლოს დგას.

ტურის მატჩი

ტურს ჩემპიონობის მაძიებელი გუნდების დუელი არ ჰქონია. შესაბამისად, ამ რუბრიკისთვის ყველაზე დამაინტრიგებელი დაპირისპირება შევარჩიეთ. მეტოქეებს წაგების უფლება უკვე აღარ ჰქონდათ, რამაც მატჩს უბრალოდ სამ ქულაზე მეტის ფასი შესძინა. აღნიშნულმა დაპირისპირებამ მონაწილეთ ემოციათა ზღვა მოუტანა, ლაპარაკია „ლანსი"-„მარსელის" წყვილზე. ორივე გუნდი ბედს შეტევაში ეძებდა და მატჩიც მეტად ლამაზი საყურებელი გამოდგა. სწორედ ამის გამო აღნიშნა ფრანგულმა პრესამ, სანახაობამ მოლოდინს გადააჭარბაო. სამი ქულის ბედიც არაორდინარულმა გოლმა გადაწყვიტა, **ბენუა შეირუმ** ბურთი მარჯვენა ფეხით გაიტანა, რაც ძალზე ძვირი სანახავია. ერთადერთი, ვინც მატჩის ხარისხს არად დაგიდევდათ და ამიტომ უკმაყოფილო დარჩა, ეს „ლანსის" გულშემატკივარია. მათი გუნდი გასავარდნ ზონაში რჩება და გადამრჩენელ მე-17 ადგილზე მოკალათებულ „ოსერთან" ჩამორჩენა უკვე ხუთ ქულას შეადგენს.

ტურის გმირი

ტურის საუკეთესო ფეხბურთელი ულაპარაკოდ **სტივ მანდანდაა**. მან რამდენიმე რთული ბურთი აიღო. არა, არ ვამტკიცებთ, რომ მატჩი მარტომ მოიგო, მაგრამ გამარჯვებაში რომ სოლიდური წილი დაიდო, ვინც შეხვედრას უყურა, ყველა დაგვეთანხმება. „ლანსის" წინა ხაზმა სტუმართა დაცვას რამდენჯერმე სერიოზული შეცდომა დააშვებინა და რომ არა მანდანდა, „ლილის" ბანაკში შვიდქულიანი სხვაობით ახლა უფრო ბედნიერები იქნებოდნენ. იმის გათვალისწინებით, რომ „ლიონმა" ქულები დაკარგა, შეიძლება იმის თქმაც, რომ სტივმა საფრანგეთის მოქმედ ჩემპიონებს მომავალ წელს ჩემპიონთა ლიგაში თამაში დაუბევა.

აქვე წარმოგიდგენთ სიმბოლურ ნაკრებს:

მანდანდა (მარსელი) – **კანა-ბიუიკი** (რენი), **სახო** (პსჟ), **მანგა** (ლორიანი), **იანგამბივა** (მონპელიე) – **მუკანჯო** (მონაკო), **მბია** (მარსელი), **მვუემბა** (ლორიანი), **ბალმონი** (ლილი) - **სოვი** (ლილი), **ჟერვინიო** (ლილი).

ტურის უცნაურობა

თუკი მატჩების შედეგებს თვალს გადავავლებთ, აღმოაჩენთ, რომ სამი მათგანი 0:0 დასრულდა. სტერეოტიპების ტყვეობაში ნუ მოექცევით და ნუ იფიქრებთ, რომ XXIX ტურმა სამი უსახური მატჩი გვაჩუქა. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ პსჟ-"ლორიანის" შერკინება, სადაც გოლი არ გასულა, მაგრამ მატჩი 90 წუთის განმავლობაში ე.წ. შემხვედრ რელსებზე მიდიოდა. შეიძლება ითქვას, რომ ბრწყინვალე სანახაობა იყო.

ტურის გოლი

„სოშოს" ნიგერიელმა ლეგიონერმა **ბრაუნ იდეიმ** წინა შეხვედრაშიც მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა. მან ახლაც გამოიჩინა თავი და თანაც ზედსართავ სახელ მნიშვნელოვანს ლამაზიც თან დაურთო. „ბრესტის" მცველები წამიერად მოდუნდნენ და რიკოშეტით იდეიესთან გაჩენილი ბურთი ნახევარბრუნში მაკრატელა დარტყმით გაიტანა. შეიძლება ვთქვათ, რომ მას ეს გამოუვიდა, მაგრამ ფაქტს ვერსად გავექცევით, „სოშომ" მოიგო და თანაც ეფექტური გოლის წყალობით.

ტურის უიღბლობა

ვერ გეტყვით, სწორია თუ არა ფორმულირება... მაგრამ ის, რასაც „სენტ ეტიენის" დაცვა აკეთებს, სხვა ვერაფერი დავარქვით. აბსტრაქტულად ამას სასწაული ჰქვია. ვალანსიენელმა **გრეგორი პუჟოლმა** ბურთი ბრძოლის გარეშე მიიღო მარჯვენა ფლანგზე, დაიძრა მეტოქის კარისკენ, შეინია ცენტრში და დააქუხა. მთელ ამ პროცესში მას წინ არავინ აღდგომია. იქნებ „სენტ ეტიენის" თავკაც **კრისტოფ გალტიეს** ჰქონდეს პასუხი შეკითხვაზე, რა იყო ეს? ამას უბრალოდ უყურადღებობა არ ჰქვია. ეს სტანდარტულ შეცდომაზე რაღაცით მეტია.

და კიდევ, ვერავინ გაიგო, რა სჭირდა ერთი მხრივ **პაპე დიაკატეს**, ვინც წარმოუდგენელ სიტუაციებში მიიღო ორი ყვითელი ბარათი და შესაბამისად მსაჯს წითელიც არ დაუშურებია მისთვის. მეორე მხრივ, რა დაემართა დიაკატეს გარეშე დარჩენილ „ლიონს", რადგან მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში ორი გოლი გაუშვა და მხოლოდ სამი ქულა კი არ დაკარგა, დიდი ეჭვია, რომ ჩემპიონობაზე ოცნებასაც უნდა გამოეთხოვოს.

ტურის სერია

„არლის" მოუგებელი სერია უკვე 17 მატჩია გრძელდება და ყველამ იცის, რომ ეს არ არის ზღვარი... არ იქნება გადაჭარბება თუ ვიტყვით, რომ ლიგა 1-ის ისტორიას ასეთი სუსტი მონაწილე ალბათ არც ჰყოლია. მათი დაქვეითების საკითხი პრაქტიკულად ჯერ კიდევ პირველი წრის შემდეგ იყო გადაწყვეტილი. კიდევ ერთ აუტსაიდერ „მონაკოსთან" მატჩი მასპინძლებმა თითქმის 10 კაცით დაიწყეს – მე-2 წუთზე არბიტრმა **ჩუ-იუნ პარკის** წინააღმდეგ „უკანასკნელი იმედის ჯარიმისთვის" წითელი ბარათით დასაჯა **გრეგორი ლორენცი** და ამის შემდეგ ეს გუნდი წასაგებად უკვე განწირული იყო.

ლევან ბიბილაშვილი

კლოდ პიუელს სანერვიულო მოუმრავლდა - ლიონს ოქროს მედლები ხელიდან ეცლება

ქართული სპორტი

● ჩოგბურთი

ანა ტატიშვილი

რანდევუ დოკიჩთან და ასეული ხელის განვლენაზე

როგორც ვივარაუდეთ, **ანა ტატიშვილმა** მაიამის ტურნირის მეორე წრეში გასვლით რეიტინგ-ლისტში ერთბაშად 10 საფეხურით წაინია წინ და კარიერის ახალ საუკეთესო მაჩვენებელს უნია. ანას 608 სარეიტინგო ქულა აქვს და ის მსოფლიოს 115-ე ჩოგანია. მსოფლიოს საუკეთესო ასეულამდე 15 ადგილი და დაახლოებით 60 ქულაღა რჩება. 8 საფეხურით დაწინაურდა **ოქსანა კალაშნიკოვა**, ვინც 310 ქულით მსოფლიოს 188-ე ჩოგანი გახდა. სხვები: 234 (-2) **მაკა ჩახნაშვილი** - 231 ქულა; 284 (-) **სოფიო შაფათავა** - 185; 299 (-7) **თათია მიქაძე** - 168; 409 (+8) **სოფიო ქვაცაბაია** - 95; 551 (+1) **ეკა გორგოძე** - 54; 622 (-21) **მანანა შაფაქიძე** - 40. როგორც ხედავთ, რეიტინგ-ლისტიდან **ანა ჯიქია** ამოვარდა. სხვათა შორის, ვტა-ს წლის რბოლაში ანა ტატიშვილს კიდევ უფრო კარგი პოზიცია აქვს - 83-ე საფეხურზეა. ვაუები: 704 (+1) **ნიკოლოზ ბასილაშვილი** - 22 ქულა; 832 (+35) **ლადო ჩიხლაძე** - 13 ქულა.

21 წლის ტატიშვილი ამერიკის ქალაქ ჩარლსტონში ასპარეზობს, სადაც „ფემილი საირქლ ქაფ" მიმდინარეობს, ვტა-ს ტურნირი 721 ათასი დოლარი საპრიზო ფონდით. ჩვენებური მე-5 ნომრად იყო განთესილი საკვალიფიკაციო ბადეში, რომელიც წარმატებით დაძლია. მეორე წრეში მან მე-14 ნომრად განთესილ უკრაინელ **ტეტიანა ლუჟანსკას** იოლად აჯობა - 6:2, 6:2 და ძირითად ბადეში გავიდა.

ძირითად ბადეში ანა დღეს ავსტრალიელ **ელენა დოკიჩს** შეხვდება, 28 წლის ჩოგბურთელი დღეისათვის მსოფლიოს 64-ე ჩოგანია, მაგრამ ერთ დროს ის პლანეტის მე-4 ჩოგბურთელი გახლდათ. 2010 წელს ტატიშვილი პირველად გადაეყარა კორტზე დოკიჩს. რომის „ტირო ა ვოლოს" ტურნირის პირველ წრეში ანამ პირველ სეტში 7:6 დაამარცხა ელენა, მაგრამ შემდეგ 4:6, 0:6 დათმო ფავორიტთან.

ანტალიაში დაიწყო მორიგი 10-ათასიანი ტურნირი. შეგახსენებთ, რომ წინა 19 წლის გორგოძემ მოიგო (12 ქულა მას მომავალ ორშაბათს დაერიცხება). საკვალიფიკაციო ბადეში სამმა ჩვენებურმა პირველივე წრეში წააგო. **ბარბარე ერისთავმა** იტალიელ **ლორენცა სტეფანელისთან** დათმო - 3:6, 4:6, **ირინა თოიძე** მეორე სეტში დანებდა ბულგარელ **ალინა პეტრასს** - 2:6, 1:2 და **ანი გოგვაძემ** ვერაფერი დაუპირისპირა ფრანგ **ჟული ტრინგას** - 0:6, 5:7. გორგოძე ძირითად ბადეში განთესილთა შორის იქნება. იტალიურ პომეციაში 10-ათასიანი ტურნირის პირველი ჩოგანია მაკა ჩახნაშვილი. ჩვენებური პირველ წრეში იტალიელ **კაროლინა პილოტს** (484) შეხვდება. სოფიო ქვაცაბაიას მეტოქე კი მე-7 ნომრად განთესილი მასპინძელი **ანალიზა ბონაა** (362). ქვაცაბაიასა და ჩახნაშვილის დუეტი ტურნირზე პირველ ნომრად არის განთესილი და პირველი წრისგან თავისუფალია.

ანთალიაში ვაჟთა ტურნირიც დაიწყო, რომლის საკვალიფიკაციო ბადეში **გიორგი რევაზიშვილმა** რუს **რუსლან რახიმოვს** 6:0, 6:0 მოუგო, მაგრამ მეორე წრეში ფრანგ **კევინ ბოტისთან** წააგო - 0:6, 3:6.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● ძიუდო. კიევის ტურნირი

ვაზაგაშვილის მეორე წარმატებული

გიორგი ვაზაგაშვილმა და მის მიერ გაწვრთნილმა ჭაბუკთა ნაკრებმა კიევში გამართულ ევროპის ჭაბუკთა თასზეც დიდი წარმატებით იჭიდავეს - ოქროს 4, ვერცხლის 2 და ბრინჯაოს 3 მედალი მოიპოვეს. ისიც აღსანიშნავია, რომ ორ წონით კატეგორიაში - 73-სა და 90-ში ქართული ფინალი გაიმართა, 66-ში კი კვარცხლბეკზე ერთბაშად ოთხი ქართველი ავიდა. ტურნირის ჩემპიონები **თამაზ კირაკოზაშვილი** (60), **გიორგი მუზაშვილი** (66), **ლევან გუგავა** (73) და **შალვა ჩოჩელი** (90) გახდნენ. **ბექა დონღვანი** (73) და **გურამ თუშიშვილი** (90) მეორეზე გავიდნენ, **აპოლონ ზურაბიანი, ვანო ჩურჩხელაშვილი** (ორივე - 66) და **ბექა ღვინიაშვილი** (81) - მესამეზე. ამასთან, ჩვენებმა გაიმარჯვეს გუნდურ ჩათვლაში. ეს შეჯიბრება ევროპის ჩემპიონატისთვის კადრების შერჩევას ისახავს მიზნად. ვაზაგაშვილმა შეგიორდებს პირველი ასეთი უცხოური გამოცდა ორი კვირის წინ ანთალიაში ჩაუტარა. ანალოგიურ ტურნირზე, ოღონდ იქ 40 მონაწილე ნაიყვანა, ახლა კი შემადგენლობა ბევრად გაცხრილა და უფრო რეალური კანდიდატები აჭიდავა. ცხადია, მისთვის ყველაზე კარგი ამბები იმ წონებში მოხდა, სადაც ფინალში ჩვენებურებმა იჭიდავეს. 50-სა და 55-ში მონაწილე საერთოდ არ გვყავდა, 60-ში კი ხუთი ქართველი ჭიდაობდა. მათგან ვალერი იაშვილი პირველივე შეხვედრაში დამარცხდა, **გიორგი გუგულაშვილისა** და **იაკობ მაისურაძის** გზები კი მეოთხედფინალში გადაიკვეთა. იქამდე ორივემ ორ-ორი შეხვედრა მოიგო, მაგრამ მცირე უპირატესობა გუგულაშვილის მხარეს იყო - მან ორივეში წმინდად იმარჯვა, მაისურაძემ კი ერთში ორი ვაზარით, მეორეში - გაფრთხილებით. ვერ დავიჩემებ, რომ ამის გამო გუგულაშვილი უფრო ძლიერია და ახლაც ამიტომ მოუგო კონკურენტს-მეთქი, მაგრამ ფაქტია - სწორედ მან მოიგო. ნახევარფინალში ის მასპინძელ **ანატოლი მარტიშენკოსთან** დამარცხდა და მაისურაძესავით სანუგეშო წრეში გადავიდა, მაგრამ ბრინჯაოსთვის ბრძოლაში ორივე დამარცხდა და მეხუთეზე დარჩნენ. მარტიშენკოს ჯავრი ფინალში კირაკოზაშვილმა ამოგვყარა, ვინც მანამდე ხუთი შეხვედრა მოიგო, აქედან - სამი წმინდად. ჩვენებურმა ფინალშიც წმინდად მოიგო.

ამ წონის მეხუთე მონაწილე **დავით ჭიკაიძემ** ორ შეხვედრაში იპირველა.

ქართველთა გზები ნახევარფინალში გადაიკვეთა 66-ში - მუზაშვილმა ჩურჩხელაშვილს ვაზარით მოუგო. ეს მომავალ ჩემპიონ მუზაშვილის მეოთხე მოგება იყო, ჩურჩხელაშვილმა კი სამჯერ იმარჯვა. მათ შორის ერთი - წარმოშობით ახმეტელ **რევაზ მესაბლიშვილთან**. ქართულ ფინალამდე ერთი მოგება დავგაკლდა ამ წონაში - ზურაბიანი სამი მოგებით ნახევარფინალში გავიდა, მაგრამ მასპინძელ **დმიტრო რაშკინთან** წმინდად წააგო. რაშკინს ფინალში ასევე სუფთად უკვე მუზაშვილმა აჯობა, ჩურჩხელაშვილმა და ზურაბიანმა კი სანუგეშოში იყოჩაღეს და მესამეზე გავიდნენ.

მწვრთნელმა 73-ში მხოლოდ უშუალო კონკურენტები - გუგავა და დონღვანი წაიყვანა. მათ ანტალიაშიც ფინალში იჭიდავეს და ახლაც. შედეგიც იდენტურია - გუგავამ ამჯერადაც მოუგო მდევარს. ღვინიაშვილი 81-ში ჩვენი ერთადერთი მონაწილე იყო და მწვრთნელს იმედები გაუმართლა - ნახევარფინალამდე სამი წმინდა მოგებით მივიდა, იქ კი უკრაინელთა სახელით მოასპარეზე **დავით ხარებავასთან** წააგო.

ჩოჩელი

ჩოჩელმა ანთალიაშიც გაიმარჯვა, თუმცა ამჯერად წილისყრამ უჩვეულოდ გაუმართლა - ნახევარფინალამდე უბრძოლველად გავიდა, იქ კი იუკოთი მოიგო. ამასობაში თუშიშვილი ბრძოლით მიიკვლევდა გზას ფინალისკენ - პირველ წრეში ისვენებდა, მერე კი სამ ორთაბრძოლაში სუფთად იმარჯვა, მაგრამ გადამწყვეტი შეხვედრა თანაგუნდელთან ასევე წმინდად წააგო.

ერთი მონაწილე გვყავდა +90-ში - ანთალიის ტურნირის გამარჯვებული **გიორგი ლაზუაშვილი**, მაგრამ ის ამჯერად პირველივე წრეში დამარცხდა.

ირაკლი თავაძე

ვაკარბაში

ვაკარბაში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში მთავარი პრიზისთვის 7 ქვეყნის 110 წარმომადგენელი იბრძვის. მათ შორის - 11 დიდოსტატი და 10 საერთაშორისო ოსტატი. მოასპარეზეთა შორისაა თბილისელი **მერაბ გაგუნაშვილი**, რომელმაც გუშინ მასპინძელი **დედე ლიუ** დაამარცხა და 5 შესაძლებლიდან 4 ქულა მოაგროვა. ამდენივე ქულა აქვს კიდევ 9

● ჭადრაკი

ქულით ჩამორჩება

მოჭადრაკეს. ერთპიროვნულად და უდანაკარგოდ კი ინდონეზიელი **გერდას ბარუში** მენინავეობს. მე-5 ტურში მან სინგაპურელ **ჟან ჟონგს** გაარჩერებინა საათი. ლიდერს ნახევარ-ნახევარი ქულით ფილიპინელი **ეუგენიო ტორე** და ინდონეზიელი **სუსანტო მეგარანტო** ჩამორჩებიან.

დღეს მე-6 ტურში ლიდერთაგან ერთმანეთს შეხვდებიან ტორე-ბარუში, ჟან ჟონგი-მეგარანტო, არდიანსიანი-გაგუნაშვილი.

ვაჟა დანელია

ლლ

ხელმოწერის მსურველთა საყურადღებოდ!

„ლელოზე" ხელმოწერის გასაფორმებლად ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ ჩვენი საგამომცემლო სახლის სააგენტოს ელვა.ჯი. სურვილის მიხედვით სააგენტოს წარმომადგენელი თავად მოგაკითხავთ ორგანიზაციაში ხელმოწერის ნებისმიერი რიცხვიდან გასაფორმებლად. გაზეთის დროული და უკლებლივ მოწოდება გარანტირებულია.

დარეკეთ: 38 26 73; 38 26 74 ელვა.ჯი.

● თავისუფალი ჭიდაობა. პრესკონფერენცია

მომავალ ოლიმპიელებს ოლიმპიურმა უმასპინძლა

ევროპის ჩემპიონატიდან წარმატებით დაბრუნებული თავისუფალი სტილის მოჭიდავეები გუშინ ოლიმპიურ კომიტეტში მიიწვიეს. მას ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ზაზა თურმანიძე**, კონტინენტის ვიცე-ჩემპიონები - **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55), **დავით მარსაგიშვილი** (84) და ბრინჯაოს მედალოსანი **დავით ხუციშვილი** (74) ესწრებოდნენ. შეხვედრა ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **გია ნაცვლიშვილმა** გახსნა და მოჭიდავეებს წარმატება მიულოცა: *„ამ გუნდს მომავლის ნაკრებს ვუწოდებდი. ვფიქრობდი, ის წარმატებისთვის მზად უფრო მომავალ ოლიმპიურ ციკლში იქნებოდა, რადგან ეს ბიჭები ახლა გადმოვიდნენ ახალგაზრდული ნაკრებიდან და ჯერ კიდევ დასჭირდებათ მომატება-მეთქი. სულ მეეჭვებოდა, მოასწრებდნენ თუ არა ისინი ლონდონის ოლიმპიადისთვის სათანადო ფორმაში შესვლას. ცხადია, მათ მომატება მართლაც სჭირდებათ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ახლავე არიან მზად წარმატებების მოსაპოვებლად. მათი გამოსვლით ძალიან კმაყოფილი ვარ, ეს მართლაც კარგი შედეგია, რისთვისაც კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მათ. ამით ისინი უკვე შევიდნენ თავისუფალი ჭიდაობის ელიტაში - ევროპის ჩემპიონატზე მედლების მოპოვება არაა პატარა საქმე. ეს უკვე ძალიან სერიოზული განაცხადია ჯერ მსოფლიოს ჩემპიონატზე, მერე კი ოლიმპიადაზე წარმატების მოსაპოვებლად. ლიცენზიანტთა დაფაზე ჯერჯერობით მხოლოდ ერთი გრაფაა შევსებული - ჯერ მარტო ნინო სალუქვაძის ხელმოწერაა, მაგრამ დიდი იმედია, მას ეს ბიჭებიც შეუერთდებიან, ისინიც მოიპოვებენ საგზურს. ამაში დარწმუნებული ვარ. ასევე მჯერა, ამას იმ ოთხი წონის წარმომადგენლებიც შეძლებენ, რომლებიც ამჯერად უმედლოდ დარჩნენ და ლონდონში სრული გუნდით გამოვალთ. დასასრულს, ყველას კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ მიღწევას და სამომავლოდ წარმატებებს გისურვებთ“.*

ევროპის ჩემპიონატი ზაზა თურმანიძემ ასე შეაფასა: *„ყველას დიდი მადლობა მოლოცვისთვის, განსაკუთრებით კი - ამ სპორტსმენებს. თუმცა მათთან მიმართებაში სულ მაქვს ერთი ფიქრი - არ მინდა, ისინი დაკმაყოფილდნენ ამ შედეგით; მინდა, თვითკრიტიკულნი იყვნენ თავიანთი შეხვედრების მიმართ. რაც მოხდა, ეს უკვე წარსულია, წინ კი ახალი შეჯიბრებებია. მსოფლიოს ჩემპიონატისთვის აქედანვე ვემზადებით. ამ ბიჭებს დაემატებიან გიორგი გოგშელიძე, რომელიც ხელის ოპერაციის შემდეგ სარეაბილიტაციო პერიოდს გადის, და ოთარ თუშიშვილი. თუმცა სხვა წონებშიც არიან ისევ ამათივე თანატოლი პერსპექტიული ახალგაზრდები და არა არის გამორიცხული, იმათაც ჩაანაცვლონ უფროსი ასაკის სპორტსმენები. ალბათ, კონკურენცია უკვე ჯანსაღია. სულ მინდოდა, ამ ევროპის ჩემპიონატზე პატარა ხელმოსაჭიდი მაინც დამენახა საიმისოდ, რომ მათთან შეიძლებოდა მუშაობა. მოხარული ვარ - მათ იმაზე მეტად გამოიჩინეს თავი, ვიდრე ველოდი. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ამ ბიჭებს“.*

გია ნაცვლიშვილი 84 კლოგრამში მარსაგიშვილისა და რუსი **ანზორ ურიშევის** ფინალსაც შეეხო, რომელიც ჩვენებურს იმდენად უნამუსოდ წააგებინეს, თვით რუსებიც კი აღიარებენ. მთავარი მსაჯი ჩვენებურის ჩემპიონად გამოცხადებას აპირებდა, მარცხს შეგუებული ურიშევი კი ერთხანს თავჩაქინდრული იჯდა ლეიბზე და შედეგს არც აპროტესტებდა, მაგრამ მაგიდის მსაჯმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა და, შეიძლება ითქვას, ოქრო აჩუქა ურიშევს. *„იქნებ მე დიდი გამოცდილებით ვერ დავიკვეხნი, მაგრამ ასეთი რამე არც კი გამიგონია. იმ წუთას შეიძლება რაღაც მოხდეს და შედეგი შეცვალო, მაგრამ შეხვედრის დამთავრების შემდეგ ყველაფერი უკან დაატრიალო და გადააკეთო, წარმოუდგენელია. ამ სახეობის ოლიმპიადიდან ამოღება როგორ უნდა ინატრო კაცმა, მაგრამ ასეთი უთავბოლო საერთაშორისო ფედერაცია არ მინახავს. რაც აქ ხდება, სხვაგან დაუშვებელია. რაც მოხდა, ეს აღმაშფოთებელია - კაცს ჩემპიონობა წაართვეს, თუმცა ამან ყურები არ უნდა ჩამოგვაყრევინოს. პირიქით - მგონი მეტი სტიმული მოგვცა იმის დასამტკიცებლად, რომ ძლიერები ვართ, მათ დაჩაგვრის საშუალება არ უნდა მივცეთ. მიკერძოება და არაობიექტურობა ყოველთვის არსებობდა და მომავალშიც იქნება, ვიღაცას სიმპათიაც მუდამ ექნება ვიღაცისადმი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ოლიმპიადაზე ასეთი რამე არ მოხდება. მჯერა, მარსაგიშვილი კიდევ ბევრჯერ მოიპოვებს ოქროს მედალს და არა მხოლოდ ევროპის ჩემპიონატზე, მაგრამ კაცს ასე უნამუსოდ არ უნდა მოექცე და თავისი შრომის დამსახურებული შედეგი ასე უსირცხვილოდ არ უნდა წაართვა“.*


მარსაგიშვილისა (მარჯვნივ) და ურიშევის ორთაბრძოლა

ნაცვლიშვილმა **რევაზ ლაშხსაც** (60) მიულოცა ევროპის ჩემპიონატზე ბერძენ-რომაელთა ტურნირში გამარჯვება. *„ვულოცავ მას ამ დიდ წარმატებას. ლაშხს ყოველთვის მიიჩნევდნენ პერსპექტიულად, მაგრამ აქამდე არ ჰქონდა შედეგი, ახლა კი ძალიან კარგად გამოვიდა. როცა ნაკრებს ბოლო შეკრებაზე დუშეთში ვესტუმრეთ საკონტროლო შეხვედრებზე, მისი ჭიდაობის შემყურემ ვთქვი კიდეც, კარგად მოძრაობს-მეთქი. მოხარული ვარ მისი წარმატებისა. მასთან ცალკეც გვექნება შეხვედრა, მაგრამ ოლიმპიური კომიტეტის სახელით ახლაც ვულოცავ ჩემპიონობას“.*

ირაკლი თავაძე

● თავისუფალი ჭიდაობა. ინტერვიუ დავით მარსაგიშვილთან

ჩემპიონი ნახევარი წუთით

დავით მარსაგიშვილი

დავით მარსაგიშვილი - ეს გვარსახელი ბოლო წლებში თავისუფალი ჭიდაობის ქართველ ქომაგთა თუ სპეციალისტთა წრეში ინტენსიურად ისმოდა, მაგრამ აქამდე უფრო დანანებით, უარყოფით კონტექსტში, რადგან სტეფანწმინდელი ფალავანი გაცემული ავანსების გამართლებას ვერაფრით ახერხებდა. 2009 წელს თბილისში გამართულ ევროპის ახალგაზრდულ პირველობაზე ვიცე-ჩემპიონი კი გახდა, მაგრამ მას შემდეგ წარმატებები გაუძვირდა. საბედნიეროდ, მისმა დაფარულმა ტალანტმა დორტმუნდში ამოხეთქა - კონტინენტის ვერცხლის პრიზიორი უკვე უფროსებში გახდა. თუმცა რომ არა მსაჯთა მიკერძოება, გერმანიიდან ევროპის ჩემპიონად დაგვიბრუნდებოდა! რაც მისი ფინალური შეხვედრისას მოხდა რუსთა მოქმედ ევროპის ჩემპიონ **ანზორ ურიშევთან** ჭიდაობისას, ისტორიას მსაჯთა არაობიექტურობის ნიმუშად შემორჩება.

მარსაგიშვილს გუშინ ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში გამართულ პრესკონფერენციაზე შევხვდით. ვერ ვიტყვით, რომ მომხდარზე ძალიან დარდობდა - ცხადია, ეს სასიამოვნო მოგონებად ნამდვილად არ დარჩებოდა, მაგრამ ამის გამო დეპრესიაში არ იყო ჩავარდნილი, ტრაგედიას არ მისცემია. საჭიდაო ოჯახში გაზრდილმა (მისი მამაც ჭიდაობდა, ორი უფროსი ძმა კი ახლაც ნაკრების კანდიდატია) მართლაც გამორჩეულ წარმატებას მიაღწია - კინაღამ ევროპის მოქმედი ჩემპიონი შეინირა და ვერცხლი მოიპოვა. ნახევარი წუთით ვიყავი ევროპის ჩემპიონიო, იხუმრა კიდეც.

- იმ ფინალიდან რამდენიმე დღე გავიდა. საინტერესოა, ახლა როგორ აფასებთ მას?

- ფინალურ შეხვედრას ფსიქოლოგიურად კარგად მომზადებული შევხვდი, განწყობაც კარგი იყო და მობილიზებული ვიყავი. შეხვედრაც კარგად დაიწყო - პირველი პერიოდი მოვიგე. მართალია, მეორე წავაგე, მაგრამ მესამეს ისევ ვიგებდი - 3:1. ამის შემდეგ ორი ქულა კი დავკარგე, მაგრამ, ალბათ, მაინც უნდა მომეგო. ის გაფრთხილება, რომელზედაც მოგვიანებით ლაპარაკობდნენ, არ ყოფილა - ეგ მხოლოდ ბოლოს გამოჩნდა. ლეიბის მსაჯი ხელსაც კი მიწევდა გამარჯვების აღსანიშნავად. როცა ჩვენი მწვრთნელები მოგებას მილოცავდნენ, მას არაფერი უთქვამს ამ გაფრთხილებაზე. მსაჯთა მაგიდასთან კი რა მოხდა, როდის ჩაწერეს ოქმში, არ ვიცი. ნახევარი წუთით ვიყავი ევროპის ჩემპიონი, საბოლოოდ კი გამარჯვებულად ის გამოაცხადეს.

- როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ შეინარჩუნეთ ის ორქულიანი უპირატესობა?

- ალბათ, დაღლილი ვიყავი. ორქულიანი გდება რომც დამეთმო, მაინც ჩემი იყო მოგება, რადგან უფრო მაღალი შეფასების ქულა მქონდა. ამიტომ ვცდილობდი, თითოქულიანი გდებები დამეთმო. ბოლოს საგრძნობლად დაგიღალე.

სამწუხაროდ, შეიძლება ითქვას, ტურნირების უმეტესობას ხშირად დაღლას ვაბრალებ. შეიძლება ეს ჩემი სისუსტეა. ამის საწინააღმდეგოდ, ურიშევი ფიზიკურად კარგადაა მომზადებული და ამ მხრივ ძლიერად გამოიყურებოდა.

- საინტერესოა, ჩემპიონატზე მიმავალი რა გეგმებზე ფიქრობდით? მით უფრო, დებიუტანტი და მით უფრო - შარშანდელი ჩავარდნილი სეზონის ფონზე.

- შარშანდელი სეზონი მართლაც ჩამივარდა და, ალბათ, არც ელოდნენ ჩემგან შედეგს. პირადად ჩემი განწყობა კი ისეთი იყო, რომ მედალს ველოდი. ყოველ შემთხვევაში, კარგად უნდა მეჭიდავა.

- საინტერესოა, თვითონ ურიშევი, ან ვინმე რუსებისგან გუნდიდან, თუნდაც ნეიტრალური გუნდების წარმომადგენლები თუ მოვიდნენ და რა კომენტარი გაუკეთეს ამ შეხვედრას?

- სხვა გუნდების მოჭიდავეთაგან ბევრნი მოვიდნენ და მითხრეს, მსაჯთა გადაწყვეტილება რომ არა, ჩემპიონი იქნებოდიო. რუსთა ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმაც მითხრა, მოგება შენი იყოო. თვითონ ურიშევი კი არ მოსულა.

- ალბათ, საბოლოო შედეგის მიუხედავად, ევროპის ჩემპიონთან ასეთ დონეზე ჭიდაობა სამომავლოდ რწმენას შეგმატებდათ...

- ამ შეჯიბრებამ მართლაც დამარწმუნა, რომ ბრძოლა ყველასთან შეიძლება. მთავარია, ბოლომდე დაიხარჯო, ბოლომდე იშრომო და არავინაა დაუმარცხებელი, გადაულახავი ბარიერი არ არსებობს.

- ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თქვენი საჭიდაო ოჯახის, მთელი რაიონისთვის ეს რამხელა სიხარული იქნებოდა...

- კი, მართლაც დიდი სიხარულია, მთელი ყაზბეგის რაიონი მირეკავს და მილოცავს.

ირაკლი თავაძე

● ძიუდო. რეგიონი

ქართლი ისევ ჩემპიონობას გეგმავს

ძიუდოში ახალგაზრდებს შორის შიდა ქართლის შესარჩევ პირველობაზე რეგიონის ოთხივე (კასპი, გორი, ქარელი, ხაშური) რაიონის ძიუდოს სკოლის აღსაზრდელთა პაექრობაში გაირკვა შიდა ქართლის გუნდის შემადგენლობა, რომელიც აპრილის მიწურულს, თბილისში თანატოლთა საქართველოს ჩემპიონატზე იასპარეზებს. აღსანიშნავია, რომ ბოლო ორი წელია ქართლელები განსაკუთრებით კარგად ასპარეზობენ და გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონებიც ხდებიან. შესაბამისად, ფედერაციის მიერ გამოყოფილი კვოტით შიდა ქართლს წლეულსაც თითოეულ წონაში ოთხი ფალავნის გამოყვანის უფლება აქვს. რეგიონულ შეჯიბრებაზე, როგორც ადრე, ახლაც ფინალური პაექრობები აღარ გამართულა - თითოეულ წონაში ნახევარფინალში გამარჯვებული სპორტსმენებით დაკომპლექტდა საუკეთესო ოთხეული. სულ საუკეთესოდ მიჩნეულია 32 ძიუდოისტი, აქედან 25 გორელია, 4 ქარელელი და 3 კასპელი. ხაშურიდან ვერც ერთმა ვერ შეძლო გუნდში მოხვედრა.

„მინდა გამოვარჩიო ჭიდაობის სპეციალიზებული სპორტული სკოლის მორიგი წარმატება. ამ სკოლის აღზრდილები მუდამ მეწინავეობენ რეგიონის ძიუდოს წარმატებებში. ახლაც, შიდა ქართლის ნაკრებში 25-დან 22 სწორედ ამ სკოლიდანაა. ცხადია, ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ სკოლა ანზორ თენაძის ხელმძღვანელობით სწორი მიმართულებით ვითარდება“, - გვითხრა შეჯიბრების შემდეგ ძიუდოს ღვაწლმოსილმა სპეციალისტმა **გურამ პაპიტაშვილმა.**

გაგაცნობთ საუკეთესოებს

55 კგ: ვასილ ზაალიშვილი, მინდია ღოლიჯაშვილი, ვახტანგ აზალაძე (სამივე - გორი) და აღუკა მედომშვილი (ქარელი);

60 კგ: ვაჟა მარგველაშვილი, ნიკა მშვიდობაძე, გიგა ხორბალაძე (სამივე - გორი) და ლაშა გოუნაშვილი (ქარელი);

66 კგ: ლაშა შავდათუაშვილი, ოთარ არჩუაძე, ირაკლი ლომიძე და დავით თარაშვილი (ყველა - გორი);

73 კგ: ნიკა გოგინაშვილი, ლევან დავითიშვილი, აკაკი ზაალიშვილი და დავით მღებრიშვილი (ყველა - გორი);

81 კგ: გიორი ხაჩიური, ილია ოქროპირიძე, გიორგი შატაკიშვილი (სამივე - გორი) და ამირან ინვარაშვილი (კასპი);

90 კგ: უშანგი გასიტაშვილი, ლევან სირბილაძე (ორივე - გორი), გელა მაღრაძე (ქარელი) და დავით ბურდული (კასპი);

100 კგ: ამირან მაჭავარიანი, გიგა თაყაძე, სერგო ბალიაშვილი (სამივე - გორი) და აბესალომ ასანიძე (ქარელი);

მძიმე: უტა კოკაური, გიორგი ხორბალაძე, გიგა გელაშვილი (სამივე - გორი) და გიორგი დეისაძე (კასპი).

საგულისხმოა, რომ ასაკის გამო საქართველოს შარშანდელ ჩემპიონ-პრიზიორთაგან შიდა ქართლის ახლანდელ ნაკრებში მხოლოდ სამი მოჭიდავე შემორჩა. ერთ-ერთია მძიმე წონაში ბოლო ორი წლის უცვლელი გამარჯვებული უტა კოკაური, რომელმაც ორივე ჩემპიონობისას ყველა შეხვედრა წმინდად მოიგო! რეგიონის ძიუდოს მესვეურები მედლებს ისევ ელიან ქვეყნის შარშანდელი პრიზიორებისგან - ლაშა გოუნაშვილსა და ლაშა შავდათუაშვილისგან და არა მხოლოდ მათგან. ასე რომ, შიდა ქართლი ისევ იბრძოლებს გუნდური გამარჯვებისთვის..

ვასილ ბალახაძე
გორიდან



საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაცია, საქართველოს მოკრივეთა თემი, ჭიათურის ვეტერანი მოკრივეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ავადმყოფობის შედეგად 43 წლისა გარდაიცვალა წარსულში ცნობილი მოკრივე, საბჭოთა კავშირის ორგზის მეორე პრიზიორი ახალგაზრდებს შორის, ხალხთა სპარტაკიადის პრიზიორი, სპორტსაზოგადოებათა საკავშირო საბჭოს ჩემპიონი

სპარტაკ ასანიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების, კლუბების, რეგიონების ძალაძეების და რაიონების საყურადღებოდ!

„ლელო“ ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დანვრილებითი ცნობებისთვის დაგვიკავშირდით ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

● ლეგიონი

მანუ წინ მიიწევს სანიკიძის 11-11

„კანტუსა“ და „ვირტუსს“ შესაბამისად მეორე და მეოთხე ადგილების განმტკიცების კარგი შესაძლებლობა ჰქონდათ. კანტუელები „მონტეგრანაროს“ მასპინძლობდნენ, ბოლონიელები - „დინამო სისარის“.

შანსი მხოლოდ **მანუჩარ მარკოიშვილის** გუნდმა გამოიყენა (67:56), **ვიქტორ სანიკიძის** (11 ქულა, 11 მოხსნა) „ვირტუსი“ კი დინამოელებთან 81:87 დამარცხდა.

■ ■ ■

„კანტუ“-“მონტეგრანაროს“ მატჩში ორივე მხრიდან იყო ჩავარდნები. თავად განსაჯეთ: პირველი პერიოდი მასპინძლებმა 20:7 მოიგეს, მესამე ათწუთეულში „მონტეგრანაროს“ უპირატესობა გამოიკვეთა (17:8), თუმცა გადამწყვეტ პერიოდში „კანტუ“ ძალა მოიკრიბა და - 24:12, რაც საბოლოო გამარჯვებისთვისაც საკმარისი აღმოჩნდა.

მანუჩარმა მატჩი სათადარიგოთა სკამიდან დაიწყო, პირველ ტაიმში 9 ქულა ჩააგდო. გადამწყვეტ, მეოთხე პერიოდში მან შეუცვლელად ითამაშა და სირენამდე 7 წუთით ადრე სამქულიანით თანაგუნდელთა უპირატესობა 6 ქულამდე გაზარდა - 50:44. მას მერე „მონტეგრანაროს“ თუნდაც ანგარიშის გათანაბრების შანსი არ მისცემია.

მანუს მონაგარი ასე გამოიყურებოდა: 25 წუთი, 12 ქულა (7-დან 3 ორქულიანი, 4-დან 2 სამიანი), 4 მოხსნა, 2 პასი. მატჩის ბომბარდირი „კანტუს“ გამთამაშებელი **მაიკ გრინი** გახდა - 17 ქულა.

„მონტეგრანაროს“ მაისურით იტალიის ჩემპიონატში მეორე მატჩი ჩაატარა საქართველოს ნაკრების ყოფილმა წევრმა **შემონდ უილიამსმა**: 12 წუთი, 1 ქულა.

„კანტუ“ კიდევ უფრო გაიმყარა მეორე პოზიცია - 24 მატჩიდან 18 აქვს მოგებული. მესამეადგილოსანმა „მილანმა“ 23-ე მატჩში მე-17 მოგება ჩაიწერა - „აველინოს“ სტუმრად 84:76 სძლია. მასპინძელთა განაცხადში იყო **მერაბ ბოქოლიშვილი**, მაგრამ არ უთამაშია.

„კანტუს“ წარმატების საიდუმლო ბევრისთვის გახსნილია - გუნდი ორი სეზონია ერთი შემადგენლობით თამაშობს და კარგადაა შეკრული. ეს მწვრთნელმა **ანდრეა ტრინჩიერიმაც** აღნიშნა:

- როცა გუნდს წელინადზე მეტია, რაც ავარჯიშებ, შეთამაშების დონეც მაღალია და თითოეული კალათბურთელის შესაძლებლობასაც ზედმიწევნით იცნობ. შესაბამისად, იოლია მატჩის მსვლელობისას სხვადასხვა ტაქტიკური ვარიანტის გამოყენება. რაც დღეს კარგად გამოგვივიდა.

■ ■ ■

თუ „კანტუს“ საკუთარი თამაში ნაპოვნი აქვს, „ვირტუსს“ ძალიან უჭირს - იტალიელი ჟურნალისტებიც აღიარებენ, რომ გუნდი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ვიქტორ სანიკიძეზე. ქართველი ფორვარდის ეფექტური გარჯის შედეგად ბოლონიელებმა არაერთი მატჩი მოიგეს. ვიქტორმა „სისარისთანაც“ კარგად ითამაშა: 22 წუთში 11 ქულა და ამდენივე მოხსნა მოაგროვა, მეოთხე პერიოდში ერთი სამქულიანი და ჩატენვა მიითვალა, მაგრამ მისი ორმაგი დუბლი გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

„ვირტუსი“ სადღეისოდ იმ ოთხ გუნდს შორისაა, რომლებსაც 12-12 მოგება-წაგება აქვთ და მეოთხე-მეშვიდე ადგილებს ინაწილებენ. მომდევნო ტურში სანიკიძეს შეუძლია თავადაც გაიუმჯობესოს სატურნირო მდგომარეობა და მარკოიშვილსაც ჩამოაცილოს მდევარი „მილანი“. ამისთვის 10 აპრილს მილანში გამარჯვებაა საჭირო, რაც მეტად რთული საქმეა. ამავე დღეს „კანტუ“ ბოლოადგილოსან „ბრინდისის“ ეწვევა.

■ ■ ■

ნიკა მეტრეველის „რიმინიმ“ „სკაფატისთან“ სტუმრად დათმო - 73:79. ქართველმა ფორვარდმა 6 წუთში 2-დან 2 ორქულიანი ჩააგდო და 4 ქულა მოაგროვა.

ვაჟა სიმონიშვილი

● ქართველი NBA-ში

რაკეტა ქორზე მაღლა...

„ბოსტონის“ ძლევის შემდეგ „ატლანტა ჰოქსი“ ჰიუსტონში ჩავიდა და „როკეტსთან“ თანაბარ ბრძოლაში ბოლო წამებზე დამარცხდა - 109:114. სირენამდე 15 წამით ადრე **ჯონსონმა** სხვაობა ქულამდე შეამცირადა, მისი თანაგუნდელი ჰაინრიხი დროის მოგების მიზნით **მარტინზე** დაჯარიმდა. დაზარალებულმა ორივე საჯარიმო გამოიყენა და „ქორებს“ ისღა დარჩენოდათ, სამქულიანით გამოესწორებიდათ მდგომარეობა, მაგრამ **ტიგის** შორეულმა ტყორცნამ მიზანს არ მიაღწია.

ზაზა ფაჩულია მატჩში პირველი პერიოდის ბოლოს ჩაერთო და ექვსქულიანი ჩამორჩენა მეოთხედის ბოლოს ზუსტი ტყორცნით ორქულიან უპირატესობად აქცია - 23:21.

ტრადიციულად ზაზა მოედანს მესამე პერიოდის ბოლოს დაუბრუნდა, თუმცა ფოლებით დაიტვირთა და მეხუთე ჯარიმა რომ მიიღო, მწვრთნელმა **სმიტით** შეცვალა. ბოლო წუთებზე რაც მოხდა უკვე გითხარით.

„ატლანტა“ 5 აპრილს შინ „სან ანტონიოს“ ეთამაშება.

ქრონოლოგია

I პერიოდი

03:33	ზაზამ პორფორდი შეცვალა
03:05	ჩაჭრა: 1 (მარტინს ჩაუჭრა)
03:01	საჯარიმოები: 2/2 (2ქ, 15:19)
02:12	მოხსნა: შეტ-0, დაც-1
00:35	ორქულიანი: 4ქ (23:21)

II პერიოდი

11:12	ფოლი: 1
08:22	საჯარიმოები: 2/2 (6ქ, 35:33)
08:09	ფოლი: 2
07:05	სმიტმა ზაზა შეცვალა

III პერიოდი

00:46	ზაზამ სმიტი შეცვალა
00:40	ფოლი: 3
00:33	შეცდომა: 1
00:30	ფოლი: 4

IV პერიოდი

11:28	მოხსნა: შეტ-0, დაც-2
10:48	ორქულიანი: 8ქ (85:88)
07:34	ფოლი: 5
07:03	სმიტმა ზაზა შეცვალა

ᲰᲘᲣᲡᲢᲝᲜᲘ-ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ 114:109

ზაზა ფაჩულია: 14:12 წუთი, 8 ქულა (2-დან 2 ორქულიანი, 4-დან 4 საჯარიმო), 2 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 5 ფოლი, 1 შეცდომა

● გამოხმაურება

ისევ ბოსტონი

„ბოსტონიან“ **ზაზა ფაჩულიას** კარგმა თამაშმა „ფოქსსპორტის“ ჟურნალისტ **ჯონ მანასოს** ვრცელი სტატიის დაწერა გადაანყვეტინა. პუბლიკაციაში მან გამოიყენა მწვრთნელის გამონათქვამები, ელაპარაკა ფაჩულიას და, ვფიქრობთ, საინტერესო ნაშრომი გამოუვიდა.

გთავაზობთ სტატიის შემოკლებულ ვარიანტს.

„ზაზა ფაჩულიამ 15 ქულა, 10 მოხსნა მოაგროვა და „ატლანტას“ ბოსტონის დამარცხებაში დაეხმარა - 88:83. ამ ამბავმა ძალიან გაახარა ჯორჯიელთა სასტარტო მეფარე **ელ ჰორფორდი**:

- იმედი მაქვს, რომ ეს დასანყისია - ფაჩულია მისთვის ჩვეულად, მაღალ დონეზე ათამაშდება. ზაზასთვის აქამდეც მითქვამს - როცა ასე ირჯება, „ატლანტას“ ძლევა ყველას უჭირს.

2008 წელს **კევინ გარნეტთან** ჩხუბის შემდეგ ფაჩულიას „როკი ბალბოა“ შეარქვეს. იგი ყოველ მატჩში იბრძვის.

- „ბოსტონის“ წინააღმდეგ ძალისმიერი თამაში აუცილებელია. სწორედ ასეთ სტილში მოქმედებს „სელტიქსი“ და ამიტომაცაა ფინალებში ხშირად რომ ხვდება. თუ „ბოსტონის“ ძლევა გინდა, ფიზიკურად მასზე უკეთესად უნდა გამოიყურებოდე, - განმარტავს ფაჩულია.

სირენამდე 36 წამით ადრე „ატლანტას“ ფარქვეშ ზაზაზე გარნეტი დაჯარიმდა და ქართველმა ორი საჯარიმოთი სხვაობა 5 ქულამდე გაზარდა - 86:81. ამის შემდეგ **პოლ პირსი** „ატლანტას“ ფარქვეშ შეიჭრა, თუმცა ფაჩულიამ იგი წესების დარღვევით შეაჩერა.

- მეოთხე პერიოდში ყოველ ქულას დიდი მნიშვნელობა აქვს, ყოველი შეცდომა შეიძლება ძვირად დაგიჯდეს. მეტოქეზე დაჯარიმება საჭირო იყო, თუმცა ამასთან ისე უნდა გვემოქმედა, რომ ჯარიმასთან ერთად ორქულიანიც არ ჩაეგდო. საბოლოოდ ასეც გამოვიდა, - განაგრძობს ზაზა.

ახლა „ატლანტას“ თავკაც **ლარი დრიუს** მოვუსმინოთ:

- „ბოსტონი“ ფარქვეშ კარგად თამაშობდა, ბურთსაც ხსნიდა და აგდებდა კიდეც. გვჭირდებოდა კალათბურთელი, რომელიც მათ ამაში ხელს შეუშლიდა. ასეთი ფაჩულია აღმოჩნდა. მისი გამოჩენის შემდეგ თამაში ჩვეულ კალაპოტში ჩადგა და ჩემი კალათბურთელები კარგად ასრულებდნენ იმას, რაც დავალებული ჰქონდათ.

დრიუმ ძალისმიერ თამაშზე ცალკე ილაპარაკა:

- ამ ლიგაში ფიზიკურად არავის უნდა ჩამოუვარდებოდე. „რბილი“ გუნდი შედეგს ვერ მიაღწევს. ამას მთელი სეზონის განმავლობაში ვამბობდი და სასიამოვნოა, რომ ჩვენი მაღლები არავის ჩამორჩებიან. მეოთხე პერიოდში ზაზა გარნეტის წინააღმდეგ თამაშობდა და, ვფიქრობ, კევინის წინააღმდეგ შესანიშნავად გაისარჯა. წინახაზელებს პლეი ოფშიც დიდი სამუშაო ექნებათ.

თუ ტანმაღალი ქართველი პლეი ოფშიც ასევე ითამაშებს, „ატლანტას“ თამაში გამრავალფეროვნდება და როგორც ჰორფორდი ამბობს, „ჰოქსი“ რთულად დასამარცხებელ გუნდად იქცევა.“

ვაჟა სიმონიშვილი

● სლოვენია

ოლიმპიადა

სლოვენიის პირველობაზე „ოლიმპიამ“ „მარიბორს“ უმასპინძლა. მატჩამდე ოლიმპიელებს 2 გამარჯვება ჰქონდათ, მარიბორელებს ამდენივე წაგება. ლოგიკამ თავისი გაიტანა და მესამე ტურში გამარჯვება ლიუბლიანელებს დარჩათ - „ოლიმპიამ“ 102:68 მოიგო.

სასტარტო ხუთეულში ითამაშეს **გიორგი შერმადინმა** და **ვლადიმერ ბოისამ**. გიორგიმ 11 წუთში 9 ქულა (6-დან 4 ორქულიანი, 2-დან 1 საჯარიმო), 7 მოხსნა, 1 ჩაჭრა და 1 პასი მიითვალა.

ბოისამ 15 წუთში 5 ქულა, 3 პასი და 1 მოხსნა ჩაიწერა.

„ოლიმპიას“ მომდევნო ტურში შედარებით ძლიერი მეტოქე ელის - „სლოვანი“. მატჩი 6 აპრილს გაიმართება.

ვაჟა სიმონიშვილი

● ჭადრაკი

თბილისური კლასიკა, ქუთათური სწრაფი

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატის მიმდინარეობისას ექს-ლე-ბენში კონტინენტის საჭადრაკო კავშირის გენერალური ასამბლეა გაიმართა. იქ განხილულ მნიშვნელოვან საკითხთა შორის ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ევროპის საჭადრაკო კავშირსა და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციას შორის თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება იყო.

- ამ ხელშეკრულებით საბოლოოდ მივიღეთ თბილისში ქალთა ევროპის ჩემპიონატის ჩატარების ლიცენზია, - გვითხრა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა **გია გიორგაძემ,** რომელიც გენერალურ ასამბლეას ესწრებოდა. - ფრანგულ თავყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველოს დედაქალაქში გასამართავ ევროპის ჩემპიონატზე უწინდელებთან შედარებით უძლიერესი შემადგენლობა მოიყრის თავს. მსოფლიო რეიტინგის ტოპ-ათეულის თითქმის ყველა წევრმა გამოთქვა ჩვენთან თამაშის სურვილი. ყველაზე მრავალრიცხოვანი დელეგაცია რუსებს ეყოლებათ. საასპარეზოდ ერთ-ერთი პირველები დარეგისტრირდნენ მსოფლიოს ექსჩემპიონი ალექსანდრა კოსტენიუკი, დები ტატიანა და ნადეჟდა კოსინცევები (სამივე-რუსეთი), სხვადასხვა წლების ევროპის ჩემპიონები - კატერინა ლახნო, ნატალია ჟუკოვა (ორივე-უკრაინა), პია კრამლინგი (შვედეთი), ასევე ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა), ანა (სლოვენია) და მარია (უკრაინა) მუზიჩუკები... ასეთი ცხოველი ინტერესი სოლიდურმა საპრიზო ფონდმა და იმან გამოინვია, რომ ევროპის ჩემპიონატი მსოფლიოს ჩემპიონების, წლევანდელი იუბილარების - ნონა გაფრინდაშვილისა და მაია ჩიბურდანიძის სამშობლოში იმართება. ორივე ქართველ დიდოსტატს ხომ უდიდეს პატივს სცემენ მსოფლიოში. ფიდედან გვაცნობეს, რომ ევროპის პირველობის გახსნაზე ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვიც გვეწვევა.

ერთი სიახლეც მინდა გაუწყოთ: თბილისში ევროპის ქალთა ჩემპიონატი 18 მაისს დამთავრდება, მომდევნო დღეს კი ასპარეზობის მონაწილეები ქუთაისში გადაინაცვლებენ და 20-21 მაისს იქაურ რესტავრირებულ ოპერის თეატრში კონტინენტის პირველობა გაიმართება სწრაფ ჭადრაკში. მისი საზეიმო დახურვის შემდეგ მაია ჩიბურდანიძის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო მოეწყობა. ამ ღონისძიებების თაობაზე უკვე ვესაუბრე ქუთაისის მესვეურებს, რომლებმაც სიამაყით აღიქვეს ეს ფაქტი.

- თქვენ საპრიზო ფონდი ახსენეთ...

- დიახ, ევროპის ქალთა ჩემპიონატისთვის 110 ათასი ევრო დავანესეთ, რომლის მსგავსიც მანდილოსანთა პირველობებს აქამდე არ ჰქონია. გამარჯვებული 20 000 ევროს მიიღებს, ანუ იმდენივეს, რამდენსაც ევროპის ვაჟი ჩემპიონი. სწრაფ ჭადრაკში ევროპის ჩემპიონატის საპრიზო ფონდია 10 ათასი ევრო. ესეც სოლიდურია. ზემოაღნიშნული თანხების ნახევარს ჩვენი გენერალური სპონსორი „სოკარი“ გაიღებს, ნახევარს - თბილისის მერია და სპორტის სამინისტრო. საპრიზო ფონდის გარდა, დამატებით უამრავი ხარჯი გვექნება - მსაჯებისა და სააპელაციო კომიტეტის წევრთა მიღება-დაბინავება და ჰონორარი, სარეკლამო აფიშების დამზადება, ელექტროტექნიკის შეძენა. თბილისურ ბატალიებს მთელი მსოფლიო მიადევნებს თვალს, რადგან ყოველდღიურად ინტერნეტით 40 პარტია გადაიცემა. დახმარებისთვის და სათანამშრომლოდ 30-ზე მეტ კომპანიას მივმართეთ. ჩემდა გასაკვირად, დღემდე არავინ გამოგვხმაურებია. არადა, დრო არ ითმენს. ექს-ლე-ბენში ვაჟთა ჩემპიონატს 10-ზე მეტი სპონსორი ჰყავდა. როგორც ვიცი, საქართველოში ჭადრაკი ძალიან უყვართ და ასეთი გულგრილობა ვერაფრით ამიხსნია.

- გენერალურ ასამბლეაზე კიდევ რა იყო საინტერესო?

- კავშირის პრეზიდენტი სილვიო დანაილოვი ევროპულ ჭადრაკში რეფორმების გატარებას აპირებს. უპირველესად, სკოლებში ჭადრაკის სავალდებულო სასწავლო საგნად დანერგვა სურს. დანაილოვი და მსოფლიოს მე-13 ჩემპიონი გარი კასპაროვი ევროპარლამენტის ახალგაზრდობის, სპორტისა და განათლების კომისიის ხელმძღვანელს შეხვდნენ და ამ მიმართულებით საინტერესო ღონისძიება დაგეგმეს. ბევრი ქვეყნის პრაქტიკამ დაადასტურა, რომ იმ სკოლებში, სადაც ჭადრაკი საგანმანათლებლო საგნად არის შეტანილი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება მნიშვნელოვნად მაღალია.

ამ თვალსაზრისით ჩვენც გვაქვს საინტერესო სიახლე: განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თაოსნობითა და ჩვენი ფედერაციის თანადგომით მალე რეგიონებში დაიწყება სასკოლო გუნდური პირველობა ჭადრაკში. უკვე 800-ზე მეტ სკოლას აქვს განაცხადი წარმოდგენილი. ჯერ რაიონული პირველობები გაიმართება, მერე - რეგიონული. იქ გამარჯვებულები კი ფინალში ითამაშებენ. ამ სიახლის შესახებ ასამბლეაზე ვთქვი, რამაც დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

გია გიორგაძე

ექს-ლე-ბენში ერთ სიახლეზეც იყო ლაპარაკი - კერძოდ, ქულათა დარიცხვის ახალ სისტემაზე: მოგებისთვის 3, ყაიმისთვის 1 და მარცხისთვის 0 ქულა. ცხადია, ინოვაციებს მონინააღმდეგეებიც ჰყავს. ამიტომ საფრანგეთში განხილულ საკითხებზე სპეციალისტები იმუშავებენ, იმსჯელებენ და საბოლოო გადაწყვეტილებას ნოემბერში მომდევნო გენერალურ ასამბლეაზე მიიღებენ.

ვაჟა დანელია

ავტორის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

● საქართველოს ჩემპიონატი, I ლიგა

პირველლიგელები აღმართს შეუყვნენ

საქართველოს ჩემპიონატის გათამაშება პირველლიგელებმა უმაღლესი ლიგის გუნდებთან შედარებით ერთი კვირით ადრე დაიწყეს. აქ, ისევე როგორც შარშან, ნლეულსაც უმაღლესი ლიგის საგზურისთვის რვა გუნდი იბრძოლებს. მათ შორის ოთხი გუნდი რეგიონიდანაა, „ბათუმი XV", ოზურგეთის „არწივები", ქუთაისის „ბაგრატი" და ფოთის „რაინდები". ოთხიც თბილისური გუნდია, „ხულიგანა", „დევები", „თიბისი" და „ჯიქები".

„ჯიქები", რომელიც პირველ ლიგაში დებიუტანტია, საკმაოდ სოლიდური, ახალგაზრდული გუნდია და მიზნად უმაღლეს ლიგაში ნლეულსვე გადასვლა აქვს დასხული. მწვრთნელის გიორგი ამირხანაშვილის ამ კლუბში მისვლით გუნდმა საგრძნობი პროგრესი განიცადა და აგერ პირველ ტურში, სტუმრად სძლია ერთ-ერთ სავარაუდო კონკურენტ ქუთაისის „ბაგრატს" - 39:5.

„ჯიქების" მეტოქე მომდევნო ტურში „ხულიგანა" იქნება, რომელიც უმაღლეს ლიგაში დაბრუნებას დიდი ხანია ცდილობს. **მამუკა ტყეშელაშვილის** სამწყსომ პირველ ტურში შინ დაამარცხა ფოთის „რაინდები" - 52:0.

უმაღლეს ლიგაში დასაბრუნებლად იბრძოლებს „ბათუმი XV", რომელმაც შინ ოზურგეთის „არწივები" გაანადგურა - 144:3. ბათუმელები მეორე ტურშიც საკუთარ მოედანზე ითამაშებენ და ქუთაისის „ბაგრატს" დაუპირისპირდებიან.

კიდევ ერთ შეხვედრაში „თი ბი სი"-მ 38:8 მოუგო „დევებს".

I ტური

თი ბი სი-დევები 38:8, ხულიგანა-რაინდები 52:0, ბაგრატი-ჯიქები 5:39, ბათუმი XV-არწივები 144:3

საბურნირო მდგომარეობა

1. ბათუმი XV - 2 ქულა, 2. ხულიგანა - 2, 3. ჯიქები - 2, 4. თიბისი - 2, 5. დევები - 0, 6. ბაგრატი - 0, 7. რაინდები - 0, 8. არწივები - 0.

II ტური

არწივები-დევები, ბათუმი XV-ბაგრატი, ჯიქები-ხულიგანა, რაინდები-თი ბი სი.

● ლეგიონერები

ბეზიე და პერიგო, მთავარი ფავორიტები

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში გამოტოვებული მატჩები გაიმართა. B ჯგუფის ლიდერმა **ლაზა მალაღურაძისა** და **გიორგი მჭედლიშვილის** „ბეზიემ" შინ ითამაშა „გრასთან" და დიდი ანგარიშით 57:13 მოუგო.

მალაღურაძემ, რომელიც **ენდრიუ მერთენსმა** 63-ე წუთზე შეცვალა, სამი გარდასახვა და ოთხი საჯარიმო გაიტანა (18 ქულა). მჭედლიშვილი ტრავმირებულია.

ლანგედოკელებს რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ორი ტურით ადრე 65 ქულა დაუგროვდათ და მდევართაგან მიუწვდომელია. „ბეზიეს" ფეხდაფეხ მიჰყვება **გიორგი ნემსაძის** „მონტობანი", რომელსაც 57 ქულა აქვს და ერთი მატჩით მეტი ითამაშა.

A ჯგუფი

საბურნირო მდგომარეობა

1. ბეზიე - 65 ქულა, 2. მონტობანი - 57, 3. ლა სეინი - 52, 4. ნიცა - 51, 5. ბლანიაკი - 49, 6. რომანი - 49, 7. ვალანსი - 48, 8. შატორენარი - 47, 9. ლავორი - 45, 10. ობენა - 37, 11. გროლე - 36, 12. გრასი - 17.

C ჯგუფის ლიდერმა - **თედო ზიბზიბაძის, ალექსანდრე მარგეველაშვილის, დავით დადუნაშვილისა** და **ირაკლი ნინიძის** „ბორდოს" **შოთა საყვარელიძის** „ნიორს" - 36:13.

ამ შეხვედრაში შესანიშნავად ითამაშეს ქართველმა მორაგბეებმა. მარგველაშვილმა, რომელიც თამაშში 31-ე წუთიდან ჩაერთო, მე-40 წუთზე ლელო გაიტანა. მორიგი ლელო მიითვალა საქართველოს ნაკრების შუამარბმა ზიბზიბაძემაც, მან მეტოქის ჩათვლის მოედანში 71-ე წუთზე შეაღწია, დადუნაშვილი თამაშში 41-ე წუთიდან ჩაერთო, ნინიძე განაცხადში არ იყო.

C ჯგუფი

საბურნირო მდგომარეობა

1. პერიგო - 82 ქულა, 2. ლიმოჟი - 81, 3. ვანი - 71, 4. მარმანდი - 60, 5. ლანჟონი -55, 6. სენ ნაზერი -53, 7. სენ ჟუნიენი - 47, 8. სენ მედარი - 46, 9. რიბერაკი - 29, 10. პაი დუ მედოკი - 23, 11. ნიორი - 14, 12. ტური - 13.

მე-17 ტურის შეხვედრები გაიმართა ესპუართა ანუ სათადარიგოთა გუნდების გათამაშებაში. ლიდერმა **კონსტანტინე მიქაუტაძისა** და **ლევან ჩილაჩავას** „ტულონმა" შინ „აჟენს" უმასპინძლა და 18:14 მოუგო.

სტუმრად, **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიეესთან" წაგო **ვიქტორ კოლელიშვილის, გიორგი ჯიმშელაძისა** და **მიხეილ ჯაშიტაშვილის** „კლერმონმა" - 10:19. შედეგად კლერმონელები სატურნირო ცხრილის მეორე საფეხურიდან მეოთხემდე დაქვეითდნენ.

გიორგი მენაბდიშვილის „გრენობლმა" შინ წაგო „ბურგუენთან" - 9:22. „ალპელები" 27 ქულით ბოლო ადგილზე არიან.

ესპუარები

ტულონი-აჟენი 18:14, გრენობლი-ბურგუენი 9:22, ტულუზი-პო 17:15, პერპინიანი-ბაიონი 18:13, სმონპელიე-კლერმონი 19:10

საბურნირო მდგომარეობა

1. ტულონი - 55 ქულა, 2. პერპნიანი - 40, 3. აჟენი - 39, 4. კლერმონი - 37, 5. ტულუზი - 37, 6. ბურგუენი - 37, 7. პო - 35, 8. მონპელიე - 34, 9. ბაიონი - 32, 10. გრენობლი - 27.

● ევროპის ჩემპიონატი, U-18

ევროპას რუსეთით ვინყებთ

საქართველოს 18-ნლამდელთა ნაკრები საფრანგეთის ქალაქ ლურდში გაემგზავრა სანვრთნელ შეკრებაზე. უმცროსი „ბორჯღალოსნები" აქ ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებენ, რომელიც ნლეულს განსხვავებული ფორმატით გაიმართება.

საქართველოს ნაკრები A დივიზიონში ასპარეზობს რუმინეთის, რუსეთის, ბელგიის, პორტუგალიისა და გერმანიის ნაკრებებთან ერთად. ამ ექვსეულს საფრანგეთში ელიტური დივიზიონის შოტლანდიისა და იტალიის ხელმოცარული ნაკრებები დაემატებიან. ამ პრინციპით შეჯიბრება ორი ნლის განმავლობაში ჩატარდება და თუ A დივიზიონის გუნდები ელიტარული ქვეყნების ნაკრებებთან ტოლსნორად ასპარეზობას შეძლებენ, მაშინ გამორიცხული არ არის, პირველ ორ ადგილზე გასულს ელიტაში თამაშის უფლება მისცენ.

ევროპის ჩემპიონატის პირველ შეხვედრას ქართველი მორაგბეები 16 აპრილს რუსეთის ნაკრებთან გამართავენ. გამარჯვების შემთხვევაში ჩვენი გუნდის მეტოქე ნახევარფინალში იტალიასა და პორტუგალიას შორის გამარჯვებული იქნება.

ქართველი 18-ნლამდელები ტურნირისთვის **ლევან მგელაძისა** და **დავით კაკაბაძის** ხელმძღვანელობით ემზადებიან. გუნდმა თებერვლის ბოლოს ერთი სანვრთნელი შეკრება საფრანგეთში უკვე გამართა, სადაც სამი საკონტროლო მატჩიდან ორი მოიგო და ერთიც ფრედ დაასრულა. ჩემპიონატის დაწყებამდე ჩვენი მორაგბეები „ტარბის" თანატოლთა გუნდს ეთამაშებიან.

საქართველო-ბელგია. 2010 წელი

საქართველოს ნაკრები: **საბა ნიკოლავა, გიორგი აფციაური, თორნიკე ჯიბლაძე (სამივე-თი ბი სი), ნიკოლოზ სულხანიშვილი, მურაზ გიორგაძე (ორივე-ვეფხვები), თამაზ მჭედლიძე, დავით ხიდაშელი (ორივე-არმია), მერაბ შარიქაძე, საბა შუბითიძე (ორივე-აკადემია), ვაჟა ხუციშვილი, გიორგი ბასილაია, გიორგი ნათელაშვილი, გიორგი ფრუიძე (ყველა-ხარები), გიორგი მჭედლიშვილი (ჯიქები), გიორგი ტალახაძე, გიორგი თეთრაშვილი (ორივე-ხულიგანა), ზურაბ თუთბერიძე, გიორგი ლომთაძე, ნოდარ მარდალეიშვილი, რატი ასათიანი (ყველა-აია), ვახტანგ ახობაძე, თამაზ ოლხიაშვილი (ორივე-ლელო), ნიკოლოზ პინაიშვილი (არმაზი), ბესარიონ შენგელია (ყოჩები), გიორგი სორდია (ლილი).**

ევროპის ჩემპიონატი

მეოთხედფინალი

შოტლანდია-რუმინეთი, იტალია-პორტუგალია, საქართველო-რუსეთი, ბელგია-გერმანია.

● ზე რაგბი

დრიუ მიტჩელი

სტორმერზის ამბიციები იზრდება

ზე რაგბის გათამაშებაში დაუმარცხებლად ასპარეზობს C ჯგუფის ლიდერი კეიპთაუნის „სტორმერზი", რომელმაც მე-7 ტურში სტუმრად დაამარცხა ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი დურბანის „ნატალ შარქსი" - 6:16.

მატჩის პირველი ნახევარი სტუმრებმა 13:6 მოიგეს. მგეზავის **პიტერ გრანტის** ორ საჯარიმოს მესამეხაზელმა **სხალკ ბურხერმა** ერთი ლელო მიუმატა, რომელიც იმავე გრანტმა გარდასახა. მეორე ტაიმში მატჩი იმდენად დაძაბული გამოდგა, რომ „სტორმერზმა" 53-ე წუთზე ერთადერთი საჯარიმო გაიტანა - 16:6. „ზვიგენებმა" დიდი ძალისხმევა ვერ გამოიჩინეს, ნინმამადე შემცირება შეძლეს და ტაიმი მხოლოდ ერთი ქულის სხვაობით წაგეს - 14:15.

შესვენების შემდეგ უკვე ანგარიში მუდმივად სტუმრებს მიჰყავდათ. მათ საბოლოოდ სამი ლელოს გატანა მოახერხეს, რომელთაგან მგეზავმა **დენი სიპრიანიმ** ერთის გარდასახვა შეძლო, რასაც სამი საჯარიმოც დაურთო. ეს კი თამაშის მოსაგებად საკმარისი აღმოჩნდა.

A ჯგუფის ერთ-ერთ ლიდერს, სიდნეის „ვორათაზს" მორიგი გამარჯვების მოპოვება არ გასჭირვებია. ავსტრალიელებმა შინ ჰემილთონის „ჩიფსი" დაამარცხეს - 23:16 და ახლა დაწინაურებულ წამყვანს: ოთხ ქულით ჩამორჩებიან.

A ჯგუფი

ვორათაზი-ჩიფსი 23:16, ფორსი-მელბურნ რებლზი 25:26

საბურნირო მდგომარეობა

1. რედსი - 26 ქულა, 2. ვორათაზი - 22, 3. მელბურნ რებლზი - 15, 4. ბრამბიზი - 13, 5. ფორსი - 12.

VIII ტური

ბრამბიზი-ჰარიკენზი, ფორსი-ვორათაზი

B ჯგუფი

ჰაილენდერზი-ბრამბიზი 26:20, ბლუზი-ჩიტაზი 29:22, ჰარიკენზი-ბლუ ბულზი 14:26

საბურნირო მდგომარეობა

1. კრუსეიდერზი - 26 ქულა, 2. ბლუზი - 25, 3. ჰაილენდერზი - 21, 4. ჩიფსი - 12, 5. ჰარიკენზი - 12.

VIII ტური

ჰაილენდდერზი-ჩიტაზი, კრუსეიდერზი-ბლუ ბულზი

C ჯგუფი

ლაიონზი-რედსი 25:30, ნატალ შარქსი-სტორმერზი 6:16

საბურნირო მდგომარეობა

1. სტორმერზი - 29 ქულა, 2. ბლუ ბულზი - 21, 3. ნატალ შარქსი - 20, 4. ლაიონზი - 9, 5. ჩიტაზი - 8

VIII ტური

სტორმერზი-რედსი, ნატალ შარქსი-ლაიონზი

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

საქართველოს რაგბის კავშირი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი მორაგბე ვალერი გიორგობიანი და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რაგბის კავშირი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი მორაგბე სერგო ხაჭაპურიძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

msy-gov-ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. მიმოხილვა

ისევ დაუმარცხებელი

უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ინდიან უელსისა და მაიამის მასტერსების ზედიზედ მოგება ურთულესი საქმეა. განთესილ ჩოგბურთელს ტურნირის მოსაგებად ექვსი გამარჯვება სჭირდება, შესაბამისად, ორკვირა-ნახევრის განმავლობაში ზედიზედ 12 მატჩი უნდა მოიგოს, რაც თითქმის წარმოუდგენელია. ასეთი რამ მხოლოდ ერთეულებმა შეძლეს. მაგალითად, **როჯერ ფედერერმა** 2005 და 2006 წლებში, როცა მისი კარიერის ზენიტში იყო. ამ საუკუნეში იგივე გააკეთა **ანდრე აგასიმ** (2001).

ახლა ამ დუეტს **ნოვაკ ჯოკოვიჩი** შეუერთდა. ისევე როგორც ინდიან უელსის მასტერსზე, ამჯერადაც ფინალში მისი მეტოქე **რაფა ნადალი** იყო და ისევ ურთიერთობის გარკვევა სამ სეტში გაიწელა. ეს იყო ამ ბრწყინვალე ჩოგბურთელების რიგით 25-ე მატჩი. უპირატესობა ესპანელს ჰქონდა (16:8), თუმცა ჰარდზე ნოვაკი ლიდერობდა - 8:5.

ორიოდე სიტყვით გავიხსენოთ ინდიან უელსის ტურნირი. მაშინ ესპანელმა სერიოზული პრობლემები შეუქმნა ჯერაც დაუმარცხებელ ჯოკოვიჩს. სერბმა შეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა და მეორე სეტის მოგება, მესამეში კი იოლად გაიმარჯვა.

ინდიან უელსში ფინალის თამაშის მიუხედავად, არც ერთს დაღლილობა არ ეტყობოდა. ჯოკოვიჩი იოლად ანადგურებდა მეტოქეებს, რაფაელმა კი ხუთი მატჩის განმავლობაში მხოლოდ ერთი გეიმი წააგო თავის მონოდებაზე, მაგრამ ეს ერთ წაგებულ სეტად დაუჯდა **ტომაშ ბერდიხთან** ნახევარფინალში.

ჯოკოვიჩის ნაუგებელი სერია საკუთარ მოწოდებაზე ძალიან მალე შეწყდა. უკვე მეორე გეიმში ნადალმა ბრეიკი გააკეთა, მალე პირველმა ჩოგანმა კიდევ ერთხელ აიღო მეტოქის მონოდება. ესპანელის ასეთი უპირატესობის მიუხედავად, არ შეიძლება იმის თქმა, რომ ჯოკოვიჩი პირველ პარტიაში უშანსოდ იყო - სერბს მიღებაზე წარმატების არაერთი შანსი ჰქონდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში ან ცდებოდა ან რაფა თამაშობდა უნაკლოდ.

ჯოკოვიჩმა მაინც გააკეთა ბრეიკი, მაგრამ უკვე გვარიანად იყო ჩამორჩენილი - 2:5. სეტის ბოლოსკენ ნადალს გაუჭირდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში პირველმა მოწოდებამ გაუმართლა და სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა - 6:4.

ზუსტად ასეთი ანგარიშით დასრულდა ინდიან უელსის ფინალის პირველი სეტი. გაგრძელებაც თითქმის იგივე გამოვიდა. ნოვაკმა მეორე პარტიაში მოუმატა, უფრო სუფთად თამაში დაიწყო და სტარტზევე ბრეიკით დაწინაურდა. ნადალმა კი პირიქით, შეცდომებს უმატა. საბოლოოდ, სერბის ბრეიკი ერთადერთი აღმოჩნდა სეტში - 6:3.

ამ შემთხვევაშიც განმეორდა ორი კვირის წინანდელი ფინალის სცენარი, მაგრამ თუ ინდიან უელსში მესამე პარტიისას ნადალმა შეწყვიტა წინააღმდეგობა, აქ ბოლომდე ებრძოლა სეზონის ლიდერს. ბოლო სეტი ფინალის მშვენება გახდა, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი მხრიდან ბრეიკ-პოინტი არ დაფიქსირებულა. შესაბამისად, საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა. ნოვაკისა და რაფას წინა 24 შეხვედრაში ტაი-ბრეიკმ მატჩის ბედი მხოლოდ ერთხელ გადაწყვიტა - 2009 წელს მადრიდში მე-13 გეიმი ნადალმა 11:9 მოიგო. მაგრამ ამჯერად „შემოკლებულ გეიმში" დიდი ბრძოლა არ ყოფილა. უცნაურია, მაგრამ ტაი-ბრეიკი ხუთი მინი-ბრეიკით დაიწყო (ბოლო იყო ესპანელის ორმაგი შეცდომა). პირველი გონს ჯოკოვიჩი მოეგო, კარგად ჩაანოდა და ოთხმაგი მატჩბოლი მოიპოვა - 6:2. ნადალს დასაკარგი არაფერი ჰქონდა, წინ წავიდა, ორი მატჩბოლი მოიგერია, მაგრამ მესამეზე ჯოკოვიჩის მარჯვნიდან დარტყმას ვერ მიუსწრო - 7:6 (7:4).

ცალსახაა, რომ ჯოკოვიჩმა ამ სეზონში ყველაზე რთული გამარჯვება მოიპოვა. თამაში სამ საათსა და 21 წუთს გაგრძელდა. *„ყველაფერი შეიძლება სხვანაირად მომხდარიყო. ეს იყო საუკეთესო ფინალი, რაც კი ოდესმე გვითამაშია. ყოველთვის სასიამოვნოა კორტზე ნადალთან ერთად გასვლა - ის შესანიშნავი ჩოგბურთელი და ჩემი კარგი მეგობარია. წარმატებას ვუსურვებ მას ამ სეზონში"*, - განაცხადა ჯოკოვიჩმა დაჯილდოების ცერემონიაზე.

ჯოკოვიჩი მთავარი პრიზით

ნოვაკმა სეზონის სტარტიდან მოყოლებული ზედიზედ 26 მატჩი მოიგო. წელს მის ანგარიშზე უკვე 4 ტიტულია. რაც შეეხება მასტერსებზე გამოსვლას, ჯოკოვიჩმა ამ რანგის მეშვიდე ტურნირი მოიგო და ამ მაჩვენებლით **მაიკლ ჩანგს** გაუტოლდა. სერბს ამ სეზონში უფრო მეტი სარეიტინგო ქულა აქვს მოპოვებული, ვიდრე ფედერერსა და ნადალს ერთად აღებული. რაფამ თავი შეიძლება იმით დაიმშვიდოს, რომ უკვე ამ კვირიდან იწყება გრუნტის სეზონი. თუმცა იქ ნადალი რეიტინგში ქულების რაოდენობას ვერ გაზრდის, რადგან თითქმის ყველგან ტიტული აქვს დასაცავი, სამაგიეროდ, ესპანელს ჯოკოვიჩის შეჩერების შესანიშნავი შანსი ექნება.

ATP

Sony Ericsson Open

მაიამი (აშშ). ჰარდი

საპრიზო ფონდი: 3 645 000 დოლარი

1/2 ფინალი

ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2)-რაფაელ ნადალი (ესპ, 1) 4:6, 6:3, 7:6(4).

ჯოკოვიჩის ყველა ტიტული (22)

2011 - მაიამი, ინდიან უელსი, დუბაი, ავსტრალიის ღია

2010 - პეკინი, დუბაი

2009 - პარიზი, ბაზელი, პეკინი, ბელგრადი, დუბაი

2008 - მასტერსის თასი, რომი, ინდიან უელსი, ავსტრალიის ღია

2007 - ვენა, მონრეალი, ეშტორილი, მაიამი, ადელაიდა

2006 - მეცი, ამერსფორტი

ტურნირების წინ

გრუნტის სეზონი იწყება

სტოსური ტიტულს დაიცვას

ზედიზედ ორი მასტერსის დასრულების შემდეგ წამყვანი ჩოგბურთელები პაუზას იღებენ, თუმცა საჩოგბურთო ცხოვრება გრძელდება. ამ კვირას გაიმართება ოთხი ტურნირი - ორი კაცებისთვის და ორი ქალებისთვის.

ATP

US Men's Clay Court

ჰიუსტონი (აშშ). გრუნტი

საპრიზო ფონდი: 442 500 დოლარი

მონაწილეთა შემადგენლობა: მარდი ფიში. სემ კუერი, გილერმო გარსია ლოპესი, ჯონ ისნერი, ბენჯამინ ბეკერი, კეი ნიშიკორი...

ჰიუსტონის ტურნირი 1910 წლიდან ტარდება და ერთადერთი გრუნტისსაფარიანი შეჯიბრებაა აშშ-ის ტერიტორიაზე.

განთესვის ლიდერები ადგილობრივი მოთამაშეები იქნებიან, მაგრამ ასეთ საფარზე ისინი დღემდე ვერ აჩვენებენ მაღალ შედეგებს, ამიტომაც რეალურ ფავორიტად ბევრი ესპანელ **გარსია ლოპესს** ასახელებს. თუმცა ამ მომენტისთვის ესპანელს ხუთმატჩიანი წაგებათა სერია აქვს და ესეც არ უნდა დაგვავიწყდეს.

მარდი ფიშისთვის ეს იქნება მეცხრე გამოსვლა ჰიუსტონში. **სემ კუერიმ** გასულ წელს აქ ფინალამდე მიაღწია, მაგრამ **ხუან იგნასიო ჩელასთან** წააგო. სულ კი ძირითად ბადეში შვიდი ამერიკელია და ვნახოთ, როგორ გამოუვათ მათ ჰარდიდან გრუნტზე გადასვლა.

Grand Prix Hassan II

კასაბლანკა (მაროკო). გრუნტი

საპრიზო ფონდი: 398 250 ევრო

მონაწილეთა შემადგენლობა: ალბერტ მონტანიესი, მარკოს ბაღდატისი, ჟილ სიმონი, ანდრეი გოლუბევი, პოტიტო სტარაჩე, ჟერემი შარდი....

კასაბლანკაში გაიმართება მეორე და ამ სეზონში ბოლო ტურნირი აფრიკის ტერიტორიაზე. ამ შეჯიბრების არსებობის ისტორიაში ორჯერ ადგილობრივ ჩოგბურთელებს აქვთ მოპოვებული მთავარი პრიზი, მაგრამ წელს ასეთი რამ ნაკლებად არის მოსალოდნელი.

შარშან გამარჯვება შვეიცარიელმა **სტანისლას ვავრინკამ** მოიპოვა, მაგრამ წელს ის არ არის განაცხადში. განთესვის ლიდერი კი **მარკოს ბაღდატისი** გახლავთ, რომელიც ბოლო დროს არც ისე კარგად გამოიყურება და თან კარიერაში არასოდეს მოუგია გრუნტის ტურნირი.

ამ ფონზე მთავარ ფავორიტად **ჟილ სიმონი** მოსჩანს, რომელსაც 2008 წელს აქვს მოგებული კასაბლანკა და ახლაც კარგ ფორმაში იმყოფება.

WTA

Andalucia Tennis Experience

მარბელია (ესპანეთი). გრუნტი

საპრიზო ფონდი: 220 000 დოლარი

მონაწილეთა შემადგენლობა: ვიქტორია აზარენკა, სვეტლანა კუზნეცოვა, არავან რეზაი, ალექსანდრა დულგერუ, ცვეტანა პირონკოვა, დინარა საფინა...

ინდიან უელსისა და მაიამის ტურნირების შემდეგ ქალებიც გრუნტის საფარზე გადავლენ და როლან გაროსისთვის მზადებას დაიწყებენ. **ვიქტორია აზარენკა** შეეცდება ზედიზედ მეორე ტურნირის მოგებას, მაგრამ შეიძლება ამისთვის ძალები არ ეყოს - ამერიკიდან ევროპაში დაბრუნებამ და თან საფარის შეცვლამ, შესაძლოა, ცუდად იმოქმედოს ბელარუს ჩოგბურთელზე.

Family Circle Cup

ჩარლსტონი (აშშ). გრუნტი

საპრიზო ფონდი: 721 000 დოლარი

მონაწილეთა შემადგენლობა: კაროლინ ვოზნიაცკი, სამანტა სტოსური, ელენა იანკოვიჩი, მარიონ ბარტოლი, შაარ პეერი, იანინა ვიკმაიერი, ნადეჟდა პეტროვა, ალისა კლეიბანოვა...

ეს არის ამ კვირის ყველაზე საინტერესო ტურნირი, თუნდაც იმიტომ, რომ იქ გამოსვლას აპირებს მსოფლიოს პირველი ჩოგანი **კაროლინ ვოზნიაცკი**. მართალია, დანიელი ამ შეჯიბრებას მაიამიში განცდილი მარცხის შემდეგ ხვდება, მაგრამ ეს საქმის არსს არ ცვლის - „კარო" გამარჯვებაზე იქნება კონცენტრირებული. ტიტულის დაცვისთვის ჩავიდა ჩარლსტონში ავსტრალიელი **სამანტა სტოსური**, რომელსაც განთესვის მეორე ნომერი აქვს.

სხვათა შორის, ეს ტურნირი თავის დროზე მოგებული აქვთ ქალთა ჩოგბურთის ლეგენდებს - **მარტინა ნავრატილოვას, შტეფი გრაფს** და **მარტინა ჰინგისს.**

გონსალესი ბრუნდება

2007 წლის ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტი და მსოფლიოს ყოფილი მეხუთე ნომერი **ფერნანდო გონსალესი** აპრილის ბოლოსთვის აპირებს კარიერის განახლებას. ამის შესახებ 30 წლის ჩოგბურთელმა საკუთარ ვებგვერდზე დაწერა. შეგახსენებთ, რომ ჩილელ მოთამაშეს ბარძაყის ტრავმის გამო შარშანდელი სექტემბრიდან არ ჩაუტარებია ოფიციალური შეხვედრა. გონსალესმა ოპერაცია გაიკეთა და დღემდე სარეაბილიტაციო კურსს გადის.

„ამ დღეებში დასრულდება ოპერაციის შემდეგ ექვსთვიანი სარეაბილიტაციო კურსი. ფსიქოლოგიურად მზად ვარ კორტზე დასაბრუნებლად", - წერს ფერნანდო, რომელიც იძულებითი პაუზის გამო ATP-ის რეიტინგში 395-ე ადგილამდე ჩამოქვეითდა.

სავარაუდოდ, დაბრუნების შემდეგ გონსალესის პირველი ტურნირი იქნება სერბეთის ღია პირველობა, რომელიც 25 აპრილს სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში დაიწყება.

ფერნანდო გონსალესი

გვერდი მოამზადა

გია თვალაგეიშვილმა

რეიტინგები

ATP

1(1). რაფაელ ნადალი (ესპ)	12 870
2(2). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	9 700
3(3). როჯერ ფედერერი (შვეიც)	8 550
4(5). ენდი მიურეი (დრიტ)	5 545
5(4). რობინ სიოდერლინგი (შვედ)	5 420
6(6). დავიდ ფერერი (ესპ)	4 600
7(7). ტომას ბერდიხი (ჩეხ)	3 900
8(9). ფერნანდო ვერდასკო (ესპ)	2 925
9(10). იურგენ მელცერი (ავსტრია)	2 660
10(11). გაელ მონფისი (საფ)	2 600
11(15). მარდი ფიში (აშშ)	2 376
12(12). ნიკოლას ალმაგრო (ესპ)	2 350
13(13). სტანისლას ვავრინკა (შვეიც)	2 320
14(8). ენდი როდიკი (აშშ)	2 270
15(14). მიხაილ იუჟნი (რუს)	2,205
16(17). ვიქტორ ტროიცკი (სერ)	1 790
17(16). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ)	1 715
18(18). რიშარ გასკე (საფ)	1 700
19(19). დავიდ ნალბანდიანი (არგ)	1 585
20(21). სემ კუერი (აშშ)	1 520

ATP. ფულადი მონაგარი

1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	3 826 395
2. ენდი მიურეი (დრიტ)	1 161 807
3. როჯერ ფედერერი (შვეიც)	1 126 124
4. რაფაელ ნადალი (ესპ)	909 672
5. დავიდ ფერერი (ესპ)	859 828
6. რობინ სიოდერლინგი (შვედ)	717 080
7. ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ)	517 654
8. ტომაშ ბერდიხი (ჩეხ)	509 364
9. სტანისლას ვავრინკა (შვეიც)	467 587
10. ნიკოლას ალმაგრო (ესპ)	466 060
11. ენდი როდიკი (აშშ)	452 327
12. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ)	397 030
13. მილოშ რაონიჩი (კან)	351 587
14. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ)	348 246
15. ვიქტორ ტროიცკი (სერ)	314 689
16. ტომი რობრედო (ესპ)	307 022
17. იურგენ მელცერი (ავსტრია)	283 856
18. მარდი ფიში (აშშ)	281 950
19. ჟილ სიმონი (საფ)	281 594
20. რიშარ გასკე (საფ)	280 805

WTA

1(1). კაროლინ ვოზნიაცკი (დან)	9 740
2(2). კიმ კლაისტერსი (ბელ)	8 145
3(3). ვერა ზვონარევა (რუს)	7 815
4(4). ფრანჩესკა სკიავონი (იტა)	5 171
5(5). სამანტა სტოსური (ავსტრა)	4 606
6(8). ვიქტორია აზარენკა (ბლრ)	4 470
7(6). ნა ლი (ჩინ)	4 300
8(7). ელენა იანკოვიჩი (სერ)	4 155
9(13). მარია შარაპოვა (რუს)	3 726
10(12). სერენა უილიამსი (აშშ)	3 035
11(11). შაარ პეერი (ისრ)	3 030
12(10). მარიონ ბარტოლი (საფ)	2 925
13(14). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ)	2 860
14(15). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)	2 800
15(9). ვენუს უილიამსი (აშშ)	2 765
16(16). კაია კანეპი (ესტ)	2 760
17(19). ანა ივანოვიჩი (სერ)	2 750
18(18). პეტრა კვიტოვა (ჩეხ)	2 743
19(23). ანდრეა პეტკოვიჩი (გერ)	2 735
20(17). ფლავია პენეტა (იტა)	2 730

WTA. ფულადი მონაგარი

1. კიმ კლაისტერსი (ბელ)	2 277 758
2. კაროლინ ვოზნიაცკი (დან)	1 570 250
3. ნა ლი (ჩინ)	1 181 629
4. ვიქტორია აზარენკა (ბლრ)	1 039 788
5. ვერა ზვონარევა (რუს)	750 766
6. მარია შარაპოვა (რუს)	595 915
7. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ)	515 074
8. მარიონ ბარტოლი (საფ)	487 096
9. ფლავია პენეტა (იტა)	484 791
10. ანდრეა პეტკოვიჩი (გერ)	441 493
11. პეტრა კვიტოვა (ჩეხ)	389 428
12. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)	342 077
13. ხისელა დულკო (არგ)	325 005
14. ფრანჩესკა სკიავონი (იტა)	322 251
15. ფუაი პენგი (ჩინ)	288 624
16. ელენა იანკოვიჩი (აშშ)	285 446
17. იანინა ვიკმაიერი (ბელ)	271 817
18. დანიელა ჰანტუხოვა (ესლოვაკ)	266 029
19. ნადია პეტროვა (რუს)	261 431
20. მარია კირილენკო (რუს)	243 292

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

შაკის წასვლის დრო

არუმართლებს ამ სეზონში ვეტერან ვარსკვლავ **შაკილ ო'ნილს**. გუშინ „ბოსტონს" „დეტროიტთან" მატჩში დაუბრუნდა მონატრებული ცენტრი, რომელიც ორი თვე მკურნალობდა აქილევსის მყესს. შაკი თამაშში კარგად შევიდა და თავიდანვე 6 ქულა დააგროვა, მაგრამ ამით მისი და გულშემატკივრების სიხარული დასრულდა. ხუთი წუთი თამაშის შემდეგ „დიზელი" მოულოდნელად ცალ ფეხზე ხტუნვით სათადარიგოთა სკამისკენ გაემართა. იქედან კი ექიმების დახმარებით გასახდელში გადაინაცვლა.

ტრავმის ხარისხზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, მაგრამ, ალბათ, მოვიდა დრო შაკმა წასვლაზე იფიქროს - 39 წლის კალათბურთელის ტრავმირებულ ფეხებს უჭირს 160 კილოგრამის თრევა.

■ ■ ■

ძალიან კარგად განვითარდა გუშინდელი სათამაშო დღე რეგულარული ჩემპიონატის ლიდერ „სან ანტონიოსთვის". როგორც იცით, **გრეგ პოპოვიჩის** გუნდს ექვსმატჩიანი წაგებათა სერია ჰქონდა, რის გამოც მის ლიდერობას „ლეიკერსი" დაემუქრა. მაგრამ გუშინ „სპურსმა", როგორც იქნა მოიგო, ჩემპიონი კი მოულოდნელად შინ დამარცხდა „დენვერთან". ამის წყალობით „სან ანტონიომ" ოდნავ ამოისუნთქა და უახლოეს ორ-სამ ტურში მის ლიდერობას არაფერი ემუქრება.

„სან ანტონიომ" შინ დაამარცხა „ფინიქსი", თუმცა ამაში გასაკვირი არაფერია - მასპინძლებს საკმარისი მოტივაცია ჰქონდათ და თან სტუმრები **სტივ ნეშის** გარეშე თამაშობდნენ. უკვე პირველი მეოთხედის შემდეგ თამაშის ბედი გარკვეული იყო - 10 წუთში ტექსასელების 15-ქულიანი უპირატესობა დაფიქსირდა. ერთი პირობა სხვაობა 31 ქულაც კი იყო, მაგრამ პოპოვიჩმა ადრე გაიყვანა მოედნიდან თავისი ლიდერები, რის გამოც ბოლოსთვის სხვაობა თითქმის ორჯერ შემცირდა.

„ლეიკერსისა" და „დენვერის" დაპირსპირებაში მთავარი მოვლენები მეოთხე მეოთხედში განვითარდა, რომელიც სტუმრების ერთქულიანი უპირატესობით დაიწყო. „ნაგეტსი" თითქმის სულ წინ იყო, **კობი** და კომპანია კი ცდილობდა არ ჩამორჩენოდა მეტოქეს. გარკვეული ხანი ეს გამოსდიოდა, მაგრამ 58 წამში 7:0-მა პრაქტიკულად გადაწყვიტა მატჩის ბედი. **ოდომმა** სცადა თამაში გადარჩენა, როცა შორიდან ჩაადგო და სხვაობა ორ ქულამდე შეამცირა, მაგრამ თავის ფარზე ბრძოლა წააგო და **ნენეს მარტინის** აცილებულ საჯარმოზე დამატების საშუალება მისცა - 90:95.

დაბოლოს, კიდევ ერთი მატჩი უნდა გამოვყოთ - „ნიუ იორკმა" „კლივლენდი" დაამარცხა და 2004 წლის შემდეგ პირველად მოიპოვა პლეი ოფის საგზური.

სან ანტონიო-ფინიქსი 114:97

35:20, 35:26, 21:25, 23:26

ს-ა: ჰილი (29), ბონერი (16+11 მოხსნა), ნილი (15), ჯეფერსონი (12+7 მოხსნა).

ფ: ფრაი (14), ბრუქსი (14+6 პასი), დადლი (12+ 10 მოხსნა), კარტერი (12), კორტატი (10+9 მოხსნა).

ლოს-ანჯელესი-დენვერი 90:95

20:21, 27:19, 22:29, 21:26

ლ: ბრაიანტი (28), ოდომი (17+7 მოხსნა+5 პასი), გასოლი (16+12 მოხსნა), ბინუმი (8+16 მოხსნა).

დ: გალინარი (22+7 მოხსნა), მარტინი (18+8 მოხსნა), ფილტონი (16+5 მოხსნა), ნენე (12+7 მოხსნა).

ბოსტონი-დეტროიტი 101:90

26:29, 23:19, 33:18, 19:24

ბ: გარნეტი (23+8 მოხსნა), პირსი (22+6 მოხსნა), ალენი (13+5 პასი), დევისი (11+6 მოხსნა), უესტი (10+5 პასი), რონდო (4+14 პასი).

დ: ბინუმი (20), ბრინსი (16), ვილანუევა (15+5 მოხსნა), ჰუმილტონი (14+5 პასი), მონროო (11+5 მოხსნა+5 პასი).

ნიუ ჯერსი-მაიამი 94:108

18:32, 26:26, 25:19, 25:31

ნ-ჯ: უილიამსი (18+12 პასი), აუთლო (17+9 მოხსნა), ლოპესი (16), ფარმარი (13), ვუიაჩიჩი (12+6 მოხსნა).

მ: ჯეიმსი (31+11 მოხსნა+7 პასი), უეიდი (18+5 პასი), ბოში (16+7 მოხსნა), ილგაუსკასი (11), დამპიე (10+14 მოხსნა), ჯონსი (10).

ნიუ იორკი-კლივლენდი 123:107

36:25, 31:32, 26:31, 30:19

ნ-ი: სტაუდმაიერი (28+7 მოხსნა), ენტონი (25+5 მოხსნა), ბილაპსი (23+7 პასი), უოკერი (13), დუგლასი (11+6 პასი).

კ: ჰიქსონი (23+8 მოხსნა), დევისი (22+6 პასი), პარკერი (11+5 პასი), გი (11), სეშენსი (10+8 პასი).

საკრამენტო-იუტა 106:97

26:19, 24:21, 31:32, 25:25

ს: ევანსი (24+10 პასი), კაზინსი (17+9 მოხსნა+6 პასი+5 ჩაჭრა), გარსია (17), ტორნტონი (15+7 მოხსნა+7 პასი), უდრიხი (12), ჯექსონი (11).

ი: მილსეპი (21+7 მოხსნა), ჰეივორდი (19), უიეერი (19), ჯეფერსონი (11+9 მოხსნა).

ფორონტო-ორლანდო 102:98

23:19, 23:30, 27:30, 29:19

ტ: დეროზანი (24+5 მოხსნა), ბეილესი (23+8 პასი), ბარბოზა (14), ჯონსონი (11+7 მოხსნა+5 პასი), უიმსი (11), ევანსი (4+17 მოხსნა).

ო: ჰოვარდი (31+9 მოხსნა), ნელსონი (21+7 პასი), ბასი (13+9 მოხსნა), რიჩარდსონი (13), თურქოგლუ (11).

შარლოტი-ვაშინგტონი 91:97

19:22, 24:26, 22:28, 26:21

შ: კეროლი (26), ოგუსტინი (21+7 პასი), ჰენდერსონი (13+6 მოხსნა), დიაო (13+6 მოხსნა), უაიტი (10+8 მოხსნა).

ვ: ბლეჭჩი (25+17 მოხსნა), კროუფორდი (23+5 მოხსნა), უოლი (18+5 მოხსნა+5 პასი), მაკგი (15+7 მოხსნა), ევანსი (11+6 მოხსნა).

ნიუ ორლეანი-ინდიანა 108:96

29:21, 28:23, 32:21, 19:31

ნ-ო: არიზა (19+9 მოხსნა), ჰოლი (18+9 პასი), ლენდრი (18+9 მოხსნა), ოკაფორი (14+17 მოხსნა), ჯეკი (11).

ი: გრეინჯერი (15), დანლივი (15), პრაისი (12+6 პასი), ჰიბერტი (10+6 მოხსნა), კოლისონი (10+5 პასი).

პიუსტონი-აბლანტა 114:109

21:23, 33:40, 32:18, 28:28

ჰ: მარტინი (35+5 პასი), ჰეიესი (19+12 მოხსნა), ლოური (17+8 პასი), სკოლა (15+6 მოხსნა), ბადინგერი (11).

ა: ჯონსონი (25+7 პასი), სმიტი (21+11 მოხსნა+7 პასი), კროუფორდი (15), ჰორფორდი (14), უილიამსი (11+6 მოხსნა), ტიგი (10).

პორტლენდი-დალასი 104:96

23:17, 38:29, 24:21, 19:29

პ: უოლასი (19+8 მოხსნა), ოლდრიჯი (18+8 მოხსნა), მეტიუზი (16), ბატუმი (15), ფერნანდესი (11), მილერი (10).

დ: ნოვიცკი (19+5 მოხსნა), ბობუა (18), ნოვიცკი (16+5 მოხსნა), ბარეა (12), ჰეივორდი (5+11 მოხსნა).

შაკი ისევ დაიმტვრა

● ცხელი ხაზი

ფუტბური

ინგლისი

ჩემპიონატი

ქუინზ პარკი-შეფილდი 3:0

კონფერენსი

გეიტშიდი-ბეტი 1:1

იტალია

სერია B

ფროსინონე-სიენა 0:1

ესპანეთი

ალმერია-ბილბაო 1:3

გერმანია

II ბუნდესლიგა

ფრანკფურტი-ბოხუმი 0:1

საფრანგეთი

II დივიზიონი

ნანტი-ბულონი 1:2

პოლანდია

იგლზი-როსენდალი 2:0

პორტუგალია

II დივიზიონი

ნასიონალი-ფერეირა 1:0

დანია

მიდტიულანდი-ლუნგბიუ 4:4

ნორვეგია

ლილესტრიომი-ბრანი 1:4

შვედეთი

ელფსბორგი-ჰაკენი 2:1

გიოტებორგი-ერებრუ 0:1

იურგორდენი-აიკ 0:0

შვეიცარია

ჩელენჯლიგა

არაუ-ნიონე 0:4

შაფჰაუზენი-ლუგანო 1:2

საბერძნეთი

II დივიზიონი

ტრიკალა-იანინა 1:0

ეთნიკოსი-ეთნიკოსი (ა) 0:2

თურქეთი

ანტალია-გალათასარაი 3:0

II დივიზიონი

დიარბაქირი-გირეშუნი 0:2

რუსეთი

ტერეკი-ტომი 2:0

II დივიზიონი

ტორპედო (ვ)-ალანია 0:3

ენისეი-ბალტიკა 0:0

სიბირი-ტორპედო 2:0

ურალი-ჟემჩუჟინა 1:3

ნ. ნოვგოროდი-გაზპრომი 2:1

გაზოვიკი-ჩერნომორეცი 2:1

კამაზ-ლ. ენერგია 2:0

მორდოვია-სკა ენერგია 2:1

ხიმკი-შინიკი 2:0

დინამო (მ)-ფაკელი 0:1

ისრაელი

ჰაპოელი (თ-ა)-ჰაპოელი (ფ-თ) 2:0

პოქერი

სლოვაკეთი

პოპრადი-კოშიცე 1:6

ფინეთი

ლუკო-ჰიფკ 0:3

იუვასკიულა-ბლუზი 4:2

ჩეხეთი

ტრშინეცი-ვიტკოვიცე 5:2

ჩოგბურთი

ATP. კასაბლანკა

ანდუხარი-სერა 6:1, 3:6, 6:2

ფაუ-შარდი 2:6, 5:7

რობა-ჰუტა გალუნგი 6:3, 6:3

ჰანესკუ-ხიმენო ტრავერო 4:6, 6:4, 6:4

ATP. პუსტონი

კუევასი-მელო 6:2, 6:0

WTA. ჩარლსტონი

დუშევინა-კინგი 4:6, 6:7

გოვორცოვა-გორჯესი 5:7, 4:6

ლუჩიჩი-მორიტა 2:6, 4:6

მარტიჩი-როდინა 4:6, 1:6

კორნე-არვიდსონი 4:6, 6:2, 3:6

ბირნეროვა-ჩინკი 7:5, 2:6, 6:2

უოტსონი-მაკჰეილი 7:5, 3:6, 6:7

ვესნინა-მარინო 6:7, 6:2, 6:3

მირზა-რისკე 2:6, 6:3, 6:3

რიბარიკოვა-ფალკონი 6:7, 5:7

შნიდერი-სხეპერსი 4:6, 4:6

მატეკი-სტივენსონი 6:2, 6:1

როდიონოვა-ონდრაშკოვა 4:6, 6:1, 6:2

WTA. მარბელია

დულგერუ-პივოვაროვა 7:6, 6:7, 7:5

ზაკოპალოვა-იაკიმოვა 1:6, 7:5, 6:3

ვინჩი-ს. ზახვალოვა 5:7, 3:6

ჰერკოგი-პოუს ტიო 1:6, 2:6

ერანი-კირსტეა 1:6, 6:4, 6:2

● TV პროგრამა

5 აპრილი. სამშაბათი

GMG-ფუტბური

10:00 პოლანდიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ალმერია-ბილბაო.
14:00 გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-ინგოლშტატი.
16:00 იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-ლაციო.
18:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:00 იტალიის ჩემპიონატი. კატანია-პალერმო.
21:00 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 პოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-პერაკლესი.
00:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ნიცა-ლიონი.

GMG-სპორტი

10:00 ევრო 2012. შესარჩევი მატჩი. გერმანია-ყაზახეთი.
12:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-ორლანდი.
13:45 კონტაქტური კარატე. საქართველოს ჩემპიონატი.
14:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. რაფაელ ნადალი-ტომას ბერდიხი.
16:50 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. ხუან მარტინ დელ პოტრო-მარდი ფიში.
18:50 რაგბი. ევროპა ერის თასი. იტალია-საფრანგეთი.
20:30 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. მაკაბი-კახალბორალი.
22:00 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. პანათინაიკოსი-ბარსელონა.
23:35 კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
23:55 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-ბოსტონი.

I არხი

23:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. რეალი-ტოტენჰემი (LIVE).

რუსთავი 2

23:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ინტერი-მალეკე (LIVE).

HTB-პლუსი (ფუტბური)

23:30 ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ინტერი-მალეკე (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

15:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. კასაბლანკა. მარიკეა (LIVE).
20:45 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. კასაბლანკა. მარიკეა (LIVE).

HTB-პლუსი (კალათბურთი)

03:30 NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-ფილადელფია (LIVE).

SPORT+

23:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. რეალი-ტოტენჰემი (LIVE).

EUROSPORT

18:30 ქიორლინგი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. გერმანია-შვედეთი. დანია (LIVE).

EUROSPORT-2

21:30 პოკერი. გერმანიის ჩემპიონატი. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. მეორე მატჩი (LIVE).
23:45 ქიორლინგი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. ნორვეგია-აშშ. დანია (LIVE).

● ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

ფილადელფია-რენჯერსი 2:3 (ბ)

1:1, 0:1, 1:0, 0:0

გოლები: 1:0 ვან რიმსდეიკი-21 (ო'დონელი-16, ფირუ-48), 1:1 მაკეიბი-7 (სტეპანი-22, გაბორიკი-24), 1:2 ფედოტენკო-10 (პროსპალი-13, მ. სტალი-21), 2:2 ფერდინეი-16 (ფირუ-49, კარლი-37)

ბულიტები გაიტანეს: კრისტენსენი (რენჯერსი), ვოლკი (რენჯერსი)

დეტროიტი-მინესოტა 4:2

2:0, 1:1, 1:1

გოლები: 1:0 ჰელმი-12 (ფლინ-7, რაფალსკი-42), 2:0 ლდსტრომი-16 (ზეტერბერგი-55), 2:1 მტაფუნიკი-3 (ფალკი-3), 3:1 ჰოლმსტრომი-16 (რაფალსკი-43, დაცეკი-36), 4:1 ფრანცენი-28 (ზეტერბერგი-56, ბერტუეი-27), 4:2 მაკმილანი-1 (მტაფუნიკი-5, ნისტრომი-8).

ანაჰაიმი-დალასი 3:4

2:2, 1:2, 0:0

გოლები: 1:0 გეტფლეფი-19 (რაიანი-34, პერი-46), 1:1 ფოიუტკი-2 (მოროუ-22, ლ. ერიქსონი-42), 1:2 რიბეირო-17 (მოროუ-23, ეოიუტკი-9), 2:2 ვიშნოვსკი-18, 2:3 მოროუ-29 (ლანგენბრუნერი-23, უენდალი-2), 2:4 რიბეირო-18 (ბ. რიჩარდსონ-45, ბენი-30), 3:4 პერი-47.

კოლორადო-კალგარი 1:2

0:0, 0:1, 1:1

გოლები: 0:1 ო. ოლსენი-17 (ტანგეი-44, ბოუმისტერი-19), 0:2 ტანგეი-21 (ფანლი-42), 1:2 ბეიდუკი-21 (ლეიტლი-40, ოლეკი-6).

კოლუმბუსი-სტ. ლუისი 1:6

1:2, 0:2, 0:2

გოლები: 0:1 ბერგლუნდი-21 (ს.სტიუარტი-24, პიტერანელი-31), 0:2 პოტერი-3 (სობოტკა-21, სტენი-31), 1:2 უმბერგერი-25 (ბრასარი-29, სტილმანი-17), 1:3 ენდი მაკდონალდი-19 (დ'ავოსტანი-23, ნიკოტინი-7), 1:4 ბერგლუნდი-22 (ს.სტიუარტი-25, დ'ავოსტანი-24), 1:5 სტენი-19 (სობოტკა-22, პოლაკი-9), 1:6 კოლიაკოვი-6.

ჯარლინა-ბუფალო 1:2 (ო)

0:1, 1:0, 0:0, 0:1

გოლები: 0:1 ბაბლერი-1 (სტეფორდი-19, ენისი-29), 1:1 ე. სტაალი-33 (ალენი-13, ლაროზი-14), 1:2 გრანიანი-1 (ვერბე-15, სტეფორდი-20).

ჩიკაგო-ფამპა ბეი 0:2

0:1, 0:0, 0:1

გოლები: 0:1 ლეკავალიე-21 (სენტ ლუისი-64, საიმონ განიე-21), 0:2 ტომპსონი-10 (საიმონ განიე-22, ა. პოლი-11).

● მოტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი

სასწაულები ხერესში

ჩემპიონატის მეორე ეტაპი - ესპანეთის გრან-პრი რომ საინტერესო გამოვიდოდა, საკვალიფიკაციო რბოლამაც დაადასტურა. წაქცევისა და ტრასიდან გადავარდნის რაოდენობით პილოტებმა მთელი სეზონის გეგმა შეასრულეს. კვალიფიკაციის დროს ტრასის მიღმა აღმოჩნდა **კეისი სტოუნერი**, წაიქცა **ვალენტინო როსი**, რომელიც იძულებული გახდა სათადარიგო მოტოციკლზე გადამჯდარიყო. იტალიელის ბედი გაიზიარეს **ბენ სპისმა, კოლინ ედვარდსმა** და **ჰიროში აოიამამ**...

ამდენი ინციდენტის მიუხედავად საერთო სურათი არ შეცვლილა - ისევ „ჰონდას" დუეტი აღმოჩნდა წინ - პოული მოიგო სტოუნერმა, მეორე იყო **დანი პედროსა**, რომელმაც სულ რაღაც სამი მეათასედი მოუგო **ხორხე ლორენსოს**. ცუდად დასრულდა კვალიფიკაცია „დუკატისთვის": **ჰეიდენი** მე-11 ადგილზე აღმოჩნდა, როსი - ერთი საფეხურით დაბლა.

რბოლის დღეს ხერესში გაწვიმდა. სველი ტრასის მიუხედავად სტოუნერმა შეინარჩუნა ლიდერობა, პედროსა კი მეორედან მეათე პოზიციამდე დაქვეითდა. სამეულში შეაღწია **მარკო სიმონჩელიმ**, რომელმაც მოგვიანებით ერთმანეთში ბრძოლით გართული სტოუნერი და ლორენსო ჩამოიტოვა უკან და ლიდერი გახდა. ამასობაში სასწაულებს ახდენდა მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი როსი - საუკეთესო წრე, ლიდერთა შეერწყა და მესამე ადგილისთვის ბრძოლაში „იამაჰაში" ყოფილი პარტნიორის - ლორენსოს გასწრება.

მერვე წრეზე გაიმართა ხანმოკლე, მაგრამ საინტერესო ორთაბრძოლა როსისა და სტოუნერს შორის. მეორე ადგილისთვის პაექრობა პირველ მოსახვევში შეჯახებით დასრულდა - ვალენტინომ ვერ დაიმორჩილა მოტოციკლი, მოცურდა და ტრასის მიღმა სტოუნერიც გაიყოლა. ავსტრალიელისთვის რბოლა დასრულებული იყო, როსიმ კი შეძლო ტრასაზე დაბრუნება, მაგრამ ბოლო ადგილზე აღმოჩნდა. მესამე ადგილზე ნიკი ჰეიდენი გადავიდა, რომელსაც სპისი, პედროსა და დოვიციოზო მისდევდნენ.

როსისა და სტოუნერის გავარდნით ლიდერებს შორის დანაკარგი არ ამოწურულა - მე-12 წრეზე მოტოციკლი მოცურდა სიმონჩელის და რბოლაში ლიდერი შეიცვალა - პელოტონს სათავეში ჩაუდგა ლორენსო. ლიდერთა ნარუმატებლობა ხელს აძლევდა პედროსას, რომელიც სტარტის ჩაგდების შემდეგ საპრიზო სამეულს მოუახლოვდა. მაგრამ ესპანელს კვალში ჩაუდგა სპისი, რომელმაც ჰეიდენის წინააღმდეგობა დაძლია და წინ წაინია.

პედროსამ ვერ გაუძლო სპისის ზეწნოლას, შეცდა და მეტოქე წინ გაუშვა. პარალელურად ადგილები გაცვალეს ჰეიდენმა და ედვარდსმა. „იამაჰა" პოტენციურ დუბლს ზეიმობდა, როცა სპისმა შეცდომა დაუშვა, ტრასიდან გადავიდა და ისევ დაუთმო ადგილი პედროსას. „იამაჰას" იმედგაცრუება კი იმით გაგრძელდა, რომ ფინალურ წრეზე ედვარდსმა ფინიშამდე ვერ მიაღწია.

უამრავი წაქცევის წყალობით ნიკი ჰეიდენმა „დუკატის" პოდიუმი მოუტანა, როსი კი წაქცევის შემდეგ ბოლო ადგილიდან მეხუთეზე გადავიდა, რითაც კიდევ ერთხელ დაგვანახვა თავისი ნიჭი. აღსანიშნავია ვალენტინოს ღირსეული საქციელი ფინიშის შემდეგ - მან „ჰონდას" ბოქსებში შეიარა და ბოდიში მოუხადა სტოუნერს.

ესპანეთის გრან-პრი

1. **ხორხე ლორენსო** (ესპ, „იამაჰა") - 27 წრე; 2. **დანიელ პედროსა** (ესპ, „ჰონდა") - +19.339; 3. **ნიკი ჰეიდენი** (აშშ, „დუკატი") - +29.085; 4. **ჰიროში აოიამა** (იაპ, „ჰონდა") - +29.551; 5. **ვალენტინო როსი** (იტა, „დუკატი") - +1:02.227; 6. **ექტორ ბარბერა** (ესპ, „დუკატი") - +1:08.440; 7. **კარლ აბრაჰამი** (ჩეხ, „დუკატი") - +1:14.120; 8. **კელ კრატჩლოუ** (აშშ, „იამაჰა") - +1:19.110.

საერთო ჩათვლა

1. **ხორხე ლორენსო** (ესპ, „იამაჰა") - 45 ქულა; 2. **დანიელ პედროსა** (ესპ, „ჰონდა") - 36; 3. **კეისი სტოუნერი** (ავსტრა, „დუკატი") - 25; 4. **ნიკი ჰეიდენი** (აშშ, „დუკატი") - 23; 5. **ვალენტინო როსი** (იტა, „იამაჰა") - 20; 6. **ჰიროში აოიამა** (იაპ, „ჰონდა") - 19; 7. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, „ჰონდა") - 17; 8. **ექტორ ბარბერა** (ესპ, „დუკატი") - 14; 9. **კელ კრატჩლოუ** (აშშ, „იამაჰა") - 13; 10. **კარლ აბრაჰამი** (ჩეხ, „დუკატი") - 12...

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● ფორმულა 1



დასკვნები ჯერ ადრეა

გერმანული Sport 1-სთვის მიცემულ ინტერვიუში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა ნიკი ლაუდამ კომენტარი გაუკეთა 2011 წლის სეზონის სტარტსა და მოქმედი ჩემპიონის სებასტიან ფეტელის გამოსვლას...

- სეზონის პირველ რბოლაში დიდებული გამოსვლით სებასტიან ფეტელმა ცხადად მიანიშნა თავისი ამბიციური გეგმების შესახებ. შეძლებს თუ არა რომელიმე გუნდი მასთან კონკურენციას?

- წინ გრძელი სეზონია, მაგრამ უკვე დღეს სებასტიან ფეტელს რეალურად კონკურენტუნარიანი მანქანა ჰყავს. თანაც მელბურნში ის უშეცდომოდ გამოვიდა და თუ ასე გაგრძელდა, გერმანელი ჩემპიონატის აშკარა ფავორიტად უნდა გამოვაცხადოთ.

- „მერსედეს გრანპრი“ პირიქით, ძალიან სუსტად გამოიყურებოდა. მათ კიდევ ერთი წარუმატებელი სეზონი ელით?

- მომავლის პროგნოზირება არ შემიძლია, ხოლო ერთი გრანპრით რთულია სიტუაციის შეფასება. ჩაივლის მალაიზიისა და ჩინეთის რბოლები და უფრო ობიექტურად შევაფასებთ საერთო სურათს.

- რა დროს მისცემს გუნდი მიხაელ შუმახერს იმაში საბოლოოდ დასარწმუნებულად, რომ როსბერგი უფრო სწრაფია?

- საქმე ამაში არ არის. მელბურნში „მერსედეს გრანპრის“ სისწრაფე არ ჰყოფნიდა, ამიტომაც ახლა მთელმა გუნდმა, მათ შორის შუმახერმა და როსბერგმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ ჩამორჩენა შეამცირონ. მხოლოდ ამის შემდეგ ვილაპარაკებთ შედეგებზე.

- რა შეცდომები დაუშვა „ფერარომ“, რომელმაც ვერ მოახდინა ტესტებზე ნაჩვენები პოტენციალის რეალიზება?

- ტესტებსა და რბოლებს შორის უდიდესი გასხვავებაა. მელბურნში გუნდებმა აქამდე დამალული საიდუმლოებები გამოაჩინეს და გაირკვა, რომ სებასტიან ფეტელს „რედ ბულის“ ბოლიდით უპირატესობა აქვს.

- გერჰარდ ბერგერი ამბობდა, რომ „ედრიან ნიუის ფაქტორი“ დიდ გავლენას ახდენს ტოპგუნდებს შორის ბრძოლაზე...

- ეს მართლაც ასეა. ნიუიმ და „რედ ბულის“ სხვა ინჟინრებმა იციან, როგორ შექმნან სწრაფი მანქანა. გასულ წელს მან სრულ ტრიუმფს მიაღწია და ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ეს წარმატება 2011 წელს განამტკიცოს.

- წინ არის რბოლა მალაიზიაში, სადაც ბევრი რამ იქნება დამოკიდებული აეროდინამიკურ ეფექტურობაზე. „რედ ბული“ ისევ ძლიერი იქნება?

- მალაიზიაში მეტად მომთხოვნი ტრასაა და იქ გასამარჯვებლად მართლაც კარგი მანქანაა საჭირო. მიმაჩნია, რომ ეს ერთ-ერთი ისეთი ტრასაა, სადაც ყველაზე მეტად არის შესამჩნევი მანქანის ეფექტურობა.

- სეზონის დაწყების წინ ბევრი შიშობდა საბურავებთან დაკავშირებული პრობლემების გამო, მაგრამ მელბურნში სირთულე არ შექმნილა...

- დიახ, საბურავებთან დაკავშირებით ყველაფერი წესრიგშია. ბევრი ელოდა დიდი რაოდენობით პიტსტოპებს, მაგრამ ასეთი რამ არ მომხდარა. პირიქით, ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

- უკანა ანტიფრთის მართვადმა ელემენტმა ხელი უნდა შეუწყოს გასწრებების რაოდენობას, მაგრამ ავსტრალიაში ამ მხრივ წინსვლა ვერ დავინახეთ.

- ეს ერთ-ერთი ყველაზე სულელური იდეაა, რაც კი აქამდე მინახავს. პრინციპულ შეცდომად მიმაჩნია გასწრებათა რიცხვის ხელოვნურად გაზრდა და ავსტრალიაში ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით. გასწრება პილოტმა უნდა განახორციელოს და არა ღილაკმა საჭეზე, ისიც ავტოსპორტის ფედერაციის შესაბამისი სიგნალის შემდეგ.

ბაჰრეინს კატარი შეცვლის?

სებასტიან ფეტელი ისევ გაფიცვით იმუქრება

...

ფორმულა 1-ის პილოტების სავარაუდო გაფიცვის შესახებ ინფორმაცია ჯერ კიდევ ავსტრალიის გრანპრის წინ გავრცელდა. მაშინ „რედ ბულის“ პილოტმა **სებასტიან ფეტელმა** განაცხადა, რომ საჭეზე ღილაკების რიცხვის გაზრდამ და უსაფრთხოების საეჭვო დონემ, შესაძლოა, პილოტების აქტიური პროტესტი გამოიწვიოს. მას შემდეგ სიტუაცია დაწყნარდა, თანაც მაშინ „რედ ბულის“ პილოტების გარდა ეს პრობლემა სერიოზულად არავინ აღიქვა.

მაგრამ ახლა, მალაიზიის გრანპრის წინ სიტუაცია განმეორდა - გერმანული Welt-ის მეშვეობით სებასტიან ფეტელმა ისევ დაიმუქრა სავარაუდო გაფიცვით...

„თუ სიტუაცია იმდენად გართულდა, რომ ჩვენს უსაფრთხოებას საფრთხე დაემუქრა, აუცილებლად უნდა დავაფიქსიროთ საკუთარი აზრი და უკიდურეს შემთხვევაში უარი ვთქვათ რბოლებში მონაწილეობაზე. თუმცა მანამდე უნდა ვცადოთ ავტოსპორტის ფედერაციასთან მოლაპარაკება და გონივრული გადაწყვეტილების მიღება“, - განაცხადა მოქმედმა ჩემპიონმა.

ბოლო თვეებში კატარის ტერიტორიაზე გრანპრის გამართვის იდეა არაერთხელ გაჟღერებულა პრესის ფურცლებზე. მაგალითად, ცოტა ხნის წინ ავსტრალიის გრანპრის ნარმომადგენლებმა გამოაცხადეს, რომ კატარი შეიძლება გახდეს მომავალში მელბურნის ეტაპის შემცვლელი. ამ თემაზე ჭორების ახალი ტალღა ბაჰრეინში პოლიტიკური კრიზისის შემდეგ აგორდა, რის გამოც გაუქმდა 2011 წლის სეზონის პირველი რბოლა.

კატარი აქტიურად ცდილობს მსოფლიო სპორტულ საზოგადოებაში დამკვიდრებას. იქ აშენდა ლოსაილის თანამედროვე ავტოდრომი, რომელიც მოტოგრანპრის ეტაპებსა და სხვა სერიებს მასპინძლობს, თანაც აქ შესაძლებელია ხელოვნური განათების ქვეშ რბოლების ჩატარება.

თუ ბაჰრეინში სიტუაცია არ დაწყნარდა, ფორმულა 1-ის ხელმძღვანელობა ამ რეგიონში რბოლებს შესანარჩუნებლად კატარს მიმართავს. ამისთვის საჭირო თანხები არსებობს, ხოლო რამდენად აინტერესებთ ამ ქვეყანაში ფორმულა 1-ის გრანპრი, ამას ზაფხულში შევიტყობთ, როცა პილოტები საადმინისტრაციო რბოლას ჩაატარებენ.

რადიო პალიტრა და ლუდი ჰეინეკენი
წარმოგიდგენთ
საფეხბურთო ვიქტორინას

გადაცემა „შუადღე“

გაეცით ვიქტორინის კითხვებს სწორი პასუხი
და მოიგეთ 1 შეკვრა ლუდი ჰეინეკენი
და შანსი გაემგზავრო უეფას ჩემპიონთა
ლიგის ნახევარფინალზე, ფეხბურთში.

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ყოველ შაბათს
12 სთ-დან - 16-მდე.

FM 103.9
რადიო პალიტრა

რადიო პალიტრის ეთერში

www.palitratv.ge

PALITRA TV-RADIO

● ჩოგბურთი

უარი ფლეიბოის

ქალთა შორის მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **კარლინ ვოზნიაცკიმ** უარყო მამაკაცთა პოპულარული ჟურნალის „ფლეიბოის“ შეთავაზება ეროტიკულ ფოტოსესიაში მონაწილეობაზე. ამის შესახებ დანიური პრესა წერს.

„სულაც არ ვაპირებ გაშიშვლებას. ამას არასოდეს გავაკეთებ“, - განაცხადა დანიელმა ჩოგბურთელმა.

„კაროლინი მხოლოდ ოცი წლისაა. ჯერჯერობით ჩვენ ახლოსაც არ ვაკარებთ მას ასეთი ტიპის ფოტოსესიებთან, მიუხედავად იმისა, რომ უამრავი შემოთავაზება აქვს. ეს არ შეესაბამება ვოზნიაცკის იმიჯს“, - ამბობს ქალთა ჩოგბურთის ლიდერის აგენტი **ჯონ ტობიასი.**

როგორც ჩოგბურთელი აცხადებს, ადრე მას ანალოგიური წინადადებით დაუკავშირდა ორი ცნობილი გამოცემა - FHM და Maxim.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



პაპარაცებს უფრო გაუმართლათ